

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 4

სისხლის სამართლის პროცესი

1. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა
2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები
 - ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი
 - სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო
 - სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის გამო
3. განსასჯელის პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა
4. განაჩენის გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო
5. უარი საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე
6. განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო
7. სასჯელის შეუსაბამობა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

1. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#1501-აპ

15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზუბირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-ვას ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. ჯ-უას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის განაჩენით ვ. ბ-ვა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის III ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებითა და 260-ე მუხლის I ნაწილით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, შეკრების პრინციპით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ბ-ვას „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 5 წლით ჩამოერთვა. სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველოს სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 14 მარტიდან.

იმავე განაჩენით მსჯავრდებული ლ. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის III ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (გასამართლებულია დაუსწრებლად).

განაჩენით ვ. ბ-ვას მსჯავრი დაედო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, აგრეთვე, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 30 მაისს ვ. ბ-ვა დანაშაულებრივად დაუკავშირდა გალის რაიონიდან იძულებით გადაადგილებულ, დროებით ზ-ის რაიონში მცხოვრებ ლ. ნ-ძეს და განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდნენ ზუგდიდის შს რაიონული სამმართველოს საუბნო ჯგუფის ინსპექტორ დ. ჯ-იაზე გაპიროვნებულ "მაკაროვის" სისტემის საშტატო ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო ვაზნებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი იმავე დღეს ნასვამები, ა/მანქანით, რომელსაც მართავდა ვ. ბ-ვა, მოძრაობდნენ ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზაზე. დაახლოებით 22 საათზე ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე შენიშნეს დ. ჯ-ია. მათ შეაჩერეს ა/მანქანა და ჯგუფურად თავს დაესხნენ ამ უკანასკნელს, რა დროსაც ძალადობითა და ძალადობის მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლნენ დ. ჯ-იაზე გაპიროვნებულ "მაკაროვის" სისტემის, საქარხნო ნიშნით – "ამ-2991" ტაბელურ ცეცხლსასროლ იარაღსა და მჭიდში მოთავსებულ "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტისათვის განკუთვნილ 8 ვაზნას.

ვ. ბ-ვამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 7,150 გრამი ნარკოტიკული საშუალება – გამოშვრალი "მარიხუანა", რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა, რაც 2008 წლის 14 მარტს ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ვ. ბ-ვამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ჯ-უამ, რომლებმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვეს ვ. ბ-ვას გამართლება საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის III ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ ვ. ბ-ვას მომხდარ ფაქტთან არავითარი კავშირი არ ჰქონია და საერთოდ არ იცნობდა ლ. ნ-ძეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენი შეიცვალა სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ვ. ბ-ვა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის III ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებითა და 260-ე მუხლის I ნაწილით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, შეკრების პრინციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ვ. ბ-ვას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ჯ-უამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა ვ. ბ-ვას გამართლება საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის III ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი ვ. ბ-ას მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ვ. ბ-ვას ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. ჯ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის შეცვლის თაობაზე უსაფუძვლოების გამო.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველს განაჩენი მიაჩნია აშკარად დაუსაბუთებლად, უკანონოდ და აღნიშნავს, რომ როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებებში არ არსებობს მტკიცებულებები ვ. ბ-ვას მიმართ საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალის დასადასტურებლად.

დაზარალებულ დ. ჯ-იას მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ 2007 წლის 30 მაისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, იმყოფებოდა ზუგდიდის რაიონში. საღამოს, დაახლოებით 10 საათზე, ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზაზე შეეცადა, გაეჩერებინა თეთრი ფერის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდნენ მთვრალი ლ. ნ-ძე, ვ. ბ-ვა და მათი გაჩერების გამო დ. ჯ-იას დაუწყეს ჩხუბი. იგი ცდილობდა, განემუხტა სიტუაცია, მაგრამ ვერ მოახერხა. თავდამსხმელებმა წააქციეს დ. ჯ-ია, მიაყენეს სხეულის დაზიანებები, ჩაუმტვრიეს კბილი, შემოახიეს სამსახურებრივი პერანგი და ისე წაართვეს ტაბელური იარაღი. იგი ფიზიკურად იცნობდა ვ. ბ-ვას და რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი, თუმცა არ იცოდა მისი გვარი. როდესაც ჩატარდა ფოტოსურათით ამოცნობა, მან იგი ამოიცნო.

მოწმე ე. მ-ძის ჩვენებებით დადგენილია, რომ მუშაობდა რა დ-ის ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობაზე, 2007 წლის 30 მაისს დ-ის ქვეგანყოფილების საუბნო ჯგუფის ინსპექტორ დ. ჯ-იას თავს დაესხა ორი პირი, რომელთაგან ერთმა დააკავა იგი, არ მისცა განძრევის საშუალება, მეორემ კი წაართვა ტაბელური იარაღი. ამ ფაქტის გამო იგი მისული იყო ლ. ნ-ძის საცხოვრებელ სახლში და ესაუბრა მამამისს. აცნობა, რომ დანაშაული ჩადენილი იყო მისი შვილის – ლ. ნ-ძის მიერ და უთხრა, დაებრუნებინა იარაღი. 2007 წლის 31 მაისს, დაახლოებით 5 საათზე, დაურეკა ლ. ნ-ძის მამამ და მიუთითა ადგილზე, სადაც იქნებოდა დ. ჯ-იას კუთვნილი, ტაბელური იარაღი. მართლაც, ი. ნ-ძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, სოფელ კახათის ტერიტორიაზე, მოსახვევთან, რკინის ელ. ბოძთან ახლოს, მიწაზე, ნახეს ცელოფნის პარკში გახვეული "მაკაროვის" სისტემის „ამ 29-91“ ნომრის პისტოლეტი, მჭიდითა და 2 ვაზნით, რაც დალუქეს ადგილზე და შეადგინეს ოქმი.

მოწმე ე. მ-ემ დ. ჯ-საგან იცის მისთვის იარაღის წართმევის თაობაზე, მაგრამ ამ ფაქტის თვითმხილველი თვითონ არ ყოფილა. ე. მ-ძის განმარტებით, დ. ჯ-იას, მისივე თქმით, იარაღი წაართვეს ვ. ბ-ვამ და ლ. ნ-ძემ. ვ. ბ-ვა კი ჩვენებაში აღნიშნავს, რომ საერთოდ არ იცნობს ლ. ნ-ძეს. ამდენად, გასარკვევია სიმართლე.

საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, "ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ". იმავე კოდექსის 496-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. იმავე მუხლის III ნაწილის თანახმად კი განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

პალატის აზრით, დაზარალებულ დ. ჯ-იასა და მოწმე ე. მ-ძის ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა და ერთმანეთს გამორიცხავს. საქვოა დ. ჯ-იას კუთვნილი, ტაბელური იარაღის ძალადობით დაუფლებისა და შემდეგ მისი ამოღების საკითხის კანონიერება.

პალატას მიაჩნია, რომ იარაღის გატაცების საკითხთან დაკავშირებით მოწმედ უნდა დაიკითხოს მსჯავრდებულ ლ. ნ-ძის მამა.

რამდენადაც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

საქართველოს სსსკ-ის 540-ე მუხლისა და 566-ე მუხლის II ნაწილების შესაბამისად, ვინაიდან საქმე განიხილება მსჯავრდებულის ადვოკატის საჩივრის საფუძველზე, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, გასაჩივრებული განაჩენი გააუქმოს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დასაბუთების გარეშე, ფაქტობრივად ერთი და იმავე სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე ძირითადად ბრალდების მოწმეების (ე. მ-ძის, ი. ხ-იას, ლ. ე-იას) ჩვენებების გათვალისწინებით, მხოლოდ სასჯელის ნაწილში შეცვალა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (ვ. ბ-ვას 12 წლის ნაცვლად შეუფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა).

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ვ. ბ-ვასა და ლ. ნ-ძის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მათი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარების დროს უნდა დაიკითხონ დაცვის მხარის მოწმეები, კერძოდ, ლ. ნ-ძის მამა – ი. ნ-ძე, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. ბ-ვას ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. ჯ-უას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი ვ. ბ-ვას მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#989აპ-08

21 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ზ. გ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განაჩენზე, რომლითაც ზ. გ-რი ცნობილ იქნა ბრალეულად სა-

ქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის განაჩენით ზ. გ-რი, ამჟამად პატიმარი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი „სეატის“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ზ. გ-რს და გადაეცა საფინანსო სააგენტოს.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 14 ივნისიდან.

განაჩენით ზ. გ-რს მსჯავრი დაედო საქართველოში ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოტანასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. გ-ს გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ბელგიიდან დაუკავშირდა დაუდგენელი პირი, რომელიც წინასწარ შეუთანხმდა მას, რომ საქართველოში გადმოუგზავნიდა „სეატის“ ფირმის ავტომანქანას, რომელშიც მოთავსებული იქნებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი პრეპარატი „სუბოტექსი“, შემდგომი გასაღების მიზნით.

2007 წლის 14 ივნისს შეთანხმებისამებრ ზ. გ-რი ჩავიდა ქ. ფოთში, სადაც იდგა გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ ბელგიიდან მის სახელზე გამოგზავნილი „სეატის“ ფირმის ავტომანქანა. მან იმავე დღეს გააფორმა ავტომანქანის განბაჟებასთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაცია და ავტომანქანის გამოიყვანა საბაჟო ტერმინალიდან, რა დროსაც ზ. გ-რი დააკავეს ფოთის შს საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა. მისი „სეატის“ ფირმის ავტომანქანა ჩხრეკისას ამოიღეს უკანა სალონის მარცხენა სავარძლის ქვეშ მოთავსებული 500 აბი „სუბოტექსი“, განსაკუთრებით დიდი ოდენობის – 4 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველობით.

მსჯავრდებულის ადვოკატი სააპელაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ ზ. გ-რის მიმართ შერაცხული ბრალდება ძირითადად აგებულია ავტომანქანის ჩხრეკის მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე და სხვა მტკიცებულებები ამ საქმეში არ არსებობს; გამოძიებას არც დაუდგენია ის ფაქტობრივი გარემოებები, რითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და სხვა დამნაშავეთა ჯგუფის გამოვლენა; არ გამოუკვლევია, თუ ვინ არის მ. გ-რი, ნამდვილად ცხოვრობს თუ არა იგი გერმანიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ითხოვდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. გ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევებით, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

ამდენად, ადვოკატი ზ. გ-რი ითხოვს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას, საქმის წარმოებით შეწყვეტასა და ზ. გ-ის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განაჩენი ზ. გ-რის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

ზ. გ-რის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს – ფოთის საქალაქო სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლების, ჩხრეკის ჩამტარებელ და მონაწილეების: ლ. უ-ძის, ვ. კ-სა და რ. კ-ნის ჩვენებებს, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ჩხრეკა ჩატარეს მანქანის ტერმინალიდან გასვლის შემდეგ 10 მეტრში. მანქანის საჭესთან იჯდა ზ. გ-რი, გვერდით კი მისი შვილი – ზ. გ-რი, რა

დროსაც ავტომანქანის უკანა სავარძლის ქვემოდან ამოღებულ იქნა 500 ცალი აბი, წარწერით „სუ-ბოტექსი“, რაც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს პრეპარატ „სუბოტექსს“, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინის“ შემცველობა შეადგენს 4 გრამს.

ზ. გ-რი წინასწარ გამოძიებაში არ დაუკითხავთ, არ გაურკვევიათ, თავს დამნაშავედ ცნობს თუ არა. მსჯავრდებული სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენებით აღნიშნავს შემდეგს: მისი უფროსი შვილი – მ. გ-რი 2002 წლიდან ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს გერმანიაში. საზღვარგარეთიდან ავტომანქანის მის სახელზე გამოგზავნის შესახებ აუწყა მისმა სიძემ. ვინაიდან საზღვარგარეთ შვილის გარდა სხვა არავინ ჰყავს, ჩათვალა, რომ გერმანიაში მყოფი ვაჟი უგზავნიდა ავტომანქანას და წავიდა ქ. ფოთში მის გამოსაცხვანად, შვილთან და სიძესთან ერთად. იგი არ უარყოფს მის სახელზე საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ავტომანქანიდან 500 ცალი „სუბოტექსის“ აბის ამოღების ფაქტს, მაგრამ განმარტავს, რომ მას აღნიშნულ ნარკოტიკთან არანაირი შეხება არა აქვს.

არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეალურ დამნაშავეთა ვინაობის გარკვევა, და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დასაბუთების გარეშე, ფაქტობრივად ერთი და იმავე სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე, ძირითადად – ბრალდების მოწმეების ჩვენებების გათვალისწინებით, ძალაში დატოვა ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ფოთის საქალაქო სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლების – ლ. უ-ძის, ვ. პ-სა და რ. კ-ნის მიერ წინასწარ და სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენებები ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ზ. გ-მა იცოდა მანქანაში ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსის“ არსებობის შესახებ. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. იმავე მუხლის III ნაწილის თანახმად კი განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან: პირადი და ავტომანქანის ჩხრეკის, ამოღების ოქმებიდან, ქიმიური ექსპერტიზის #116/ქ დასკვნის, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებისა და საქმის სხვა მასალებიდან უტყუარად არ გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებანი.

რამდენადაც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, იღებს გადაწყვეტილებას განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

საქართველოს სსსკ-ის 540-ე მუხლის II და 566-ე მუხლის II ნაწილების შესაბამისად, რამდენადაც საქმე განიხილება მსჯავრდებულის ადვოკატის საჩივრის საფუძველზე, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, გასაჩივრებული განაჩენი გააუქმოს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ზ. გ-რის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარების დროს უნდა გაირკვეს, თუ ვინ არის მ. გ-რი; ნამდვილად ცხოვრობს თუ არა იგი გერმანიაში; როგორ მოხდა მანქანის გამოგზავნა; დაიკითხოს მსჯავრდებულის სიძე, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. გ-რის ინტერესების დამცველი ადვოკატის _ ზ. გ-რის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განაჩენი ზ. გ-რის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#1365აპ-08

28 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ომხარელი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ კ. პ-ვის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განაჩენით:

1. კ. პ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით _ 4 წლით, ხოლო 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით _ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს საბოლოოდ განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2. ო. კ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კ. პ-ვი და ო. კ-იანს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 26 ივნისიდან.

ამავე განაჩენით ს. ა-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 2 წელი და 4 თვე ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. ს. ა-იანს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალა დაკავების დრო _ 8 დღე და სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 მარტიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის აპრილის დასაწყისში კ. პ-ვმა ქ. ო-ში გაიცნო ო. კ-იანთან სტუმრად მყოფი მ. კ-ნიანი. დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს და საუბრობდნენ ტელეფონითაც. კ. პ-ვმა არაერთხელ შესთავაზა მ. კ-ნს ცოლად გაყოლა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. კ. პ-ვი მიხვდა, რომ ქორწინება ურთიერთშეთანხმებით არ მოხდებოდა და გადაწყვიტა მ. კ-ნის მოტაცება. 2007 წლის 22 აპრილს კ. პ-ვი, ო. კ-ნი, ს. ა-იანი და დაუდგენელი პირი, შეთანხმებისამებრ, ჩავიდნენ ქ. ქობულეთში. ს. ა-იანმა და ო. კ-იანმა სახლიდან მოტყუებით გამოიყვანეს მ. კ-იანი. მათ გაისეირნეს და ისადილეს, რის შემდეგ კ. პ-ვმა და მისმა თანამზრახველებმა მ. კ-იანი მოტყუებით ჩასვეს ავტომანქანაში, აღუკვეთეს თავისუფლება და სახლში მიყვანის ნაცვლად წაიყვანეს ქ. ო-ის მიმართულებით. როდესაც ავტომანქანა დიდი სიჩქარით ამოძრავდა, მ. კ-იანი მიხვდა, რომ სახლში არ მიჰყავდათ, დაიწყო ტირილი, ყვირილი და მოითხოვა ავტომანქანის გაჩერება. დაზარალებულმა კ. პ-ვისა და მისი თანამზრახველები-საგან მიიღო კატეგორიული უარი და მ. კ-იანი, მიუხედავად წინააღმდეგობისა, მიიყვანეს კ. პ-ვის ბინაში, ქ. ოზურგეთში. დაახლოებით 10 წუთში, კ. პ-ვმა მ. კ-იანი მიიყვანა ნათესავის _ ვ. გ-ძის სახლში, სადაც დაახლოებით 1 საათში შეიტყო, რომ ეძებდნენ დაზარალებულის მშობლები და პოლიციელები. ამის გამო კ. პ-მა მ. კ-იანი მიიყვანა ო-ის რაიონში, ნათესავის _ ჯ.

კ-მის სახლში, სადაც 23 აპრილს, დაახლოებით 3 საათზე, მ. კ-იანს ძალით გახადა ტანსაცმელი, თვითონაც გაიხადა და ცდილობდა მ. კ-იანთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, რაც ვერ შეძლო დაზარალებულის მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულთა ადვოკატებმა – ნ. ა-ძემ და გ. ღ-ძემ. მათ მოითხოვეს საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას შესაძლოა ზიანი მიეყენებინა მსჯავრდებულისა და დაზარალებულისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ ს. ა-იანს შორის. ამ უკანასკნელს დანიშნული სასჯელიდან – 7 წლით თავისუფლების აღკვეთიდან 4 წელი და 8 თვე ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობის 2008 წლის 24 სექტემბრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი კ. პ-ვისა და ო. კ-იანის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული კ. პ-ვი თავის საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ გაასამართლეს უმოწყალოდ, რადგან დაზარალებული ამჟამად მისი კანონიერი მეუღლეა და მის სახლში იმყოფება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ნ. ა-ძემ მოითხოვა კ. პ-ვის მიმართ საქმის შეწყვეტა სსკ-ის 137-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, რადგან მსჯავრდებულს ეს დანაშაული არ ჩაუდენია, ხოლო 143-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში ადვოკატმა მოითხოვა საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ დაზარალებული კ. პ-ვის მეუღლეა და შეიცვალა ვითარება.

დაზარალებულმა მ. კ-იანმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა კ. პ-ვის გათავისუფლება იმ მოტივით, რომ მისი მეუღლეა. ამასთან, მან განაცხადა, რომ სსკ-ის 137-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში კ. პ-ვმა გამოიყენა ძალადობა.

სახელმწიფო ბრალმძებელმა გ. შ-ძემ საჩივარს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ იგი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა მოსაზრება და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოში კ. პ-ვისა და ო. კ-იანის ბრალდების საქმის განხილვისას არ იქნა დაცული საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც გაურკვეველი დარჩა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციაზე და მათი პასუხისმგებლობის ზომაზე. დაზარალებული მ. კ-იანი თავის ჩვენებებში აღნიშნავს, რომ კ. პ-ვი ცდილობდა, მასთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი მისი ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც სააპელაციო პალატამ არ გაარკვია, რა ხასიათისა იყო დაზარალებულის მიმართ კ. პ-ვის მიერ გამოყენებული იძულება – ეს იყო ფიზიკური ძალადობა თუ ძალადობის მუქარა; უწევდა თუ არა მას რეალურ წინააღმდეგობას დაზარალებული, რა ინტენსივობის იყო ეს წინააღმდეგობა და იყო თუ არა იგი საკმარისი ფაქტორი კ. პ-ის შესაჩერებლად; არსებობდა თუ არა სხვა ობიექტური გარემოებები, რომელთაც შეეძლოთ, ხელი შეეშალათ კ. პ-ვისათვის თავის განზრახვის ბოლომდე მიყვანაში; კ. პ-ვმა თავისი ნებით ხომ არ შეწყვიტა გაუპატიურების მცდელობა, ე.ი. გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელი აიღო.

გარდა ამისა, დაზარალებული მ. კ-იანი ორივე ინსტანციის სასამართლოში მიუთითებდა, რომ კ. პ-ვი მისი მეუღლეა და ითხოვდა პატიმრობიდან მის გათავისუფლებას. საქმეში არსებობს მათი ქორწინების მოწმობის ასლი. კ. პ-ვის დამცველები სააპელაციო საჩივარშიც აღნიშნავდნენ, რომ ისინი კანონიერი ცოლ-ქმარი არიან და არსებული ვითარება ზიანს აყენებს დაზარალებულსა და მსჯავრდებულს.

აღნიშნულ გარემოებებს სააპელაციო პალატამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია და მათზე არ იმსჯელა, რასაც მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს კ. პ-ვისა და ო. კ-იანის მიმართ მათ მიერ მ. კ-იანისათვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის განსაზღვრის თვალსაზრისით, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდება, რომ ქმედებისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ კ. პ-ვისა და ო. კ-იანის საქმის განხილვისას დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რამაც გავლენა იქონია საქმის შედეგზე კანონიერი და სამართლიანი განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე კ. პ-ვისა და ო. კ-იანის მიმართ ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რადგან უტყუარად არ დადგინდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ ჯეროვნად უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს, რამდენად რეალურია დაზარალებულის მიერ აღწერილი ვითარება, კ. პ-ვმა გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელი ხომ არ აიღო, ამასთან, უნდა გაირკვეს, მიზანშეწონილია თუ არა კ. პ-ვისა და ო. კ-იანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მათ მიერ დაზარალებულ მ. კ-იანის მიმართ რეალურად ჩადენილი ქმედების გამო.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. პ-ვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განაჩენი კ. პ-ვისა და ო. კ-იანის მიმართ, ხოლო სისხლის სამართლის საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#1514აპ-08

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. გგ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის _ ვ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით ი. გგ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილებით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ი. გ-მეს საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა _ 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 25 თებერვლიდან.

განაჩენით ი. გ-მეს მსჯავრი დაედო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. გ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა ქარხნული წესით დამზადებულ „აკ-47“ მოდელის, 7,62 მმ კალიბრის, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის #აეზ 3876, სროლისათვის ვარგის ცეცხლსასროლ იარაღს _ ავტომატს და ქარხნული წესით დამზადებულ, 1943 წლის ნიმუშის 7, 62 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნებს, განკუთვნილს „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის „აკ“, „აკმ“, „აკს“ ავტომატებისათვის,

„რპკ“, „რპკს“ ხელის ტყვიამფრქვევისა და „სკს“ თვითდამმუხტავი კარაბინისათვის. ი. გ-ემ, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა რა ზემოაღნიშნულ ავტომატსა და საბრძოლო მასალას, 2006 წლის 22 აგვისტოს, 21.30 საათზე, მეგობრებთან – ზ. ც-ესა და გ. ს-ესთან ქეიფის დროს, გამოიტანა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში და ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა. 2006 წლის 24 აგვისტოს, ი. გ-ძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ამოღებულ იქნა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები.

აპელანტი, მსჯავრდებული ი. გ-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ხ-ი და-ზუსტებული სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას, მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობასა და მის გამართლებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ი. გ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ხ-შილმა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მათ აღნიშნეს, რომ განაჩენი არის უკანონო, ზედმეტად მკაცრი და ითხოვეს ცვლილების შეტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში: სსკ-ის 236-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული ბრალდების ამორიცხვა, ხოლო იმავე მუხლის I ნაწილით, დამატებითი სასჯელის გარეშე ისეთი სასჯელის შეფარდება, რაც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ი. გ-ძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. ხ-შილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი ი. გ-ძის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: ამოღების ოქმით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით #686, 2006 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით ი. გ-ძის მიმართ ძეზნის გამოცხადების შესახებ, 2008 წლის 25 თებერვლის ძეზნის დაკავების ოქმით – ი. გ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და ამ ნაწილში სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ი. გ-ემ თავის ჩვენებებში აღნიშნა, რომ ზ. ც-ძე იყო ხელოსანი, რომელიც ხის ნაკეთობებზე მუშაობდა. მათ მოილაპარაკეს, რომ ი. გ-ძის ავტოფარეხში გაეხსნათ ავეჯის საამქრო. ამ მიზნით მან ზ. ც-ძე შემთხვევამდე აიყვანა სახლში ავტოფარეხის საჩვენებლად, შემდეგ კი 15 დღით წავიდა ერევანში. მისი არყოფნის პერიოდში ზ. ც-ძემ, რომელმაც იცოდა, სად ინახავდა ი. გ-ძე გასაღებს, ავტომატი შეიტანა მის ავტოფარეხში ისე, რომ ი. გ-ემ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მოწმის სახით დაკითხული ლ. ნ-ის (მსჯავრდებულის დედის) ჩვენებით კი დადგენილია, რომ მისმა შვილმა 2006 წლის 22 აგვისტოს მასთან სახლში სტუმრად მიიყვანა თავისი ორი მეგობარი, რომელთაც სუფრა გაუშალა. მათგან ერთ-ერთს – ზ. ც-ძეს მისი შვილი არ იცნობდა და სუფრასთან საუბრის დროს ჰკითხა: „შენ რა გქვიაო“.

მსჯავრდებულ ი. გ-ძის საცხოვრებელი სახლის საპირფარეშოდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და შემთხვევის ადგილის დათვალთვლების დროს ამ ავტომატიდან გასროლილი მასრების ამოღების ფაქტი ნათლად მიუთითებს ი. გ-ძის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის – ვაზნების შეძენა-შენახვის უტყუარობაზე.

ამდენად, ყოველგვარ დამაჯერებლობასა მოკლებული მსჯავრდებულ ი. გ-ძის ზემოაღნიშნული ჩვენება, რომ, თითქოსდა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მასთან სტუმრად მყოფმა, აწ გარდაცვლილმა ზ. ც-ემ მიიტანა.

რაც შეეხება ი. გ-ძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის II ნაწილით შერაცხულ მსჯავრდებას, პალატის აზრით, იგი მხოლოდ ვარაუდზეა დამყარებული, რითაც დარღვეულია საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც: „გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გარკვეოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე.

როგორც საბრალდებო დასკვნით, ისე განაჩენით დასაბუთებულია, რომ: "ი. გ-მემ, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა რა ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას, გამოიტანა იგი თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში და ჰაერში განახორციელა რამდენიმე გასროლა".

როგორც ცნობილია, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ტარება ითვლება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის II ნაწილის მაკვალიფიცირებელ გარემოებად, რომელიც გამოიხატება იარაღთან ერთად გადაადგილებაში, იმ პირის მიერ, ვისაც ამის კანონიერი უფლება არა აქვს. ტარება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მთავარია, იარაღის ტარება მიზნად არ ისახავდეს მის შენახვას სხვა დასახლებულ პუნქტში.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პალატისთვის გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ იარაღის ტარების განმარტებაში: იარაღის ტარება – ეზოში გამოტანით, თუ, საერთოდ, იარაღის ტარება – ყველგან.

მსჯავრდებული გ. ს-მე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ შემთხვევის დღეს, როცა ზ. ც-მე გავიდა ოთახიდან და შეაგვიანდა, გავიდა ი-ც, ბოლოს კი თავად, გარეთ გასულმა, დაინახა, რომ ზ-ს ხელში ეჭირა ავტომატი, საიდანაც მოახდინა გასროლა აფახაზეთში დაღუპულ მებრძოლთა საპატივცემულოდ, რის შემდეგაც ისინი გავიდნენ ეზოდან და ავიდნენ ზევით, სადაც კიდევ ისროლეს. მან აღნიშნა, რომ ავტომატი ვის ეკუთვნოდა, არ იცის და არც ის იცის, შემდეგ რა ბედი ეწია იმ იარაღს.

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიმტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ი. გ-ძის მიმართ 236-ე მუხლის II ნაწილით წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარების დროს უნდა დაიკითხონ მოწმეები და ზუსტად გაირკვეს, თუ სააპელაციო სასამართლომ რა იგულისხმა "იარაღის ტარების" ფორმულირებაში, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. გ-ძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი ი. გ-ძის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#81-აპ-09

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-ევის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. პ-შვილის, მსჯავრდებულ ო. ხ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. კ-ძის, მსჯავრდებულ ი. უ-ოვის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენით:

გ. ა-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ა-ევს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 18 აპრილიდან.

ი. უ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 363-ე მუხლის პირველი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. ი. უ-ოვს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 18 აპრილიდან.

გ. ხ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. გ. ხ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 18 აპრილიდან.

ო. ხ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. გ. ხ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 18 აპრილიდან.

ნივთმტკიცება – სალაროს გასავლის ორდერი #27765002, თანხა 2005 ლარის ოდენობით, ა. ლ-შვილის სახელზე შევსებული #399020-418 შპს „ვაზტრანსგაზ-თბილისის“ ქვითრის მონახევი, ალუმინის სახელურიანი ოთხკუთხედი ფორმის ბეჭედი წარწერით – გლდანი 1/23, 15 ცალი შპს

„ყატრანსგაზის“ გადასახადის ქვითარი, 2 ცალი ბანდეროლი, 20 ცალი სალაროს გასავლის ორდერი. 2 ცალი „ყატრანსგაზ-თბილისის“ ქვითარი; 9 ცალი სახალხო ბანკის სალაროს გასავლის ორდერი, სალაროს ფულადი გზავნილების ორდერები; მობილური ტელეფონი „სონი ერიქსონი“ და ელემენტის გარეშე მობილური ტელეფონი „ერიქსონი“; ნ. გ-შვილის სახელზე გაცემული პასპორტი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან წინასწარი გამოძიებისას დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს.

ნივთმტკიცება – „ნოკიას“ მოდელის მობილური ტელეფონი, 20 თეთრი და მუქი ცხვირსახოცი, ღია ყავისფერი ტყავის ზურგჩანთა, ორი ნაქსოვი, შავი ხელთათმანი, ერთი ხელთათმანი, გაწყობილი ყავისფერი, თეთრი და კრემისფერი ზოლებით, ნაჭრის ქურთუკი წარწერით „კილტეკ-სპლოტ“, „სონის“ ფირმის კომპიუტერის ფლოპი, მამაკაცის ცხვირსახოცი, ოქროსფერი ლითონის სამაჯური, ნასყიდობის ხელშეკრულება, გ. ა-ევისგან ამოღებული ღია ყავისფერი, 39 ზომის სპორტული ფეხსაცმელი, გ. ხ-ძისგან ამოღებული შავი ფერის ტყავის ფეხსაცმელი, ი. უ-ოვისგან ამოღებული სპორტული სტილის ფეხსაცმელი თეთრი ზოლებით, ო. ხ-შვილისგან ამოღებული შავი ფერის სპორტული ფეხსაცმელი შესაკრავი ზონრებით, რომლებიც ინახება ქ. თბილისის გლდან-ნი-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-8 განყოფილებაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

ნივთმტკიცება – 2 ცალი 5 სმ სიგრძის ლითონის სახაზავის ნაჭერი მოკაუჭებული ცხვირით, ე.წ. „ამეჩკა“ და ლითონის მოღუნული წვრილი ჩხირი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

ნივთმტკიცება – „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის აკ-74 მოდელის ნომერგადაშლილი ავტომატი, ორლულიანი იჟ-მოდელის, 16 მმ კალიბრის 1969 წელს გამოშვებული გადაჭრილი სანადირო თოფი, ნომრით დ 8433, ე.წ. „აბრეზი“, 1974 წლის 5,45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატის 25 ცალი სამხედრო ვაზნა და 2 ცალი 16 მმ კალიბრის ვაზნა გლუვლულიანი თოფებისთვის, 33 ცალი „აკმ“ სისტემის ვაზნა; მობილური ტელეფონები, „ნაგანის“ მოდელის ვერცხლისფერი ცეცხლსასროლი იარაღი ორი ცალი ვაზნით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, უნდა ჩამოერთვას და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს ბალანსზე ასაყვანად.

ნივთმტკიცება – ერთი ცალი „DVD“ დისკი, რომელზეც გადაღებულია საგამომიებო მოქმედება – პირის ამოცნობა, უნდა დაერთოს საქმეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მარტის დადგენილებით აღმოიფხვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენში გ. ა-ევის, ი. უ-ვის, გ. ხ-ძის და ო. ხ-შვილის მიმართ არსებული უზუსტობა.

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის ბოლოდან მესამე აზვაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

ნივთმტკიცება – „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის აკ-74 მოდელის ნომერგადაშლილი ავტომატი, K ორლულიანი „იჟ-მოდელის“ 16 მმ კალიბრის 1969 წელს გამოშვებული გადაჭრილი სანადირო თოფი, ნომრით დ8433, ე.წ. „აბრეზი“, 1974 წლის 5,45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი, 24 ცალი სამხედრო ვაზნა და 2 ცალი 16 მმ კალიბრის ვაზნა გლუვლულიანი თოფებისთვის, 33 ცალი „აკმ“ სისტემის ვაზნა; „ნაგანის“ მოდელის ვერცხლისფერი ცეცხლსასროლი იარაღი, ორი ვაზნით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად უნდა ჩამოერთვას და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს ბალანსზე ასაყვანად.

განაჩენით მსჯავრდებულების – გ. ა-ევის, ი. უ-ოვის, გ. ხ-ძისა და ო. ხ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. ა-ევმა განიზრახა ჩადენა ყაჩაღური თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა. იგი დანაშაულის ჩასადენად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს.

2007 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით 18.00 საათზე, ქ. თბილისში, ... მე-17 კორპუსის მე-4 სადარბაზოში გ. ა-ევი და გამოძიებით დაუდგენელი პირი ჩაუსაფრდნენ ამავე სადარბაზოში მცხოვრებ მოქ. ქ. ა-იანს, რომელიც მუშაობდა მეტროს სადგურ „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ვალუტის გადამცვლელად და, როგორც წესი, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ბრუნდებოდა თავის საცხოვრებელ ბინაში. მას შემდეგ, რაც ჩვეულებისამებრ ქ. ა-იანი დაბრუნდა სამსახურიდან და შევიდა თავისი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, მას სრულიად მოულოდნელად შემოაღნიშნული პირები დაესხნენ თავს. თავდაპირველად იგი სახის არეში ძლიერი დარტყმით წააქციეს და დაუწყეს ჩხრეკა თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, თან იმი-

ტომ, რომ ამ უკანასკნელს წინააღმდეგობა არ გაეწია, ფეხებით კვლავ აყენებდნენ ჯანმრთელობის დაზიანებას სახის არეში, რის შემდეგაც ქ. ა-იანმა გონება დაკარგა, ხოლო გ. ა-ევი და გამოძიებით დაუდგენელი პირი მის ჩხრეკას განაგრძობდნენ. ყაჩაღური თავდასხმის დროს ამ დანაშაულებრივ ქმედებას შეესწრო იქვე, სარდაფიდან ამომავალი დ. ლ-შვილი და ქ. ა-იანის მეუღლე ა. ა-იანი. დ. ლ-შვილი შეეცადა თავდამსხმელების შეჩერებას, რა დროსაც აღნიშნულმა პირებმა თანაქონი ცეცხლსასროლი იარაღის ტარით თავის არეში მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანება დ. ლ-შვილს, რის გამოც მან ვერ შეძლო მათი შეჩერება. რაც შეეხება ა. ა-იანს, მან თავდამსხმელებს გაუწია წინააღმდეგობა, კერძოდ, მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ მისი მეუღლე ქ. ა-იანი გაუნძრევლად იწვა სადარბაზოში, იფიქრა, რომ იგი გარდაცვლილი იყო. ამასთან, თავდამსხმელები მას კვლავ აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას და ჩხრეკდნენ. აღნიშნულის შემსწრე ა. ა-იანმა ერთ-ერთ თავდამსხმელს – გ. ა-ევს, რადგან მას ხელში იარაღი ეკავა, მკერდის არეში ფეხით მიაყენა დარტყმა, რის შემდეგაც თანაქონი ცეცხლსასროლი იარაღი ხელიდან გაუვარდა, თუმცა იმ წამსვე კვლავ აიღო და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, როდესაც მას და ა. ა-იანს შორის მანძილი დაახლოებით ერთი მეტრი იქნებოდა, ცეცხლსასროლი იარაღი მისკენ მიმართა და გაისროლა. ტყვიან ა. ა-იანს მარცხენა ფეხის არეში მოხვდა, თუმცა არ დაცემულა, პირიქით, მან კვლავ გაუწია წინააღმდეგობა თავდამსხმელს, კერძოდ, მეორედ ჩაარტყა ფეხი გ. ა-ევს, მაგრამ გრძნობდა, რომ ფეხში დაჭრილი იყო, საკმაო სისხლი ჰქონდა დაკარგული და დგომა არ შეეძლო. სწორედ ამ დროს გ. ა-ევმა განიზრახა ა. ა-იანის განზრახ მკვლელობა, რათა მას არ მისცემოდა საშუალება, ხელი შეეშალა მისთვის და მისი თანამზრახველისთვის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. იგი ამ დროს უგონო მდგომარეობაში მყოფ ქ. ა-იანს კვლავ ჩხრეკდა, რათა ფული მოემგზნა და მიეთვისებინა. გ. ა-ევმა მასთან დაახლოებით ორ მეტრში მყოფ ა. ა-იანს მუქარით უთხრა, ახლა კი მოგვლავო და ცეცხლსასროლი იარაღი პირდაპირ მისკენ მიმართა, დაუმიზნა და ორჯერ ზედიზედ ესროლა. ტყვიები ა. ა-იანმა აიცილა იმით, რომ მიუხვდა გ. ა-ევს ჩანაფიქრს და გადარჩენის მიზნით სადარბაზოში არსებული სარდაფის ჩასასვლელისკენ გადავარდა. სწორედ ამ დროს დაჭრილმა ა. ა-იანმა გონება დაკარგა, ხოლო სროლის ხმაზე ხალხი შეიკრიბა. გ. ა-ევმა სროლის შემდეგ თანამზრახველთან ერთად სასწრაფოდ დატოვა შემთხვევის ადგილი და გაიქცა. მათ ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ქ. ა-იანისგან გაიტაცეს თანხა 5000 ლარის ოდენობით.

მიუხედავად ამისა, გ. ა-ევი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ განიზრახა, ჩაედინა თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. ა-ევმა, ი. უ-ოვი, ო. ხ-შვილმა და გ. ხ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღები, კერძოდ: „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატი, გადაჭრილი სანადირო თოფი, ე.წ. „აბრეზი“, „ნაგანის“ სისტემის პისტოლეტი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდნენ. გ. ა-ევი, ი. უ-ოვი, ო. ხ-შვილი, გ. ხ-ძე და გამოძიებით დაუდგენელი პირი დაუკავშირდნენ ერთმანეთს და 2007 წლის 18 აპრილს, 14.00 საათზე, „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატით, გადაჭრილი სანადირო თოფით, ე.წ. „აბრეზით“ და „ნაგანის“ სისტემის პისტოლეტით შეიარაღებულნი, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ჯგუფურად, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ყაჩაღურად თავს დაესხნენ ქ. თბილისში, ... მ/რაიონში მოსახლეობის საკრედიტო ფინანსური მომსახურების საპენსიო სერვის-ცენტრს, მართლსაწინააღმდეგოდ შეადღიეს მომსახურე პერსონალის სამუშაო ადგილას, სადაც, როგორც წესი, მოქალაქეებს ეკრძალებათ ყოფნა, ვინაიდან იქ განთავსებულია სალარო აპარატები და კომპიუტერები. აღნიშნულმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღების მუქარით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ასევე ძალადობის გამოყენების მუქარით სერვის-ცენტრის თანამშრომლებს – ე. ხ-ურსა და ა. გ-შვილს ყაჩაღურად გასტაცეს სერვის-ცენტრის შტამპი, მოქალაქეთა გადახდის დამადასტურებელი სხვადასხვა დასახელების ქვითრები, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად იმავე დღეს დააკავეს აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე პირები, მათ შორის: გ. ა-ევი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა სერვის-ცენტრის საანგარიშსწორებო წიგნაკები, თანხა 2005 ლარის ოდენობით და მოქალაქე ნ. ს-შვილის სახელზე გაცემული პლასტიკური ბარათი; ი. უ-ოვი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა ქვითრები; ო. ხ-შვილი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა მოქალაქეების მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. დაკავებამდე, ო. ხ-შვილმა, რომელიც იმყოფებოდა გ. ხ-ძის დროებით, თბილისში მდებარე საცხოვრებელ ბინაში ნივთმტკიცების თავიდან მოშორების მიზნით, თანაქონი ზურგჩანთა, მასში მოთავსებული „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატითა და გადაჭრილი სანადირო თოფით, ე.წ. „აბრეზით“, ფანჯრიდან გადააგდო, თუმცა პოლიციის თანამშრომლებმა ეს შეამჩნიეს, რის გამოც ზურგჩანთა საგამოძიებო მოქმედებების შედეგად კანონიერად იქნა ამოღებული და სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცების სახით დარ-

თული; ასევე დააკვეს გ. ხ-მე, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა მოქალაქეების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები და "ნაგანის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ორი საბრძოლო ვაზნით. ასევე გ. ხ-მის დროებითი საცხოვრებელი ბინიდან, ქ. თბილისში, ამოიღეს ავტომატ "კალაშნიკოვის" ვაზნა, რომელიც ასევე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა და მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. ა-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. უ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 363-ე მუხლის პირველი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, რაც "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით; "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და განესაზღვრა ჯარიმა 250 ლარის ოდენობით. ამასთანავე, მხედველობაში იქნა მიღებული, რომ აღნიშნული ამნისტიები არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3250 ლარის ოდენობით.

გ. ხ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით.

ო. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ გ. ა-ევის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. პ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. ა-ევის გამართლებას. კასატორის განმარტებით, განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. ა-ევის ბრალდების იმ ეპიზოდთან, რომელიც ეხება 2007 წლის 18 აპრილს ქ. თბილისში, გლდანის მომსახურების სერვის-ცენტრის დაყაჩაღების ფაქტს, არანაირი კავშირი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს; გამოძიებით დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ყაჩაღობა განხორციელდა 2007 წლის 18 აპრილს 14.25 საათიდან 14.40 საათს შორის. ამ პერიოდში გ. ა-ევი შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდა, ის სახლიდან იყო გასული მეტროს სადგურ "ახმეტელთან", პურის საყიდლად, მობილური ტელეფონის ასარჩევად და თავის ნაცნობ კ. გ-მესთან შესახვედრად. აღნიშნულ ფაქტს თავის ჩვენებებში ადასტურებს მოწმე კ. გ-მეც. მართალია, საქმეზე დაკითხული მოწმეები, საქართველოს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები – ი. ლ-შვილი, გ. გ-მე, ლ. ქ-ლი, ჯ. გ-მე და კ. მ-მე წინასწარი გამოძიებისათ-

ვის მიცემულ ჩვენებებში უთითებდნენ, რომ თითქოს, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მომსახურების სერვის ცენტრთან მიახლოების დროს დაინახეს ცენტრიდან გამოქცეული 5 პირი, მათ შორის – ი. ი-ოვი და გ. ა-ევი, მაგრამ სასამართლო პროცესზე დააზუსტეს, რომ გ. ა-ევს საერთოდ არ იცნობდნენ და, შესაბამისად, გამოქცეულთა შორის ვერ ამოიცნობდნენ, მათ გ. ა-ვის ვინაობა შეიტყვეს მათთან ერთად მყოფი გლდანი-ნამძალადევის პოლიციის თანამშრომლებისაგან, რაც მთლიანად ეწინააღმდეგება მოწმეთა სახით დაკითხული გლდანი-ნამძალადევის შს სამმართველოს თანამშრომლების ჩვენებებს, რომლებიც განმარტავენ, რომ სერვის-ცენტრთან მიახლოებისას დაინახეს, რომ იქიდან გამორბოდა ხუთი მამაკაცი, თუმცა, მათ შორის ვინ იყო, ვერ ამოიცნეს.

საინტერესოა ასევე შემდეგი ფაქტი: პირვანდელ ჩვენებებში პოლიციელები არ უთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ პირადი ჩხრეკის დროს ა-ვს აღმოაჩნდა სერვის-ცენტრის ქვითრები. თავად ამ ქვითრების, ბეჭდებისა და შტამპების ექვიმტანილების ჯიბეებში აღმოჩენა არის ალოგიკური. ისმის კითხვა: მაშინ, როდესაც თანხას აგროვებდნენ ცელოფანის პარკში, რომელი თავდამსხმელი ჩაიდებდა ჯიბეში ისეთ მამხილებელ მტკიცებულებას, როგორცაა სერვის-ცენტრის ქვითრები და ბეჭდები? ან რაში სჭირდებოდა ეს? ამასთან, თუკი ერთი თავდამსხმელი ცელოფანის პარკში აგროვებდა თანხას, ხოლო მეორე ეხმარებოდა ამაში, ანუ მხოლოდ ორ თავდამსხმელს ჰქონდა სერვის-ცენტრის დოკუმენტაციასთან შეხება, მაშინ როგორ აღმოჩნდა ყველა თავდამსხმელის ჯიბეებში სერვის-ცენტრის ქვითრები, ბეჭდები და შტამპები? ეს კიდევ ერთი სიყალბეა დამატებითი, ე.წ. „მტკიცებულებების“ მოპოვების მიზნით. სამწუხაროდ, სასამართლომ არ გამოიძახა და დამატებით არ დაკითხა პოლიციელები ზემოხსენებული საკითხების გარკვევის მიზნით; სასამართლო ასევე არც კი დაინტერესებულა იმ საკითხით, თუ როგორ აღმოჩნდა პოლიციის მუშაკი გ. კ-რი ერთი და იმავე დროს შედგენილ ორ საგამომიებო ოქმში შეყვანილი, მაშინ, როდესაც საგამომიებო მოქმედებები ჩატარდა სხვადასხვა ადგილას.

სასამართლომ ასევე არ გაარკვია შემდეგი გარემოება: თუკი პოლიციელები თავიდანვე დაედევნენ დამნაშავე პირებს და, მათივე ჩვენებებით, ეს პირები ცენტრიდან გამოსვლისთანავე გაიქცნენ სხვადასხვა მიმართულებით, მაშინ როგორ აღმოჩნდა ყველა იარაღი თ. ხ-შვილის ხელში? ასევე გაუგებარია, თუ პოლიციის მუშაკებმა წინასწარ იცოდნენ ყაჩაღობის შესახებ და შემთხვევის ადგილზე მივიდნენ იმ დროს, როდესაც ყაჩაღობა ხდებოდა, მაშინ რატომ ვერ მოახერხეს თავდამსხმელების ადგილზევე დაკავება? ამ ფაქტებს მხოლოდ ერთი ახსნა აქვს – პოლიციის მუშაკები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ გვიან, მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა მოახერხეს მიმალვა.

ამ საკითხების არგარკვევით გამოძიებამ და სასამართლომ უხეშად დაარღვიეს საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ.

კასატორის მოსაზრებით, გამოძიებამ ყოველგვარი შემოწმების გარეშე, მხოლოდ სერვის-ცენტრის თანამშრომელთა ჩვენებებზე დაყრდნობით, დადასტურებულად ჩათვალა, რომ სერვის-ცენტრიდან გატაცებულ იქნა 2300 ლარი, რაც გაუგებარია, ვინაიდან სერვის-ცენტრი სახელმწიფო დაწესებულებაა, იქ წარმოებს შესაბამისი აღრიცხვა ყველა შემოსული თანხისა და ამ შემთხვევაში გამოძიება ვალდებული იყო, სერვის-ცენტრში დაენიშნა რევიზია და საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზა, რითაც დადგინდებოდა ზუსტი დანაკლისი. ეს არ შესრულებულა და, შესაბამისად, 2300 ლარის ოდენობით ზიანის განსაზღვრა (მაშინ, როდესაც ამ ციფრზე მიუთითებენ დაინტერესებული პირები – სერვის-ცენტრის თანამშრომლები, თანაც თავიდან ჯერ 500 ლარი, შემდეგ – 2500 ლარი და ბოლოს 2300 ლარი მიუთითეს) ყოველად დაუშვებელია და ძალზე საეჭვოა, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულთა სასარგებლოდ. ამასთან, გაუგებარია, როგორ დაუბრუნეს სერვის-ცენტრს დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში 2100 ლარი, მაშინ, როდესაც გ. ა-ევს ჩხრეკის დროს ამოუღეს 2005 ლარი.

სავსებით გაუგებარი სიტუაციაა მოწმე ა. გ-შვილის მიერ გ. ა-ევის ამოცნობის ჩატარებასთან დაკავშირებით. გაკვირვებას იწვევს თვით ამოცნობის ჩატარების საფუძველი, რადგან მოწმე ა. გ-შვილი თავის ჩვენებაში უთითებს, რომ არავის ამოცნობა არ შეუძლია, ვინაიდან თავდამსხმელთა სახეები არ დაუნახავს, რადგან მათ ნიღბები ეკეთათ და ასეთ ვითარებაში, აბსოლუტურად ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, საქმეში ჩნდება ამოსაცნობად წარდგენის ოქმი, რომელშიც მოწმე ა. გ-შვილი ამსგავსებს გ. ა-ევს ერთ-ერთ თავდამსხმელს, თუმცა, აღნიშნავს, რომ არ არის დარწმუნებული, ნამდვილად გ. ა-ევი მონაწილეობდა თავდასხმაში, თუ არა. ანალოგიური პოზიცია მან დააფიქსირა სასამართლო პროცესზეც – ასე, რომ მისი ჩვენება მტკიცებულებად არ გამოდგება.

შემთხვევის ადგილიდან არ ამოუღიათ რაიმე კვალი ან ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ შემთხვევის ადგილზე გ. ა-ევი იმყოფებოდა. ასევე არ არსებობს

არც ერთი მოწმე, რომელიც პირდაპირ უთითებს გ. ა-ევზე როგორც დანაშაულის ჩამდენზე, ანუ საქმეში არ მოიპოვება გ. ა-ვის ბრალის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

ადვოკატი საკასაციო საჩივრით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ა-ვის მიმართ ბრალდების მეორე ეპიზოდზე, რომელიც ეხება 2007 წლის 18 თებერვალს ქ. და ა. ა-იანებზე ყაჩაღურ თავდასხმასა და ა. ა-იანის განზრახ მკვლელობის მცდელობას, დაადგინა უკანონო, გამამტყუნებელი განაჩენი შემდეგ გარემოებათა გამო:

ბრალდების ამ ეპიზოდში გამოძიება ასევე ზერელედ, ტენდენციურად და არაკვალიფიციურად არის ჩატარებული, კერძოდ: არასრულყოფილად არის დათვალიერებული შემთხვევის ადგილი, დათვალიერების ოქმში არ არის მითითებული სადარბაზოს ფართობი, მანძილები, კონკრეტულად ის ადგილები, საიდანაც ამოღებულია ნივთმტკიცებები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე გამოძიება ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის უხეში და მნიშვნელოვანი დარღვევებით, რასაც სააპელაციო სასამართლომ არ მისცა ადეკვატური სამართლებრივი შეფასება და, შესაბამისად, მოიქცა ტენდენციურად, მსჯავრდებულ გ. ა-ვის ინტერესების უხეში დარღვევით. მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა ურთიერთსაწინააღმდეგო, კანონის უხეში დარღვევით მოპოვებულ საეჭვო მტკიცებულებებზე დაყრდნობით; სასამართლომ უხეშად დაარღვია გ. ა-ვის უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ამასთან, გ. ა-ვეი არის ახალგაზრდა; წარსულში არ არის ნასამართლევი; კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და დედა; არის სპორტსმენი და ბევრი რამ გააკეთა საქართველოს სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გასატანად – ის არის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის გამარჯვებული კიგბოქსინგში, ასევე ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული. ასეთი წარსულის მქონე ადამიანი არ შეიძლება იყოს კრიმინალი.

მსჯავრდებულ ო. ხ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. კ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ განაჩენი ო. ხ-შვილის მიმართ არის მკაცრი; მან აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული; იგი დაავადებულია ჰეპატიტით, პირველადაა სამართალში, ხასიათდება დადებითად.

მსჯავრდებული ი. უ-ოვი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო; საქმეში არ დევს არანაირი მტკიცებულება, რაც მის ბრალეულობას დაადასტურებდა; პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული ქვითრები მას არ ეკუთვნის, ისინი ჩაუდეს ოპერმუშაკებმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით მსჯავრდებულების: გ. ა-ვის, ო. ხ-შვილის, ი. უ-ოვისა და გ. ხ-ძის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოში გ. ა-ვის, ო. ხ-შვილის, ი. უ-ოვისა და გ. ხ-ძის ბრალდების საქმის განხილვისას და ამ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას არ შესრულდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, გულდასმით არ შემოწმებულა მსჯავრდებულებისა და მათი დამცველების ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა და ნაკლები ბრალის, დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევებთან დაკავშირებით, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით. გარდა ამისა, დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

გ. ხ-ძის მსჯავრდებას საფუძველად დაედო შემდეგი მტკიცებულებები: 1. დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ხელის თითის კვალი დატოვებულია მისი მარჯვენა ხელის შუა თითით. 2. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, გლდანის მასივის კორპუსის ბ-ში ჩატარებული გ. ხ-ძის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნაგანი და მასში მოთავსებული 2 ვაზნა ვარგისია სროლისათვის. 3. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, გლდანის მასივის – კორპუსის ბ-ში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული 33 ვაზნა ვარგისია სროლისათვის.

პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო ინსტანციაში საბოლოო დასკვნის გამოტანა გ. ხ-ძის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე შეუძლებელია აღნიშნული მტკიცებულებების ხელმეორედ სრული გამოკვლევისა და შეფასების გარეშე შემდეგ გარემოებათა გამო:

1. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, მინიდან ამოღებული 1 თითის კვალი (რომელიც ექსპერტის დასკვნით დატოვებულია გ. ხ-ძის მიერ) არ არის დალუქული. ოქმს დამსწრეების სახით ხელს აწერენ ნ. კ-შვილი და ნ. დ-შვილი.

წინასწარ გამოძიებაში ნ. კ-შვილი და ნ. დ-შვილი დაიკითხნენ მოწმეების სახით. მათი ჩვენებებიდან ჩანს, რომ ისინი იმყოფებოდნენ სერვის-ცენტრში ყაჩაღობის დროს და არიან მომხდარი ფაქტის თვითმხილველები. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ისინი მონაწილეობდნენ როგორც დამსწრეები, რა ნახეს და რა გააკეთეს, – ამაზე ჩვენებაში არაფერს ამბობენ. სასამართლო პროცესზე დაიკითხა ერთ-ერთი დამსწრე – ნ. კ-შვილი, რომელმაც დაადასტურა ის ფაქტი, რომ ესწრებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და მოაწერა ხელი: “ხელმოწერით დავაფიქსირე, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს ქვითრები, რასაც ეტყობოდა ბოტასის ტერფი. მათ მინებზე აიღეს ანაბეჭდები. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს სპეციალისტი იყო თუ არა, მე არ ვიცი, ვერ გეტყვით, რაიმეზე ხელი არ მომიწერია. შეიფუთა თუ არა რაიმე, არ ვიცი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, ალბათ, მოვაწერე ხელი”. მეორე დამსწრის დაკითხვა ვერ მოხერხდა, რადგან არ იყო საქართველოში.

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით გაიხსნა დალუქული კონვერტი #12 ბეჭდის ანაბეჭდით. ერთ მხარეს იკითხება ხელნაწერი, კრიმინალისტი ლ. ქ-ძე, გამომძიებელი რ. კ-შვილი, ხოლო კონვერტის მეორე მხარის ბეჭდის ანაბეჭდზე აღნიშნულია სამი გაურკვეველი ხელმოწერა.

გლდანის მასივის მე-კორპუსის ბ-ში, რომელიც ეკუთვნის გ. ხ-ძის ნაცნობს, პირადი ჩხრეკის შედეგად გ. ხ-ძისაგან, ლურჯი ფერის ჯინსის შარვლის ქამრის უკანა მარჯვენა გვერდიდან ამოღებულ იქნა “ნაგანის” სისტემის ვერცხლისფერი ცეცხლსასროლი იარაღი 2 ვაზნით, შარვლის მარცხენა, წინა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ქვითრის მონახევი, წარწერით შპს “ყატრანსგაზ-თბილისი”, ა. ლ-შვილი, აბონენტის ...; ფურცლის მონახევი, რომელზეც ნუმერაციით წერია ბანკების დასახელებები, თეთრი ფერის ფურცლის ნაწილი, რომელსაც თავი და ბოლო დაწებებული აქვს და მართკუთხედი ფორმისაა.

ამოღებული ნივთები დაილუქა 2 პაკეტად #11 ლუქით: 1. ცეცხლსასროლი იარაღი. 2. ამოღებული ფურცლები და ქვითარი.

გლდანის მასივის მე-კორპუსის ბ-ის ჩხრეკის ოქმით, საძინებელი ოთახის ტუმბოს ზედა, მარცხენა უჯრიდან ამოღებულ იქნა ავტომატ “აკაესის” 33 ვაზნა და დაილუქა #12 საკანცელარიო ლუქით.

ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, წარმოდგენილი ნივთმტკიცება 1 ფუთად დალუქულია #12 ლუქით და აღინიშნება გაურკვეველი ხელმოწერები.

საქმეში არის 2007 წლის 19 აპრილის ოქმი ნივთმტკიცების – ფუთებისა და პაკეტების გახსნის შესახებ; გახსნილ იქნა 4 პაკეტი და 2 ცალი კონვერტის პაკეტი, დალუქული #12 და #27/10/დ ლუქით, რომლებიც პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ექვმიტანილების – გ. ა-ვეის, ი. უ-ოვის, გ. ხ-ძისა და ო. ხ-შვილისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულებების შემოწმების მიზნით უნდა დაიკითხონ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მითითებული კრიმინალისტი ლ. ქ-ძე, ხოლო დამსწრე ნ. დ-შვილი – შემთხვევის ადგილიდან ამოღებული კვალის დალუქვასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ მეორე დამსწრე ნ. კ-შვილი უარს აცხადებს ლუქზე ხელის მოწერაზე, ექსპერტმა უნდა ნახოს ლუქზე ხელმოწერები იმ საკითხის გასარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია, ამ ხელმოწერებით დადგინდეს, ვის ეკუთვნის ისინი.

ამასთან, გ. ხ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებები დათვალიერებული უნდა იქნეს იმის დასადგენად, თუ რა ნომერი აქვს ლუქს, ხომ არა არის დაშვებული მექანიკური შეცდომა – დანომრილია #12-ით და ოქმში მითითებულია შეცდომით #11, რადგან ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაში დალუქული იარაღის პაკეტის ლუქის ნომრად მითითებულია #12, ასევე დალუქული ქვითრებისა და ფურცლების პაკეტის ნომრად მითითებულია #12, როდესაც გამომძიებელმა გახსნა ნივთმტკიცება და ნახა.

ასევე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – გ. ა-ვეისა და ი. უ-ოვის საკასაციო საჩივრებში გასაჩივრებული განაჩენის მიმართ გამოთქმული კონკრეტული შენიშვნების, არგუმენტების საფუძვლიანობა და მათ მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები უნდა შემოწმდეს საქმის ხელახალი განხილვის პროცესში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია გაკეთდეს საბოლოო დასკვნა მსჯავრდებულების – გ. ა-ვეის, ი. უ-ოვისა და გ. ხ-ძის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რის გამოც საკასაციო საჩივრების მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდება.

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაი-

რი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. ეს კი მოცემულ შემთხვევაში როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს არ შეუსრულებიათ.

საქართველოს სსსკ-ის 475-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, აგრეთვე – იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

საქმის მასალების მიხედვით, საქმეში წარმოდგენილია მსჯავრდებულების – გ. ხ-ძის, გ. ა-ევის დახასიათებები, გ. ა-ევის დიპლომების ასლები. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაცვის მხარემ წარმოადგინა ცნობა იმის თაობაზე, რომ ო. ხ-შვილი დაავადებულია "ჩ" ჰეპატიტით, რითაც მიუთითებდა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ. ამის მიუხედავად, საქართველოს სსსკ-ის 484-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს საერთოდ არა აქვს გამოკვლეული მხარეთა მიერ წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტები, ხოლო განაჩენში მითითებულია, რომ მსჯავრდებულებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნიათ. სააპელაციო სასამართლომ განაჩენში ასევე საერთოდ არ იმსჯელა აღნიშნულ დარღვევაზე.

მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობამ გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რაც, სსსკ-ის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ახალი სასამართლო განხილვისას უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსებული მათი მახასიათებელი მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მსჯავრდებულების – გ. ა-ევის, ი. უ-ოვის, გ. ხ-ძისა და ო. ხ-შვილის მიმართ სამართლიანი სასჯელის დანიშვნის თაობაზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში.

საბოლოოდ საკასაციო პალატა, განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი გ. ა-ევის, ი. უ-ოვის, გ. ხ-ძისა და ო. ხ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის მეშვეობით უნდა გაირკვეს ყველა ზემოაღნიშნული საკითხი, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გ. ა-ევის, ი. უ-ოვის, გ. ხ-ძისა და ო. ხ-შვილის ბრალეულობის დასადგენად. ამისთვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა, რათა ამ პროცესში მოპოვებულ უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე სწორად დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულების – გ. ა-ევის, ი. უ-ოვის, გ. ხ-ძისა და ო. ხ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#496აპ-09

31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ტ-ძის დამცველის, ადვოკატ – ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის განაჩენით:

გ. ტ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; იმავე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და გ. ტ-ძეს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით და ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით;

ლ. კ-ვი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; იმავე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ლ. კ-ვივს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით და ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით;

მსჯავრდებულები – გ. ტ-ძე და ლ. კ-ვი სასჯელს იხდიან 2008 წლის 9 ოქტომბრიდან.

განაჩენით გ. ტ-ძესა და ლ. კ-ვს მსჯავრი დაედოთ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნის, შენახვისა და ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლ. კ-ვმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან გაურკვეველ ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა „აკმ“ მოდელის #Bდ3754 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 22 ცალი საბრძოლო ვაზნა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა. 2008 წლის 9 ოქტომბერს შსს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა გორის მცხოვრები ლ. კ-ვი, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს ჩამოერთვა სროლისათვის ვარგისი „აკმ-ის“ მოდელის #Bდ3754 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ერთი ცალი მჭიდი, ასევე, მასში მოთავსებული გამოსაყენებლად ვარგისი 22 ცალი საბრძოლო ვაზნა.

გ. ტ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან გაურკვეველ ვითარებაში შეიძინა და შეინახა „აკმ“ მოდელის #BB5616 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 10 ცალი საბრძოლო ვაზნა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

2008 წლის 9 ოქტომბერს შსს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ გორის რ-ნის სოფ. ... დაკავებული იქნა გ. ტ-ძე, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს ჩამოერთვა სროლისათვის ვარგისი „აკმ“ მოდელის #BB5616 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ერთი ცალი მჭიდი, ასევე მასში მოთავსებული გამოსაყენებლად ვარგისი 10 ცალი საბრძოლო ვაზნა.

აპელანტები – ლ. კ-ვისა და გ. ტ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ განაჩენის გაუქმებას იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულებს არ ჩაუდენიათ ბრალად შერაცხული დანაშაული. საქმეზე როგორც წინასწარი გამოძიება, ისე სასამართლო განხილვა ჩატარდა საქმის გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის გარეშე. სასამართლოს მიერ სათანადო შეფასება არ მიეცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მოწმეთა წინააღმდეგობრივ ჩვენებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. ტ-ძის ადვოკატმა – ზ. რ-შვილმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. იგი გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო ნორმების დარღვევით. კასატორმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და საქმის შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეამოწმა მსჯავრდებულ გ. ტ-ძის დამცველის, ადვოკატ _ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, ასევე, საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შეამოწმა საქმე სრული მოცულობით მსჯავრდებულ ლ. კ-ვის მიმართაც და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განაჩენი გ. ტ-ძისა და ლ. კ-ვის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია გარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულთა პიროვნული მახასიათებლები და მათ მიმართ სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელშეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები გ. ტ-ძისა და ლ. კ-ვის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მათი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 567-ე-568-ე მუხლებით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ტ-ძის დამცველის ადვოკატ _ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განაჩენი გ. ტ-ძისა და ლ. კ-ვის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#537აპ-09

31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ტ-ოვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის განაჩენით ი. ტ-ოვი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ი. ტ-ოვს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით;

მსჯავრდებული ი. ტ-ოვი სასჯელს იხდის 2008 წლის 1 ნოემბრიდან.

განაჩენით ი. ტ-ოვს მსჯავრი დაედო ასაფეთქებელი მოწყობილობისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნის, შენახვისა და ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. ტ-ოვმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ხელყუმბარა, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. 2008 წლის 1 ნოემბერს შსს გორის რაიონული სამმართველოში ინფორმაციის საფუძველზე, გორის რაიონის სოფელ – ი. ტ-ოვს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც სპორტული ზედატანის მარჯვენა ჯიბიდან ამოღებული იქნა მწვანე ფერის გირჩის მაგვარი ნივთი, სავარაუდოდ ხელყუმბარა, თავისივე დეტონატორით. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ი. ტ-ოვის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ერთი ცალი ხელყუმბარა არის ქარხნული წესით დამზადებული, რუსული წარმოების თავდაცვითი, მსხვერვადი „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა, იგი გამოსაყენებლად ვარგისია და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

აპელანტი – მსჯავრდებულ ი. ტ-ოვის ინტერესების დამცველი ადვოკატი მ. გ-შვილი, სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულის გამართლებას იმ მოტივით, რომ ი. ტ-ოვის ბრალი დასტურდება მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ტ-ოვმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება იმ მოტივით, რომ სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს მისი ხანდაზმულობა – არის 68 წლის ასაკის, არის ავადმყოფი, ამასთან გარდაცვლილი ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, რის გამოც ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენი ი. ტ-ოვის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირ-

რებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელშეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ი. ტ-ოვის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლებით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ტ-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენი ი. ტ-ოვის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#573აპ-09

31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ პ. ტ-ოვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 მარტის განაჩენით პ. ტ-ოვი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და პ. ტ-ოვს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით;

მსჯავრდებული პ. ტ-ოვი სასჯელს იხდის 2008 წლის 15 ოქტომბრიდან.

განაჩენით პ. ტ-ოვს მსჯავრი დაედო ასაფეთქებელი მოწყობილობისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნის, შენახვისა და ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

პ. ტ-ოვმა განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ შეეძინა, შეენახა და ეტარებინა საბრძოლო მასალა. თავისი დანაშაულებრივი ქმედების სისრულეში მოყვანის მიზნით, პ. ტ-ოვმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა ხელყუმბარა. 2008 წლის 15 ოქტომბერს შსს გორის რაიონული სასამართლოს თანამშრომლების მიერ გორის რაიონის სოფელ კ-ში პ. ტ-ოვის პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ერთი ცალი ხელყუმბარა, რომელსაც იგი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

2008 წლის 16 ოქტომბრის ბალისტიკური ექსპერტიზის #144/ზ დასკვნის თანახმად, პ. ტ-ოვის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ერთი ცალი ხელყუმბარა არის ქარხნული წესით დამზადებული, საბჭოთა წარმოების თავდაცვითი, მსხვერვადი „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა, გამოსაყენებლად ვარგისია და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

აპელანტი – მსჯავრდებულ პ. ტ-ოვი და მისი დამცველი ადვოკატი გ. ჯ-შვილი ითხოვდნენ პ. ტ-ოვის გამართლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ პ. ტ-ოვმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა მისი საქმის ობიექტურად განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენი პ. ტ-ოვის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია გარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები პ. ტ-ოვის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლებით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ პ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განაჩენი პ. ტ-ოვის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#838აპ-09

2 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე** (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განაჩეზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 ივლისის განაჩენით გ. ჯ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით 6 თვით, ხოლო იმავე მუხლის II ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 29 ივლისიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 26 ნოემბრიდან 2007 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

გაუქმდა ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის ბრძანება გ. ჯ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების - გირაოს შეფარდების თაობაზე და განაჩენის აღსრულებიდან 1 თვეში უნდა მოესხნას ყადაღა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის მონაცემებია: სარეგისტრაციო ზონა - ჩ-ი, კოდი #28, სექტორი - დ-ე, კოდი #14, კვარტალი #01, ნაკვეთი #261, საერთო ფართობი - 3100 მ² (0, 31 ჰა), საერთო ღირებულებით - 2170 ლარი და დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ქარხნული წესით დამზადებული, 1 ცალი, შავი, ცეცხლგამტარი ზონარი „ოშა“, 1 ცილინდრული ფორმის ტროტილის 400 გრამიანი კოჭა, ერთი ცილინდრული ფორმის კაფსულ-დეტონატორი - საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეგზავნოს შს სამინისტროს შემდგომი განკარგვის მიზნით.

განაჩენით გ. ჯ-ის მსჯავრი დაედო საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ჯ-იამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ფეთქებადი ნივთიერება - ტროტილის 400 გრამიანი კოჭა და ცეცხლგამტარი ზონარი, რაც ასევე უკანონოდ შეინახა და ატარებდა თავისი კუთვნილი „ნისანის“ მარკის, სახელმწიფო ნომრის მქონე ავტომანქანით. 2007 წლის 26 ნოემბერს, დაბა ჩოხატაურში, დ-მის ქუჩაზე არსებულ სავაჭრო ცენტრ „მგს-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 15 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გუბრიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული, გ. ჯ-ის კუთვნილი „ნისანის“ მარკის, ავტომანქანის ჩხრეკისას, რომელსაც თვითონ გ. ჯ-ია მართავდა, ამოიღეს შავი პოლიეთილენის პარკში გახვეული ზემოაღნიშნული ნივთები.

აპელანტი, მსჯავრდებული გ. ჯ-ია და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. გ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას, გ. ჯ-ის უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას, რასაც ასაბუთებდნენ იმ მოტივირებით, რომ წინასწარი გამოძიება მოცემულ საქმეზე ჩატარებულია არასრულად და ცალმხრივად; როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიებისას ვერ დადგინდა გამამტყუნებელი განაჩენისათვის უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა; ჩვენებები არის წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი, რაც არ არის საკმარისი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად; სასამართლოზე განხილული მტკიცებულებები მოპოვებულია კანონის უხეში დარღვევით, აგებულია მხოლოდ ვარაუდებზე, რის გამოც ისინი გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძვლად ვერ გამოდგება.

ამდენად, აპელანტებმა ითხოვეს გ. ჯ-ის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განაჩენით ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. ჯ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გ. ჯ-ის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განაჩენი გ. ჯ-ის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გარკვევის მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და მის მიმართ სასჯელის დანიშნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები გ. ჯ-ის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გარკვეოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განაჩენი გ. ჯ-ის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#440აპ-09

3 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყეშელაშვილი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით, ზ. მ-შვილს ბრალი ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვასა და განზრახ მკვლელობის ჩადენაში. დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე კოდექსის 108-ე მუხლით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ოზურგეთის რაიონში მცხოვრებმა ზ. მ-შვილმა გამოიყენა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 9 მმ კალიბრის "ADLEდ-2003-LIGHთ" მოდელის, #4433 პისტოლეტი, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში 2008 წლის 22 სექტემბრამდე. 2008 წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით 14³⁰ საათზე, ზ. მ-შვილი იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მასთან მივიდნენ იმავე სოფელში მცხოვრებნი – მ. შ-ძე, რ. მ-ძე, გ. გ-ძე და მ. ა-ძე, ამ უკანასკნელის კუთვნილი "უაზის" მარკის ავტომანქანით. რ. მ-ძესა და ზ. მ-შვილს შორის გაიმართა საუბარი ზ. მ-შვილის მიერ რ. მ-ძის არასრულწლოვანი შვილის – გ. მ-ძის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასთან დაკავშირებით. მათ შორის საუბარი გადაიზარდა ჩხუბში. ჩხუბის დროს რ. მ-ძემ დედა შეაგინა ზ. მ-შვილს, რა დროსაც იგი, აღნიშნულით განაწყენებული, ავიდა თავისი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, საიდანაც გამოიტანა ცეცხლსასროლი იარაღი – 9 მმ კალიბრის "ADLEდ-2003-LIGHთ" მოდელის, #4433 პისტოლეტი, წავიდა რ. მ-ძის მიმართულებით და შეშინების მიზნით ჰაერში ერთხელ გაისროლა. იქვე ნასვამი მ. ა-ძე შეეცადა ზ. მ-შვილისათვის ცეცხლსასროლი იარაღის წართმევასა და კონფლიქტის აღკვეთას. ამ მიზნით ის მიუახლოვდა ზ. მ-შვილს, რომელსაც სწვდა ხელში, მაგრამ ამ ქმედებამ, რითაც ზ. მ-შვილი ვერ მიუახლოვდა რ. მ-ძეს, კიდევ უფრო გაანაწყენა იგი და გადაწყვიტა განაწყენების ნიადაგზე მ. ა-ძის განზრახ მოკვლა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მან ერთხელ კვლავ გაისროლა მ. ა-ძის მიმართულებით, რომელსაც ტყვია მოხვდა მუცლის არეში. ზ. მ-შვილს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად განუვითარდა მუცლის ღრუს შემავალი, ბრმა ჭრილობა, მუცლის ფარის, ღვიძლის მარჯვენა და მარცხენა ნაწილების გამჭოლი დაზიანებითა და ქსოვილის გაგლეჯვით, ღვიძლის ქვემო ღრუ ვენის სრული გაგლეჯვით, მასობრივი შინაგანი სისხლდენით – მუცლის ღრუში, რამაც გამოიწვია მწვავე სისხლნაკლებობა და რაც გახდა მ. ა-ძის სიკვდილის მიზეზი. მ. ა-ძე იქ მყოფმა პირებმა გადაიყვანეს ოზურგეთის რაიონულ საავადმყოფოში მაგრამ მიღებული დაზიანებებისაგან იგი გზაში გარდაიცვალა, ხოლო ზ. მ-შვილმა მიატოვა შემთხვევის ადგილი და მიიმალა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამსახურის 2008 წლის 23 სექტემბრის #212/ბ დასკვნის თანახმად: "ექსპერტიზაზე წარდგენილი 9 მმ კალიბრის, "ADLEდ-2003-LIGHთ" მოდელის, #4433 პისტოლეტი, დამზადებულია ქარხნული წესით, გასროლების წარმოებისათვის ვარგისია და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას."

ზ. მ-შვილის ბრალდების საქმე განიხილა ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ, რომელმაც 2009 წლის 10 თებერვლის განაჩენით იგი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში – მკვლელობის ჩადენაში და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, აგრეთვე იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ასევე დაუნიშნა დამატებითი სასჯელი: დანაშაულის ჩადენის საშუალების – 9 მმ კალიბრის, "ADLEდ-2003-LIGHთ" მოდელის, #4433 პისტოლეტის სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძ-

ველზე ზ. მ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, აღნიშნულ დამატებით სასჯელთან ერთად.

იმავე განაჩენით ზ. მ-შვილი გამართლდა ცეცხლსასროლი იარაღის _ 9 მმ კალიბრის, "ADLE-2003-LIGHT" მოდელის, #4433 პისტოლეტის მართლსაწინააღმდეგო შექმნის თაობაზე წარდგენილ ბრალდებაში.

აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ბ. მ-ძემ და სახელმწიფო ბრალმდებელმა, პროკურორმა გ. დ-ძემ.

აპელანტი _ ადვოკატი ბ. მ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან 116-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას, რადგან, მისი აზრით, საქმის მასალებით არ დასტურდება ზ. მ-შვილის მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენა, მან ჩაიდინა მ. ა-ძის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა.

აპელანტი _ პროკურორი გ. დ-ძე საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ, მის მიმართ 13 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ ზ. მ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელი იყო ზედმეტად ლმობიერი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2009 წლის 7 აპრილის განაჩენით არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის დამცველის, ადვოკატ ბ. მ-ძისა და სახელმწიფო ბრალმდებელ გ. დ-ძის სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები, ხოლო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის განაჩენი ზ. მ-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ზ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მის მიერ ჩადენილი ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლზე შემდეგი მოტივების საფუძველზე:

თავისი ეზოში რ. მ-ძესთან მომხდარი კონფლიქტის დროს მას სამმა პირმა, რომელთა შორის იყო მ. ა-ძეც, დაუწყო ხელეების შეკვრა და ამ არეულობაში, თვითონაც არ იცის, როგორ გაუვარდა იარაღი, როგორ მოხდა გასროლა, რა დროსაც მას არავითარი განზრახვა არ ჰქონია მ. ა-ძის მოკვლისა, რომელიც დაიჭრა ამ გასროლის შედეგად; დაჭრილი მ. ა-ძის ავტომანქანით გადაყვანისას მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც დაჭრილმა მ. ა-ძემ მიიღო მძიმე დაზიანებები, რაც შეიძლება, გამხდარიყო მისი სიკვდილის მიზეზი; მის მიერ მ. ა-ძის სიცოცხლის მოსპობა ჩადენილია გაუფრთხილებლობით (თვითიმედოვნებით); სასამართლომ ობიექტური შეფასება არ მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, დაუშვა შეცდომა მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრისას და მის მიმართ დაადგინა უკანონო განაჩენი.

საკასაციო პალატის სხდომაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა კ. პ-ვამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საჩივრის მოთხოვნას კასატორის მიერ მითითებული მოტივების საფუძველზე, კერძოდ, მან იშუამდგომლა პალატის წინაშე, რომ მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 116-ე მუხლზე და ამ მუხლის შესაბამისად განესაზღვროს მას სასჯელი, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ლ. ქ-შვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს, რომელიც მიიჩნია უსაფუძვლოდ შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე: სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ ზ. მ-შვილმა მ. ა-ძის მკვლელობა ჩაიდინა არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით და ამ ნაწილში მისი ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული. რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ზ. მ-შვილმა ჩაიდინა მ. ა-ძის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით (თვითიმედოვნებით) მოსპობა, არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან. საქმეში არსებობს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის კატეგორიული დასკვნა, რომლის მიხედვით, მ. ა-ძის სიკვდილის მიზეზი გახდა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით გამოწვეული მწვავე სისხლნაკლებობა, ხოლო სხვა დაზიანებები მიყენებულია მისი სიკვდილის დადგომის შემდეგ, ძალიან მალე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პროკურორი ლ. ქ-შვილი იშუამდგომლობს პალატის წინაშე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენი მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის მიმართ, შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ზ. მ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას არ იქნა დაცული საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, არ მომხდარა საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევა და გულდასმით არ შემოწმებულა დაცვის მხარის განცხადება მსჯავრდებულის მიერ უფრო ნაკლები სიმძიმის დანაშაულის ჩადენის თაობაზე, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის თვალსაზრისით, რითაც დაშვებულ იქნა ასევე საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა და იმავე კოდექსის 528-ე მუხლში მითითებული დარღვევები. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს შემდეგი: მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა იმ ძირითადი ფაქტობრივი გარემოების დეტალური გამოკვლევა და დაზუსტება, რომლის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების ობიექტური შეფასებისა და სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის. არც პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩატარებული სასამართლო გამოძიებით და არც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ გამოკვლეულა, თუ რა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გავლენის შედეგად მოხდა ზ. მ-შვილის ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა, რის შედეგადაც დაიჭრა მ. ა-ძე. ამ მიმართებით დეტალურად არ დაკითხულან შემთხვევის შემსწრე მოწმეები, რათა გარკვეულიყო, მ. ა-ძის გარდა, ამ უკანასკნელთან ერთად, მონაწილეობდნენ თუ არა შემთხვევის ადგილზე მყოფი სხვა პირებიც ზ. მ-შვილისათვის ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის მცდელობაში; ამ მომენტში ამ პირებსა და ზ. მ-შვილს შორის გაიმართა თუ არა ჭიდილი ხსენებული იარაღის დასაუფლებლად და გამოყენებული იყო თუ არა ძალა ასეთი მიზნით ზ. მ-შვილის მიმართ; თუკი მართლაც იყო მათ შორის ჭიდილი, მაშინ რამდენად მჭიდროდ იმყოფებოდნენ ერთმანეთთან მ. ა-ძე და ზ. მ-შვილი; ამ მომენტში ზ. მ-შვილის გარდა იარაღზე ხელი ჰქონდა თუ არა მოკიდებული მ. ა-ძესაც ან სხვა პირებს და რას ამბობდნენ ამ დროს ზ. მ-შვილი და მ. ა-ძე; როგორი იყო იარაღის გასროლასა და დაჭრაზე ზ. მ-შვილის იმწუთიერი რეაქცია და იყო თუ არა მასში გამოხატული მომხდარის მოულოდნელობა ანდა ასეთი შესაძლებლობის დაშვება; როგორი იყო თვით მ. ა-ძის რეაქცია თავისი დაჭრის გამო.

მითითებული გარემოებების დადგენისა და ამ გზით დანაშაულის შემთხვევის ვითარების აღდგენის გარეშე შეუძლებელი იქნება, სამართლებრივად სწორი შეფასება მიეცეს ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილ ქმედებას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებაზე: საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ზ. მ-შვილის მიერ ინკრიმინირებული ქმედება ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში მსჯელობა ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების სუბიექტური მხარის თაობაზე ბუნდოვანი და გაურკვეველია, საიდანაც ძნელია გამოიტანო დასკვნა: ზ. მ-შვილმა ქმედება ჩაიდინა პირდაპირი თუ ევენტუალური განზრახვით. სააპელაციო სასამართლოც, თავის განაჩენში მსჯელობს რა მკვლელობის ნაწილში ზ. მ-შვილის ქმედების სუბიექტური მხარის თაობაზე, მართალია, მიუთითებს არაპირდაპირი განზრახვის არსებობაზე, მაგრამ მისი დასკვნა ამის თაობაზე კვლავ გაურკვეველია, როდესაც აღნიშნავს, რომ ზ. მ-შვილი შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მ. ა-ძის სიკვდილის დადგომას. ამასთან, ეს წინააღმდეგობრივი დასკვნა სასამართლოს არ დაუსაბუთებია იმ შესაბამის კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითებით, რომლებიც შეიძლებოდა, საფუძვლად დადებოდა ასეთ დასკვნას.

ამავე დროს, სააპელაციო სასამართლო რამდენადმე ზერელად მოეკიდა ზ. მ-შვილის მიერ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის თაობაზე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი პოზიციის შემოწმებას და განაჩენში მხოლოდ ზოგადად მიუთითა, რომ ასეთი პოზიცია არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან მაშინ, როდესაც სასამართლოს არ ჰქონდა გამორკვეული და დადგენილი ზემოხსენებული მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა სწორად და ობიექტურად დადგენის გარეშე საერთოდ შეუძლებელია საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა ზ. მ-შვილის ბრალეულობის თაობაზე.

სხვათა შორის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავისი პოზიცია არც იმ მხრივ არა აქვს დასაბუთებული, თუ რატომ არ იზიარებს საბრალდებო დასკვნაში მოცემულ ვერსიას ზ. მ-შვილის მიერ მ. ა-ძის მკვლელობის პირდაპირი განზრახვით ჩადენის შესახებ. საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში, მომხდარი შემთხვევის ვითარების გათვალისწინებით, არც ის არის გამორიცხული, რომ ზ. მ-შვილის მხრივ მ. ა-ძის სიცოცხლის ხელყოფა ჩადენილი იყოს გაუფრთხილებლობით (როგორც თვითიმედოვნებით, ასევე დაუდევრობით), მაგრამ

ეს ვერსია საფუძვლიან შემოწმებას მოითხოვს, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ზ. მ-შვილის ბრალდების საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვის დროს.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ზ. მ- შვილის ბრალდების საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას დაუშვა არსებითი საპროცესო დარღვევები, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე და რაც მოცემულ შემთხვევაში, თანახმად საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა, წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენი ზ. მ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. აღნიშნული საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განხილვისას შესაბამისი საპროცესო მოქმედებების გზით უნდა ჩატარდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი და სრული გამოკვლევა ზემოაღნიშნული გარემოებების დასადგენად, რა დროსაც ზ. მ-შვილის ბრალეულობასთან დაკავშირებით თანაბარ პირობებში გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს ყველა ვერსიის საფუძვლიანობა, რომლებიც წარმოდგენილია ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ, ხოლო ამ გზით მიღებული სარწმუნო შედეგების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების ობიექტური სამართლებრივი შეფასება.

იმავედროულად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე, როცა გარკვეული და სარწმუნოდ დადგენილი არ არის საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე ან სხვაგვარი საბოლოო გადაწყვეტილება, რის გამოც საკასაციო საჩივარი ვერ დაკმაყოფილდება.

აღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: ზ. მ-შვილის ბრალდების საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ საკასაციო ინსტანციაში განაჩენი გაუქმდა დაცვის მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის საფუძველზე, რის გამოც აღნიშნულ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებისას არ შეიძლება გაუარესდეს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენი ზ. მ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#404აპ-09

4 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ხ-ავას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით დ. ხ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 10 წლის ვადით საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 15 ივნისიდან.

განაჩენით დ. ხ-ავას მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ხ-ავას განზრახული ჰქონდა რა შეეძინა ნარკოტიკული საშუალება, განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

შემენილი ნარკოტიკული საშუალება მან დააფასოვა სხვადასხვა სახით, რაც უკანონოდ შეინახა საკუთარ საცხოვრებელ სახლსა და სარდაფში.

2008 წლის 15 ივნისს, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისში, ა-ის მე-3 ჩიხის, 8/9-ში მდებარე დ. ხ-ავას საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა შავი ფერის ხელჩანთაში მოთავსებული ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული ყავისფერი ფხვნილისებური ნივთიერება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს", წონით 0,3442 გრ. ამავე ბინის საძინებელ ოთახში განთავსებული საწერი მაგიდის თაროდან ამოღებულ იქნა ორგრამიანი შპრიცი შიგ არსებული გამჭვირვალე ფერის სითხით, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს", წონით 0,0019 გრ. ასევე, საძინებელ ოთახში მდგარ ტუმბოდან ამოღებულ იქნა ერთი ცალი ინსულინის შპრიცი, შიგ მოთავსებული მოყავისფრო სითხით "ჰეროინის ხსნარი", 0,0122 გრამის ოდენობით და ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში მოთავსებული მორუხო ფერის ფხვნილისებური ნივთიერება, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს, წონით 0,0122 გრამი.

ჩხრეკისას დ. ხ-ავას საცხოვრებელი ბინის სარდაფიდან ამოღებული იქნა თეთრი ფერის სიგარეტის კოლოფი, წარწერით MM, რომელშიც მოთავსებული იყო პოლიეთილენის გამჭვირვალე პარკში ცალ-ცალკე, ხუთ ე.წ. "ბაზად," დაფასოებული მორუხო ფერის ფხვნილოვანი და დაკრისტალეული ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს " წონით 6,319 გრამი.

დ. ხ-ავას საცხოვრებელი ბინისა და სარდაფის ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერებები შს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის #665/სქ დასკვნის შესაბამისად წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს", საერთო წონით 6,6893 გრამი.

აპელანტი, მსჯავრდებული დ. ხ-ავა სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გამართლებას იმ მოტივით, რომ წინასწარი გამოძიება მოცემულ საქმეზე ჩატარებულია არასრულად და ცალმხრივად, რომ სასამართლომ ბრალდების ვარაუდებზე დაყრდნობით მის მიმართ გამოიტანა გამამატყუნებელი განაჩენი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა იმ მიმართებით, რომ მსჯავრდებულ დ. ხ-ავას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, ხოლო "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში აღნიშნული უფლებები ჩამოერთვა 5 წლის ვადით. ამასთან, მსჯავრდებულ დ. ხ-ავას, მისგან ამოღებული ნივთები – ჩამოერთვა, როგორც დანაშაულის ჩასადენად გამოიხსნა. სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ. ხ-ავამ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება, იმ მოტივით, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებები მას არ ეკუთვნის.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განაჩენი დ. ხ-ავას მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა და სათანადოდ არ შეამოწმა განსასჯელის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები, ამასთან, არასრულად იქნენ დაკითხულნი პირები, რომელთა ჩვენებებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს მსჯავრდებულის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას გაკეთებულ განცხადებაზე, რომ სარდაფის, რომლიდანაც ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, "კარი არ იკეტება და ღია ჩასასვლელი აქვს". სარდაფის მდებარეობასა და მდგომარეობასთან მიმართებაში მწირი ინფორმაცია პოლიციის თანამშრომლების, ჩხრეკის დამსწრე პირებისა და მსჯავრდებულის მეზობლების მიერ მიცემულ ჩვენებებში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოების მიერ ვერ იქნა უარყოფილი ვარაუდი აღნიშნული სარდაფიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალების მსჯავრდებულ დ. ხ-ავასადმი კუთვნილებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელხალა განსახილველად გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც ჯეროვნად უნდა გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ხ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განაჩენი დ. ხ-ავას მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#473აპ-09

4 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 1 აპრილის განაჩენზე, რომლითაც ზ. მ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენით ზ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილით (1999 წლის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული, მოუხდელი სასჯელი – 3 წელი და ზ. მ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 31 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2006 წლის 17 იანვრიდან 2006 წლის 19 იანვრის ჩათვლით, სულ – 3 დღე.

გაუქმდა აღკვეთის ღონისძიება – გირაო, ხოლო გირაოს სახით ს/ს ბანკ „რესპუბლიკაში“ შეტანილი თანხა – 10 000 ლარი დაუბრუნდა გირაოს შემტანს – თ. მ-შვილს.

განაჩენით ზ. მ-შვილს მსჯავრი დაედო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, ე.ი. სხეულის დაზიანებისათვის, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 17 დეკემბერს, დაახლოებით 16 საათზე, ლ. ვ-ანი მივიდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ქ-ში მდებარე რესტორან „იმერულში“, იმავე რესტორანში მომუშავე მ. ფ-აიასთან თხოვნით მასთან შეხვედროდა. შეხვედრის დროს გაირკვა, რომ რესტორნის უფროსს – ზ. მ-შვილს მასთან ჰქონდა სასაუბრო, მაგრამ, რადგან ეს უკანასკნელი იყო ნასვამი, მ. ფ-აიამ ურჩია, რომ მას სხვა დროს შეხვედროდა. რადგან უკვე რესტორანში იმყოფებოდა, ლ. ვ-ანმა გადაწყვიტა, გაერკვია, თუ რატომ გაათავისუფლეს იგი სამსახურიდან და რა საკითხზე სურდა ზ. მ-შვილს მასთან საუბარი. ამ მიზნით იგი შევიდა სამხარეულო ოთახში, სადაც იმყოფებოდა ზ. მ-შვილი. ლ. ვ-ანის შეკითხვაზე, თუ რა ჰქონდა მასთან სასაუბრო, ზ. მ-შვილმა დაუწყო კამათი, უთხრა, რომ იყო აგენტი, ე.წ. „პოლიციის ნასედკა“. შეურაცხყოფილმა ლ. ვ-ანმა ორივე ხელი მოჰკიდა მას ქურთუკში და მოსთხოვა აეხსნა, თუ რატომ იყო ე.წ. „პოლიციის ნასედკა“. აღნიშნულით განაწყენებულმა ზ. მ-შვილმა შურისძიების მოტივით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიზნით, აიღო იქვე, მაგიდაზე, დადებული სამხარეულო დანა და ერთხელ დაარტყა ლ. ვ-ანს მუცლის არეში, რითაც მუცლის ღრუში შემავალი ნაკვეთი ჭრილობის სახით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. ლ. ვ-ანი მიღებული დაზიანების გამო გადაიყვანეს ქუთაისის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში.

აპელანტმა – მსჯავრდებულმა ზ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით:

სასამართლომ განაჩენი გამოიტანა ვარაუდებზე დაყრდნობით, მან ექვი არ გადაწყვიტა განსასჯელის სასარგებლოდ; თვით დაზარალებულიც კი ვერ ადასტურებს იმას, რომ მას დანა მუცლის არეში განსასჯელმა დაარტყა; საქმეზე დაკითხული ყველა მოწმე აღნიშნავს, რომ შემთხვევის დროს ზ. მ-შვილი რესტორანში არ ყოფილა და ლ. ვ-ანმა თავისი ხელით მიიყენა დაზიანება პროვოკაციის მოსაწყობად. სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა ექსპერტიზის დასკვნაც; მოწმის სახით დაკითხულმა ქირურგმა კ. კ-ავამ განაცხადა, რომ მუცლის ღრუს ორგანოები დაზიანებული არ ყოფილა, ანუ გამორიცხულია, რომ ლ. ვ-ათვის მიყენებული დაზიანება მიეკუთვნებო-

დეს მძიმე სახის დაზიანებას; სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და აქედან გამომდინარე, მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრისა და 2009 წლის 1 აპრილის განაჩენებით წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, გამოტანილია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით; სასამართლომ არ გაიზიარა „თვითმხილველი“ მოწმის – გ. ა-ძის ჩვენება ლ. ვ-ანის თვითდაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, ასევე ის ფაქტი, რომ შემთხვევის დროს თვითონ რესტორანში არ იმყოფებოდა; სასამართლომ ეჭვი არ გადაწყვიტა ბრალდებულის სასარგებლოდ; არ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სრულიად უსაფუძვლოდ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

ამდენად, მსჯავრდებულმა ითხოვა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენისა და ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის განაჩენის გაუქმება, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა და გამართლება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ზ. მ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა – ნ. ბ-ძემ და ც. ო-ნმა მხარი დაუჭირეს მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრს და ითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება, საქმის წარმოებით შეწყვეტა და ზ. მ-შვილის გამართლება.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა ა. ს-შვილმა საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა, განაჩენი ზ. მ-შვილის მიმართ მიიჩნია კანონიერად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მალეები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის განაჩენი ზ. მ-შვილის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან: დაზარალებულ ლ. ვ-ანისა და მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის ჩვენებებიდან, მოწმეების: მ. ბ-შვილის, მ. ფ-აიას, გ. ჯ-ძის, გ. ა-ძის, ქირურგ კ. კ-ავას, ექიმების – მ. გ-შვილისა და თ. გ-ძის ჩვენებებიდან, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრევის ოქმებიდან, დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებიდან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #1588, ტრასოლოგიური ექსპერტიზის #2-35/ტრ, ექსპერტიზის #23/სბ დასკვნებიდან და საქმის სხვა მასალებიდან უტყუარად არ გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებანი.

სასამართლო გამოძიებისას მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ნ. ა-ძემ აღნიშნა: „დაზარალებულს ჭრილობა შეიძლება თავად მიეყენებინა, მაგრამ ამის კატეგორიული მტკიცება არ შეიძლება. ჭრილობა შეიძლება სხვასაც მიეყენებინა“.

ასევე კატეგორიულ დასკვნას ვერ იძლევა ვერც საქმეში არსებული, 2005 წლის 23 დეკემბრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #1588 დასკვნა, რის საფუძველზეც ლ. ვ-ანს დაუდგინდა დიაგნოზი: „მუცლის ღრუში შემავალი ნაკვეთი ჭრილობა, რომელიც მიეყენებულა მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. არ არის გამორიცხული, აღნიშნული დაზიანება მიეყენებინა თვითონ, თუმცა ექსპერტიზისათვის ამის კატეგორიული მტკიცება შეუძლებელია“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

ამდენად, პალატა თვლის, რომ არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეალური ვითარების გარკვევა და, შესაბამისად, არ მისცეს

მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დასაბუთების გარეშე, ფაქტობრივად ერთი და იმავე სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე, ძირითადად – ბრალდების მოწმეების ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების გათვალისწინებით, ძალაში დატოვა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: „გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძველად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე“.

როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უხეშად დაარღვიეს სსსკ-ის 539-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ: განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლო დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; არ აღმოფხვრილა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დასკვნებს; სასამართლოს არ გათვალისწინებია საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი; წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

რამდენადაც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ზ. მ-შვილის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით, გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარების დროს ხელახლა უნდა დაიკითხონ მოწმეები, ექსპერტები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის განაჩენი ზ. მ-შვილის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

განჩინება

#780აპ-09

17 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ლ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის განაჩენით კ. ლ-ია, – ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, II, III ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც მას იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილით, შვიკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 9 თებერვლიდან.

საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით კ. ლ-ის დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, კ. ლ-ის კუთვნილი ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი", დაუბრუნდა კ. ლ-ის.

განაჩენით კ. ლ-ის მსჯავრი დაედო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვაში; ასევე – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებაში; მასვე მსჯავრი დაედო ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დამზადებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. ლ-იამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – „AK-74“ მოდელის, 5,45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი, საბრძოლო მასალები – 26 ცალი 5,45 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნა, განკუთვნილი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის AK-74, AKR-74, AKR-74y ავტომატებისა და PPK-74, PPKC-74 ტყვიამფრქვევისათვის და 6 ცალი 9 მმ კალიბრის ვაზნა, განკუთვნილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებისათვის, ასევე „სტეჩკინის“ სისტემის ავტომატური პისტოლეტებისათვის, რომელთაც უკანონოდ ინახავდა. 2009 წლის 9 თებერვალს ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე, კ. ლ-ის კუთვნილი „მერსედესის“ ფირმის ავტომანქანის საბარგულიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს „AK-74“ მოდელის 5,45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი, საბრძოლო მასალები – 26 ცალი 5,45 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნა, განკუთვნილი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის AK-74, AKC-74, AKC-74Y ავტომატებისა და PPK-74, PPKC-74 ტყვიამფრქვევისათვის, რომლებსაც იგი უკანონოდ ატარებდა. 2009 წლის 9 თებერვალს ქ. ფოთში, ... ქ. #123-ში მდებარე კ. ლ-ის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს 6 ცალი 9 მმ კალიბრიანი ვაზნა, განკუთვნილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებისათვის, ასევე „სტეჩკინის“ სისტემის ავტომატური პისტოლეტებისათვის, რომლებიც მან უკანონოდ შეიძინა და ინახავდა.

კ. ლ-იამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – AK-74 მოდელის 5,45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი, საბრძოლო მასალა – 26 ცალი 5,45 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნა განკუთვნილი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის AK-74, AKC-74, AKC-74Y ავტომატებისა და PPK-74, PPKC-74 ტყვიამფრქვევისათვის, რომლებსაც უკანონოდ ინახავდა. 2009 წლის 9 თებერვალს ქ. ფოთში, ... ქუჩაზე, კ. ლ-ის კუთვნილი „მერსედესის“ ფირმის ავტომანქანის საბარგულიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს AK-74 მოდელის 5, 45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი, 26 ცალი 5, 45 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნა, განკუთვნილი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის AK-74 AKC-74, AKC-74Y ავტომატებისა და PPK-74 PPKC-74 ტყვიამფრქვევისათვის, რომლებსაც იგი უკანონოდ ატარებდა.

კ. ლ-იამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ, კუსტარულად დაამზადა ასაფეთქებელი მოწყობილობა – გვარჯილისა და ნავთობპროდუქტების ფეთქებადნარევი ხელის მსხვერვადი ყუმბარების "УЗРГМ" ტიპის საბრძოლო ფალია. 2009 წლის 9 თებერ-

ვალს ქ. ფოთში, ... ქუჩაზე, კ. ლ-იას კუთვნილი „მერსედესის“ ფირმის ავტომანქანის საბარგულიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ასაფეთქებელი მოწყობილობა – გვარჯილისა და ნავთობპროდუქტების ფეთქებადი ნარევი ხელის მსხვერვადი ყუმბარების "Y3PTM" ტიპის საბრძოლო ფალია, რომელიც მან უკანონოდ დაამზადა.

აპელანტი – მსჯავრდებულ კ. ლ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ბ-მე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ასევე კერძო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მოსამართლის მიერ გრაფიკული და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე უარის თქმის შესახებ 2009 წლის 27 მაისის დადგენილების გაუქმებას და აღნიშნული ექსპერტიზების დანიშვნას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი გარემოებებით: განაჩენი კ. ლ-იას მიმართ არის უკანონო და დაუსაბუთებელი. წინასწარი გამოძიებით უტყუარად არის დადგენილი, რომ კ. ლ-იას კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა თითქმის მთელი დღის განმავლობაში იდგა ლარნაკას ქუჩაზე მდებარე ავტოსამრეცხაოში, რაც დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა გიორგი ქარჩავამ. ასევე „ფოთი-ოილის“ ბენზინგასამართი სადგურიდან კ. ლ-იასთან ერთად გამოსვლის ფაქტს ადასტურებს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ზ. ჩ-უა. თვით კ. ლ-იას ჩვენებით იგი შემთხვევის დღეს, ლარნაკას ქუჩაზე, თავისი ოფისიდან დაახლოებით 30-40 მეტრში გააჩერეს ფოთის შს სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა, რომელთა მოთხოვნის შესაბამისად, მანქანის საკეტსთან დაჯდა პოლიციელი ზ. კო-მე, ხოლო თვითონ – მანქანის უკანა სავარძელში. პოლიციის სამმართველოში ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მას რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი ვერ უპოვეს, ასევე ფორმალურად ჩატარდა მისი ა/მანქანის ჩხრეკა (ისე, რომ არავის დაუთვალა იერებია), შედგა მანქანის ჩხრეკის ოქმი, სადაც ჩაიწერა, რომ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ აღმოუჩენიათ, რაც კ. ლ-იამ ხელმოწერით დაადასტურა.

მსჯავრდებულმა კ. ლ-იამ სასამართლო გამოძიების დროს უარყო 2009 წლის 9 თებერვალს ა/მანქანის ჩხრეკის ოქმზე ხელის მოწერა. მისი განმარტებით, ოქმში ავტომატის 26 ვაზნისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების შესახებ არაფერი იყო აღნიშნული, ოქმზე ხელის მოწერა კი გაყალბებული იყო. ამის გამო დაცვის მხარემ მოითხოვა საქმეზე გრაფიკული ექსპერტიზის დანიშვნა, რაზეც სასამართლომ უსაფუძვლოდ უარი უთხრა.

კ. ლ-იას ა/მანქანიდან ვითომდა ამოღებულ ავტომატთან, ვაზნებსა და ასაფეთქებელ ნივთიერებასთან დაკავშირებით გამოძიებას არ დაუდგენია, ჰქონდა თუ არა კ. ლ-იას მათზე შეხება, რის გამოც უნდა დანიშნულიყო შესაბამისი დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, რომლის დანიშვნის შესახებ სასამართლო გამოძიების დროს დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას უარი ეთქვა.

ამდენად, დაცვის მხარის აზრით, 2009 წლის 9 თებერვალს პოლიციის სამმართველოში სამართალდამცავმა მუშაკებმა შეადგინეს ყალბი ჩხრეკის ოქმი, სადაც მიუთითეს, რომ ავტომანქანის საბარგულში ეწყო ხსენებული ავტომატი, ვაზნები და ასაფეთქებელი მოწყობილობა და იქვე გაყალბდა კ. ლ-იას ხელმოწერაც.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 აგვისტოს განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ კ. ლ-იას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. ბ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა საჩივრით ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა და მსჯავრდებულ კ. ლ-იას გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 აგვისტოს განაჩენი კ. ლ-იას მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი სა-

შიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები კ. ლ-იას მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ლ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატის _ ლ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 31 აგვისტოს განაჩენი კ. ლ-იას მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები

ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი

განჩინება

#1133-აპ-08

4 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 მაისის განაჩენით გ. მ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და 258-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე _ საფლავის მიწისზედა ნაგებობების დაზიანება ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-ვი 2003 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ამხანაგებთან _ ს. ა-ვსა და ი. კ-ვთან ერთად ბოლნისის რაიონის მცხ. ა. რ-ვის კუთვნილი „მოსკვიჩი-412“ მარკის ავტომანქანით იმყოფებოდა ამავე რაიონის სოფელში. მანქანას მართავდა ს. ა-ვი. სოფლის სასაფლაოს გვერდით გამავალ გზაზე მოძრაობისას ი. კ-ვმა სასაფლაოზე შენიშნა, რომ ერთ-ერთ საფლავს, მიწისზედა ნაგებობის სახით, შემოვლებული ჰქონდა ფერადი ლითონის _ დურალუმინის ფიგურული ფორმების მესერი და მანქანაში მყოფ პირებს შესთავაზა, დაეზიანებინათ ზემოაღნიშნული მესერი, ხოლო

საფლავიდან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული დურალუმინის ფიგურული ფორმები გაეტაცები-ნათ, მოეხდინათ მათი რეალიზაცია და მიღებული თანხა თანაბრად გაენაწილებინათ. თავიანთი ერთიანი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. მ-ვი თანამზრახველებთან ერთად გადავიდა მანქანიდან. მათ ამოიღეს ქანჩის მოსახსნელი ხელსაწყო და რკინის მოკლე ძალაყინი, მივიდნენ ჯ. მ-ვის საფლავთან, აღნიშნული ხელსაწყოების გამოყენებით დააზიანეს და საფლავიდან გაიტაცეს 58 ცალი ფიგურული ფორმის დურალუმინის დეტალი. გატაცებული დეტალები მათ ჩატვირთეს ავტომანქანის საბარგულში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დაახლოებით მესამე დღეს, გ. მ-ვმა თავის თანამზრახველებთან ერთად მოახდინა ზემოაღნიშნულ ნაკეთობათა რეალიზაცია ქ. მარნეულში. მიღებული თანხა – 160 ლარი – მათ თანაბრად გაინაწილეს. ბოროტმოქმედებმა თავიანთი ქმედებით დაზარალებულ გ. მ-ევას მიაყენეს 464 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-ოვს საბოლოოდ მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. მ-ვმა და მისმა ადვოკატმა ნ. ბ-მემ. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და გ. მ-ვის გამართლება.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას მსჯავრდებულმა შეცვალა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა და გ. მ-ვს საბოლოოდ მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 25 იანვრიდან. მსჯავრდებულს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა ექსტრადიციისას პატიმრობაში ყოფნის დრო.

მსჯავრდებული გ. მ-ვი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს 258-ე მუხლი, ასევე – ქურდობა მნიშვნელოვანი ზიანით. აღნიშნულის გამო იგი ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას მინიმუმამდე, საქართველოსა და აზერბაიჯანის კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორი ლ. ლ-შვილი შესაგებლით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არც მსჯავრდებული უარყოფს. სააპელაციო სასამართლოში გ. მ-ვმა აღიარა ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

ამასთან, საბრალდებო დასკვნით გ. მ-ვს ბრალი ედებოდა არა საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ და ჯგუფურად დაუფლებებაში, არამედ საფლავის მიწისზედა ნაგებობის ჯგუფურად დაზიანებაში, რასაც ითვალისწინებს ამ მუხლის მხოლოდ 1-ლი ნაწილი და რომელსაც მაკვალიფიცირებელი ნიშანი არა აქვს. პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 258-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოიცავს მხოლოდ მეორეს.

გარდა ამისა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის 2007 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით ჩადენილი ქურდობისა და მიცვალებულისადმი ჯგუფურად გამოვლენილი უპატივცემულობისათვის გამამტყუნებელი განაჩენის აღსასრულებლად გ. მ-ვის გადმოცემის შესახებ, რადგან აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს მიცვალებულისადმი უპატივცემულობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს – “ჯგუფურობას”, ხოლო გ. მ-ვის მიერ ქურდობით გამოწვეული ზიანის ოდენობა აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსით არ წარმოადგენს მნიშვნელოვანს.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ბრალდების იმ ნაწილში, რომლისთვისაც იგი არ ყოფილა გადმოცემული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში გ. მ-ვის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო ამავე კოდექსის 258-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით ბრალად შერაცხული ქმედება უნდა მაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით და, შესაბამისად, მსჯავრდებულს შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გარდა ამისა, გ. მ-ვს ამ განჩინებით დანიშნული სასჯელის ვადაში მოხდილად უნდა ჩაეთვალოს ექსტრადიციისას პატიმრობაში ყოფნის დრო – 2007 წლის 28 დეკემბრიდან – აზერბაიჯანის

რესპუბლიკის გენერალური პროკურორის დადგენილების გამოტანის დღიდან, 2008 წლის 25 იანვრამდე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-ვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში გ. მ-ვის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გ. მ-ვის ქმედება სსკ-ის 258-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გ. მ-ვს საბოლოოდ განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 25 იანვრიდან;

მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს ექსტრადიციისას პატიმრობაში ყოფნის დრო _ 2007 წლის 28 დეკემბრიდან 2008 წლის 25 იანვრამდე _ 28 დღე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

განჩინება

#99აპ-09

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულების _ მ. ა-ს, ნ. ხ-სა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ფ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით მ. ა-ს, მ. ა-სა და ნ. ხ-ს ბრალი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს სამსახურებრივი გულგრილობა, ე.ი. მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და მოჰყვა მძიმე შედეგი, ე.ი. დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

მ. ა-ს 1970 წლის 26 ნოემბრიდან მუშაობდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალის ზონის ინსპექტორად და ითვლებოდა მოხელედ. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული განყოფილების დებულების თანახმად, როგორც ზონის ინსპექტორს, სამსახურებრივად ევალებოდა, გამოეყენებინა თავის ზონაში მომუშავე პენსიონერები, მიეღო ზომები ზედმეტად გაცემული პენსიის თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად, რაც მან არ შეასრულა. იგი დაუდევრად ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას, არ ახდენდა მომუშავე პენსიონერების გამოვლენის მიზნით წარმოება-დაწესებულებებში შემხვედრ შემოწმებებს, რითაც გამოიჩინა სამსახურებრივი გულგრილობა, რის გამოც მის სამუშაო ზონაში მომუშავე პენსიონერებზე: 1.

ფ. კ-ზე 2003 წლის 2 მაისიდან – 2004 წლის 27 აპრილამდე დაირიცხა 112 ლარი და გაიცა 84 ლარი; 2. ნ. მ-ზე 1998 წლიდან – 2004 წლამდე დაირიცხა 814 ლარი და გაიცა 584 ლარი; 3. გ. მ-ზე 2001 წლის 1 ივლისიდან – 2004 წლის 26 აპრილამდე დაირიცხა 588 ლარი და გაიცა 518 ლარი; 4 მ. ხ-ზე 1990 წლის 1 ივლისიდან – 2004 წლამდე დაირიცხა 814 ლარი და გაიცა 548 ლარი; 5. მ. თ-ზე 1996 წლიდან – 2004 წლამდე დაირიცხა 814 ლარი და გაიცა 536 ლარი; 7. ნ. კ-ზე 1996 წლიდან – 2004 წლამდე დაირიცხა 814 ლარი; 8. ტ. დ-ზე – 1994 წლიდან – 2004 წლამდე დაირიცხა 814 ლარი და გაიცა 758 ლარი. ამდენად, მ. ა-ს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულების გამო, მის სამოქმედო ზონაში სულ მომუშავე პენსიონერებზე უკანონოდ დაირიცხა 6361 ლარი და გაიცა 4249 ლარი, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მძიმე შედეგი გამოიწვია.

მ. ა-ა 1995 წლის 22 მარტიდან მუშაობდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალის ზონის ინსპექტორად და ითვლებოდა მოხელედ. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული განყოფილების დებულების თანახმად, როგორც ზონის ინსპექტორს, სამსახურებრივად ევალებოდა, გამოეკლინა თავის ზონაში მომუშავე პენსიონერები, მიეღო ზომები ზედმეტად გაცემული პენსიის თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად, რაც მან არ შეასრულა, იგი დაუდევრად ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას, არ ახდენდა მომუშავე პენსიონერთა გამოვლენის მიზნით წარმოება-დაწესებულებებში შემხვედრ შემოწმებებს, რითაც გამოიჩინა სამსახურებრივი გულგრილობა, რის გამოც მის სამუშაო ზონაში მომუშავე პენსიონერებზე: 1. ი. გ-ზე 1995 წლიდან – 2004 წლის 31 მაისამდე დაირიცხა 814 ლარი და გაიცა 537 ლარი; 2. ქ. ლ-ზე 1990 წლიდან – 2004 წლამდე დაირიცხა 975 ლარი და გაიცა 738 ლარი; 3. მ. ფ-ზე 1997 წლიდან – 2004 წლის 6 ივნისამდე დაირიცხა 814 ლარი და გაიცა 654 ლარი;

ამდენად, მ. ა-ს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულების გამო, მის სამოქმედო ზონაში სულ მომუშავე პენსიონერებზე უკანონოდ დაირიცხა 2603 ლარი და გაიცა 1929 ლარი, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და მოჰყვა მძიმე შედეგი.

ნ. ხ-ა 1994 წლის 26 მაისიდან მუშაობდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალის ზონის ინსპექტორად და ითვლებოდა მოხელედ. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული განყოფილების დებულების თანახმად, როგორც ზონის ინსპექტორს, სამსახურებრივად ევალებოდა, გამოეკლინა თავის ზონაში მომუშავე პენსიონერები, მიეღო ზომები ზედმეტად გაცემული პენსიის თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად, რაც მან არ შეასრულა, იგი დაუდევრად ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას, არ ახდენდა მომუშავე პენსიონერთა გამოვლენის მიზნით წარმოება – დაწესებულებებში შემხვედრ შემოწმებებს, რითაც გამოიჩინა სამსახურებრივი გულგრილობა, რის გამოც მის სამუშაო ზონაში მომუშავე პენსიონერებზე: 1. თ. ა-ზე 1998 წლიდან – 2004 წლამდე დაირიცხა 814 ლარი და გაიცა 611 ლარი; 2. ე. ა-ზე 2001 წლის 1 სექტემბრიდან – 2004 წლამდე დაირიცხა და გაიცა 42 ლარი; 3. ბ. ქ-ზე 1998 წლიდან – 2001 წლამდე დაირიცხა 448 ლარი და გაიცა 392 ლარი. ამდენად, ნ. ხ-ს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულების გამო, მის სამოქმედო ზონაში სულ მომუშავე პენსიონერებზე დაირიცხა 1304 ლარი და გაიცა 1003 ლარი.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2002 წლის 11 ოქტომბრის #5/10-1612 წერილის მოთხოვნის საფუძველზე, მარჩენალის დაკარგვის გამო შრომის არასრული სტაჟით დანიშნული საპენსიო საქმეები ზონის ინსპექტორ ნ. ხ-ს უნდა გადაეყვანა მარჩენალგარდაცვლილის სოციალურ პენსიაზე, რის საფუძველზეც მარჩენალდაკარგულის შვილებს 18 წლის ზევით უფლება არ ჰქონდათ მიეღოთ პენსია, ხოლო მეუღლე არ შედის პენსიის წილში. მან აღნიშნული მოთხოვნა არ შეასრულა, რის გამოც ი. ნ-ზე ზედმეტად გაიცა 56 ლარი, მ. ზ-ზე – 154 ლარი, ს. ა-ზე – 56 ლარი.

ამდენად, ნ. ხ-ს მიერ ერთობლიობაში პენსიონერებზე ზედმეტად დაირიცხა – 1570 ლარი, ხოლო გაიცა – 1269 ლარი, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა და მძიმე შედეგი გამოიწვია.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალმდებელმა მ. ჯ-მ კამათის სტადიაზე სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, რათა მსჯავრდებულების – მ. ა-ს, მ. ა-სა და ნ. ხ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის II ნაწილიდან გადაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის I ნაწილზე, რადგან სასამართლო გამოძიებით არ დადასტურდა მ. ა-ს, მ. ა-სა და ნ. ხ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი, კერძოდ, მძიმე შედეგის დადგომა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის განაჩენით:

მ. ა-ს, მ. ა-სა და ნ. ხ-ს მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის II ნაწილით წარდგენილი ბრალდება კვალიფიკაციის უსწორობის გამო და ბრალდების ამ ნაწილში ისინი გამართლდნენ.

მ. ა-ს, მ. ა-სა და ნ. ხ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის I ნაწილით.

მ. ა-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ა-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებულ, რ. ა-ს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა მოეხსნას ყადაღა.

მ. ა-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ა-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებულ, ნ. ფ-ს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა მოეხსნას ყადაღა.

ნ. ხ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ნ. ხ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებულ, კ. ყ-ს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლსა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა მოეხსნას ყადაღა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – მ. ა-მ, ნ. ხ-მ, მათმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ფ-მ და სახელმწიფო ბრალმდებელმა – მ. ჯ-მ.

აპელანტები, მსჯავრდებულები – მ. ა-ს, ნ. ხ-ს და მათი ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ფ-ს სააპელაციო საჩივრით ითხოვნენ მსჯავრდებულთა მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას ან მათი დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში – სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე ან 71-ე მუხლების საფუძველზე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, რასაც ასაბუთებდნენ იმ მოტივით, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და არაკანონიერია.

აპელანტი, სახელმწიფო ბრალმდებელი მ. ჯ-ს სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულების – მ. ა-ს, მ. ა-სა და ნ. ხ-ს მიმართ სასჯელის გამკაცრებას და თითო წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, რასაც ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ გამოყენებული სასჯელის ზომა აშკარად არ შეესაბამება ქმედების ხასიათს და არის აშკარად ლმობიერი, რადგან მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას და ზიანს აყენებს სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულების – მ. ა-სა და ნ. ხ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ფ-ს საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას, ან მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში – საქართველოს სსკ-ის 70-ე ან 71-ე მუხლების საფუძველზე, ვითარების შეცვლის ან სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ განსასჯელების ზონის ინსპექტორებად მუშაობის პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირების საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებზე არ ვრცელდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავი (სამოხელეო დანაშაული).

“საჯარო სამსახურის შესახებ” კანონში მოცემულია ამომწურავი ჩამონათვალი დაწესებულებებისა, რომლებშიც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალში არ შედიოდა და არ შედის სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. შესაბამისად, ზონის ინსპექტორი არ ითვლებოდა და არ ითვლება საჯარო მოსამსახურედ, მათ შორის – არც მოხელედ და არც მოხელესთან გათანაბრებულ პირად. ამის დასტურია ის, რომ ამ ფონდში არსებული თანამდებობები, მათ შორის – ზონის ინსპექტორის თანამდებობა, არ იყო და არ არის შეტანილი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებულ “საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში”. სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის, როგორც დამსაქმებელსა და მასში დასაქმებულებს შორის ურთიერთობა კერძო-სამართლებრივ ხასიათს ატარებს.

განსასჯელების ზონის ინსპექტორებად მუშაობის პერიოდში არ არსებობდა საკანონმდებლო ნორმა, რომლის მიხედვით, ზონის ინსპექტორზე გავრცელდებოდა სამოხელეო დანაშაული. მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შენიშვნაში შეტანილი ცვლილების შემდეგ (2006

წლის 25 ივლისიდან) სამოხელეო დანაშაული ასევე გულისხმობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. შესაბამისად, ზონის ინსპექტორი სამოხელეო დანაშაულის სუბიექტი გახდა მხოლოდ 2006 წლის 25 ივლისიდან და იგი ამ პერიოდამდე სამოხელეო დანაშაულის სუბიექტს არ წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით საქმეშია საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტიდან მიღებული წერილი, სადაც მითითებულია, რომ ამ პერიოდამდე ზონის ინსპექტორი არ იყო სამოხელეო დანაშაულის სუბიექტი. შესაბამისად, ვინაიდან განსასჯელებს ინკრინინირებული ქმედება "ჩადენილი" აქვთ აღნიშნულ პერიოდამდე, ისინი ვერ იქნებოდნენ შერაცხული დანაშაულის სუბიექტებად.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით, ფონდის რაიონული განყოფილების დებულების შესაბამისად, განსასჯელებს სამსახურებრივად ევალუბოდათ, გამოევილინათ შესაბამის ზონაში მომუშავე პენსიონერები და მიეღოთ ზომები ზედმეტად გაცემული თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად, რაც განსასჯელთა ჩვენებებითაც ფაქტობრივად დადასტურებულია.

განსასჯელთა მიერ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში მიცემულ ჩვენებებსა და საბოლოო სიტყვებში არ დადასტურებულა, რომ მათ მომუშავე პენსიონერთა გამოვლენა და ამ მიზნით შემოწმებების ჩატარება ევალუბოდათ მათთვის გაცნობილი დებულებებით ან\და ხელმძღვანელობის მიერ მიცემული დავალებებით. დაკავების ღონისძიების გამოყენების პერიოდში მიცემული აღიარებითი ჩვენებები კი ასეთ დადასტურებად არ ჩაითვლება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში საერთოდ არ შეისწავლა ზონის ინსპექტორის სამსახურებრივ უფლებამოსილებათა ნორმატიული საფუძვლები, არ იმსჯელა მითითებული დებულების კანონიერებაზე და ამ დებულებაში აღნიშნულ, მომუშავე პენსიონერთა გამოვლენის მოვალეობის შესრულების სამართლებრივ და ფაქტობრივ შესაძლებლობაზე.

2006 წლის 1 იანვრამდე საქართველოში მოქმედებდა საბჭოთა კავშირის დროინდელი საპენსიო კანონმდებლობა, კერძოდ, კანონი "მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ სსრ კავშირში" და მის საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 აგვისტოს #590 დადგენილებით დამტკიცებული დებულება "სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ". ამ კანონის 109-ე მუხლისა და დებულების 174-ე მუხლის თანახმად, პენსიონერი თვითონ იყო ვალდებული, შეეტყობინებინა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისათვის გასამრჯელოს ან სხვა შემოსავლის არსებობა, ხოლო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებული იყვნენ, 5 დღის ვადაში შეეტყობინებინათ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისათვის პენსიონერთა სამუშაოზე მიღება.

შესაბამისად, ფონდის მიერ დამტკიცებულ დებულებაში პენსიონერთა გამოვლენის დაკისრება ზონის ინსპექტორისათვის ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ ნორმატიულ აქტებს. მაგრამ უპირატესობა, ცხადია, ამ ნორმატიულ აქტებს ენიჭება, რადგან ფონდის მიერ დამტკიცებული დებულება შიდაორგანიზაციული აქტია, რომელიც არ შედის "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონში მითითებულ ნორმატიული აქტების ამომწურავ ჩამონათვალში. ამის გარდა, ფონდს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონისა და საკუთარი დებულების თანახმად, საერთოდ არა აქვს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება.

ამავე დროს, თვითონ ფონდის დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმეშია, კანონმდებლობასთან წინააღმდეგობა გასწორდა. კერძოდ, წამყვანი სპეციალისტის მოვალეობიდან კანონმდებლობასთან შეუსაბამობის საფუძველით ამოღებულ იქნა მომუშავე პენსიონერთა გამოვლენა. მაგრამ, რადგან ზონის ინსპექტორის მოვალეობათა განმსაზღვრელი დებულება ამ ბრძანების გამოცემის მომენტისათვის უკვე ძალადაკარგული იყო, ბრძანებაში მასზე მსჯელობა არ ყოფილა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძალადაკარგული დებულება კანონს შეესაბამებოდა. ამას ადასტურებს ფონდის დირექტორის წერილიც, რომელიც საქმეშია და რომელშიც ხაზგასმულია, რომ მომუშავე პენსიონერთა გამოვლენის ფუნქცია სცილდება ფონდისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ კომპეტენციას. ანალოგიურად, ფონდის მიერ გამოგზავნილ წერილში მითითებულია, რომ ფონდის 1998 წლის 29 აპრილის #06\104 ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოიცემა კანონმდებლობის საფუძველზე. იგი არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, რის გამოც იმ დროს მოქმედ კანონმდებლობასთან მისი სრულად ან ნაწილობრივ შეუსაბამობის შემთხვევაში, უნდა გამოყენებულიყო კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები.

სააპელაციო პალატამ ასეთი დასკვნა ისე გააკეთა, რომ არ შეისწავლა საკითხი, ჰქონდა თუ არა ზონის ინსპექტორს საწარმოთა შემოწმების უფლებამოსილება და შესაბამისად – პენსიონერთა გამოვლენის შესაძლებლობა.

მოქმედი კანონმდებლობით, როგორც აღინიშნა, მომუშავე პენსიონერთა დასაქმების შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი ან პენსიონერი ამის თაობაზე არ შეატყობინებდა ფონდის განყოფილებას, მათი გამოვლენა შესაძლებელი იყო მხოლოდ ყველა დამსაქმებლისაგან მომუშავე პენსიონერთა თაობაზე დოკუმენტაციის ან ინფორმაციის გამოთხოვნით, ანდა დამსაქმებელი სუბიექტის გასვლითი შემოწმებით. მაგრამ "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" 2001 წლის კანონის თანახმად, სამეწარმეო სუბიექტისაგან დოკუმენტაციის მოთხოვნა, ანდა მისი შემოწმების ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

პრაქტიკულად, პენსიონერები შეიძლება დასაქმებულიყვნენ არა მხოლოდ განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაზე, არამედ – მთელი საქართველოს დამსაქმებლებთან ან თვითონ გაეწიათ სამეწარმეო საქმიანობა (ინდივიდუალური მეწარმის სახით). ბუნებრივია, ყველა დამსაქმებლისა და მეწარმის შესამოწმებლად მოსამართლის ბრძანება ვერ გაიცემოდა. შესაბამისად, შესამოწმებელი სუბიექტები შერჩევით უნდა განსაზღვრულიყო.

ამასთან, თუ გაიცემოდა ამა თუ იმ დამსაქმებლისაგან დოკუმენტაციის გამოთხოვნის ან მისი შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანება, ამ ბრძანების შესრულება ფონდის განყოფილებას ვერ დაევალებოდა, რადგან იგი არ ყოფილა მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, რასაც მოითხოვს მითითებული კანონი. შესაბამისად, ფონდის განყოფილებისა და მისი ზონის ინსპექტორის ან ინსპექტორ-რევიზორის მიერ საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოწმებების ჩატარება უფლებამოსილების გადამეტება იქნებოდა.

რაც შეეხება შემხვედრ შემოწმებას, იგი ტარდება მაშინ, როდესაც მიმდინარეობს "ძირითადი" შემოწმება, კერძოდ: როდესაც ფონდიდან შესაბამისი ბრძანებით მოვლინებული შემოწმების ჯგუფი ატარებდა განყოფილების საქმიანობის რევიზიას, მას, შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე, შეეძლო წარმოება-დაწესებულებათა შემოწმება, თუმცა მხოლოდ – მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, უკანონო იყო ფილიალის შემოწმების დროს წარმოება-დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოთხოვნა.

ვინაიდან განსასჯელებს არ ევალებოდათ და მათ თავიანთი კომპეტენციიდან გამომდინარე, არც შეეძლოთ მომუშავე პენსიონერთა გამოვლენა, ისინი ამ მოვალეობის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ვერ იქნებოდნენ შერაცხული დანაშაულის სუბიექტებად.

ამრიგად, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი ("სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ"), რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოეყენა უკანონო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ფონდის რაიონული განყოფილების დებულება), რის გამოც ქმედების კვალიფიკაცია განხორციელდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს რომც ჩაედინათ დანაშაული, ისინი უნდა გათავისუფლებულიყვნენ სასჯელის მოხდისაგან ვითარების შეცვლის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არ იმსჯელა, თუ ინკრიმინირებულ დანაშაულთან მიმართებით რატომ არ ჩაითვლება ვითარების შეცვლად ის, რომ "სახელმწიფო პენსიის შესახებ" 2008 წლის 14 მარტის კანონით შეტანილი ცვლილებით დამატებით ლეგალიზებულ იქნა 2008 წლის პირველ აპრილამდე პენსიონერთათვის არასწორად გაცემული თანხები. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის უკვე არ არსებობდა ვითარება, რომლის დროსაც ამ თანხებთან დაკავშირებით ვინმეს უნდა დაკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამის გარდა, დღეს პენსიონერისათვის ნებადართულია შრომის ანაზღაურებასთან ერთად პენსიის მიღება. აქედან გამომდინარე, მსჯავრდებულებს რომც ჩაედინათ დანაშაული, ისინი უნდა გათავისუფლებულიყვნენ სასჯელის მოხდისაგან, სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტისა და მე-6 ნაწილის შესაბამისად.

ამრიგად, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი (კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, სსკ-ის 70-ე მუხლი, სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი და მე-6 ნაწილი), რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც განაჩენი დაადგინა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის შესაბამისად, უსაფუძვლოა დაცვის მხარის მოთხოვნა სსკ-ის 71-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ, რადგან სსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 15 წელი ამ კოდექსის 332-ე–242¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

სააპელაციო პალატამ მოცემულ შემთხვევაში არ იმსჯელა, თუ როგორი სახით მოქმედებდა სისხლის სამართლის კანონი ქმედების განხორციელებისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის პერიოდში. მსჯავრდებულები – მ. ა-ა და ნ. ხ-ა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემულ იქნენ 2006 წლის 12 სექტემბერს. პასუხისმგებლობა მათ დაეკისრათ „დანაშაულზე“,

რომელიც ჩადენილია 2004 წლის 1 იანვრამდე. სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის I ნაწილი, მასში 2005 წლის 16 დეკემბრის #2264-რს კანონით „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ცვლილების შეტანამდე, სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის თანახმად, დასჯადობა განისაზღვრება დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.12.2003 წ. #54-კოლ განჩინებაში მოცემული განმარტების მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დასადგენად გამოიყენება დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მოქმედი კანონი.

შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულებისათვის შერაცხული დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა დანაშაულის ჩადენის მომენტში (2004 წლის 1 იანვრამდე) იყო 2 წელი, რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მომენტში (2006 წლის 12 სექტემბერი) უკვე გასული იყო. აქედან გამომდინარე, მსჯავრდებულებს რომც ჩაედინათ დანაშაული, ისინი უნდა გათავისუფლებულიყვნენ სასჯელის მოხდისაგან, სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტისა და მე-6 ნაწილის შესაბამისად.

ამრიგად, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი (სსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი; ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, კ სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი და მე-6 ნაწილი), რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც განაჩენი დაადგინა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევით.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულების – მ. ა-სა და ნ. ხ-სა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ფ-მ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს, ვრცლად მიმოიხილა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი და საკასაციო პალატის წინაშე იშუამდგომლა ქუთაისის სააპელაციო სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენის გაუქმება და საქმის შეწყვეტა, დანაშაულის არარსებობის გამო, ან საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის საფუძველზე – მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, სისხლისსამართლებრივი დევნის 2 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

მსჯავრდებულებმა – ნ. ხ-მ, მ. ა-მ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და იშუამდგომლეს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.

მსჯავრდებულმა მ. ა-მ ასევე მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ზ. მ-მ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრებს და აღნიშნა, რომ ბრალდების მხარე არ ეთანხმება მსჯავრდებულების – მ. ა-ს, ნ. ხ-სა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ფ-ს საკასაციო საჩივრის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულების თანამდებობა – ზონის ინსპექტორი – არ არის დანაშაულის სუბიექტი, ვინაიდან საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული განყოფილების დებულების თანახმად, როგორც ზონის ინსპექტორებს, სამსახურებრივად ევალებოდათ, გამოევიდნათ თავის ზონაში მომუშავე პენსიონერები და მიეღოთ ზომები ზედმეტად გაცემული პენსიის თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 7 მაისის #181 ბრძანებულებით ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აბრალდების მხარე თვლის, რომ ზონის ინსპექტორი სამოხელეო დანაშაულის სუბიექტია, ვინაიდან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ზონის ინსპექტორი – ახორციელებდა საჯარო უფლებამოსილებას.

ბრალდების მხარე ასევე ვერ დაეთანხმება წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს რომც ჩაედინათ დანაშაული, ისინი უნდა გათავისუფლებულიყვნენ სასჯელის მოხდისაგან ვითარების შეცვლის გამო და ასევე მოთხოვნას – საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ, რადგან თანახმად საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 15 წელი საქართველოს სსკ-ის 332-ე-342¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ბრალდების მხარე თვლის, რომ, რადგან მსჯავრდებულები სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ იქნენ მოგვიანებით, მათზე უნდა გავრცელდეს 15-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორმა ზ. მ-მ საკასაციო პალატის წინაშე იშუამდგომლა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი სა-

ჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: დაზარალებულ დ. ბ-ს, მოწმეების _ ნ. ფ-ს, რ. ჯ-ს ჩვენებებით; 2006 წლის 24 ნოემბრის რევიზიის აქტით; "საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის" გენერალური დირექტორის 1998 წლის 29 აპრილის #06/104-ე ბრძანებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა _ მ. ა-მ, მ. ა-მ და ნ. ხ-მ ჩაიდინეს სამსახურებრივი გულგრილობა, ე.ი. მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ე.ი. დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის I ნაწილით.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულების _ მ. ა-სა და ნ. ხ-ს, ასევე მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ფ-ს საკასაციო საჩივრის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულების თანამდებობა _ ზონის ინსპექტორი _ არ არის დანაშაულის სუბიექტი, რომელსაც შეიძლება შეერაცხოს სამსახურებრივი გულგრილობა. აღნიშნულ მოტივაციას საკასაციო პალატა არ იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ა-ს 1970 წლის 26 ნოემბრიდან, ხოლო ნ. ხ-ს 1994 წლის 26 მაისიდან მუშაობდნენ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალის ზონის ინსპექტორებად. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული განყოფილების დებულების თანახმად დასტურდება, რომ, როგორც ზონის ინსპექტორებს (მ. ა-ს, მ. ა-სა და ნ. ხ-ს), სამსახურებრივად ევალებოდათ, გამოევიწყებინათ თავიანთ ზონაში მომუშავე პენსიონერები და მიეღოთ ზომები ზედმეტად გაცემული პენსიის თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად.

ტომი 1, ს.ფ. 5-ზე მოთავსებული, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალის საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური შემოწმების აქტით, რომელიც დათარიღებულია 2004 წლის 22 მარტით, დასტურდება, რომ ფონდის ზუგდიდის რაიონის ფილიალში ჩატარდა 2003 წლის იანვრის საპენსიო თვიდან 2004 წლის იანვრის საპენსიო თვემდე პერიოდის საფინანსო საქმიანობის კომპლექსური შემოწმება. შემოწმება დაიწყო 2004 წლის 9 თებერვალს და დამთავრდა 22 მარტს. საკასაციო პალატა აქვე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბრალდება მსჯავრდებულებს ედავება იმ პერიოდის თაობაზე, როდესაც მ. ა-ს, ნ. ხ-სა და მ. ა-ს მუშაობდნენ ზუგდიდში ზონის ინსპექტორის თანამდებობაზე.

საქმეში მოთავსებული საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 7 მაისის #181 ბრძანებულებით დასტურდება, რომ ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საკასაციო პალატა თვლის, რომ ზონის ინსპექტორი სამოხელეო დანაშაულის სუბიექტია, ვინაიდან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზონის ინსპექტორი ახორციელებდა საჯარო უფლებამოსილებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ თავად მსჯავრდებულების ჩვენებებითაც ფაქტობრივად დადასტურებულია ის გარემოება, რომ მუშაობდნენ რა ზონის ინსპექტორის თანამდებობაზე, ევალებოდათ, გამოევიწყებინათ მომუშავე პენსიონერები და იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობები, დებულების შესაბამისად.

საკასაციო პალატა ასევე არ ეთანხმება მსჯავრდებულების _ მ. ა-სა და ნ. ხ-ს, ასევე მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ფ-ს საკასაციო საჩივრის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს _ მ. ა-ს, მ. ა-სა და ნ. ხ-ს არ ევალებოდათ მომუშავე პენსიონერების გამოვლენა და ამ მიზნით შემოწმებების ჩატარება.

საქმეში არსებული "საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის" გენერალური დირექტორის 1998 წლის 29 აპრილის #06/104-ე ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული (საქალაქო) განყოფილების დებულება, რომლის თანახმადაც, ზონის ინსპექტორი "ავლენს მომუშავე პენსიონერებს და აზუსტებს მუშაობის პერიოდში უკანონოდ გაცემული პენსიის ოდენობას, ამზადებს ვალის ოქმის პროექტს და მისი დამტკიცების შემდეგ იღებს ზომებს ზედმეტად გაცემული პენსიის თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად".

"საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის" გენერალური დირექტორის 2004 წლის 3 დეკემბრის #01/163-ე ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული (საქალაქო) ფილიალის მუშაკთა უფლება-მოვალეობები, რომლის თანახმადაც, წამყვანი სპეციალისტი "ავლენს მომუშავე პენსიონერებს და აზუსტებს მუშაობის პერიოდში უკანონოდ გაცემული პენსიის ოდენობას, ამზადებს ვალის ოქმის

პროექტს და მისი დამტკიცების შემდეგ იღებს ზომებს ზედმეტად გაცემული პენსიის თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად" (მე-10 მუხლის "ე" ქვეპუნქტი).

"საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის 2006 წლის 12 ივლისის #01/78-ე ბრძანებით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის 2004 წლის 3 დეკემბრის #01/163-ე ბრძანებით დამტკიცებული ფილიალის წამყვანი სპეციალისტის უფლება-მოვალეობებიდან გარკვეული ნაწილი ბათილად იქნა ცნობილი, კერძოდ, აღნიშნული დებულების მე-10 მუხლის "ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: წამყვანი სპეციალისტი "აზუსტებს მუშაობის პერიოდში უკანონოდ გაცემული პენსიის ოდენობასა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ღებულობს ზომებს ზედმეტად გაცემული თანხების ფონდის ანგარიშზე აღსადგენად". მასვე ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დადგენილი რედაქციით ქვეპუნქტი მოქმედად ჩაითვალა "საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის შესახებ" ფონდის გენერალური დირექტორის 2004 წლის 3 დეკემბრის #01/163-ე ბრძანების შესვლის დღიდან.

საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულთათვის ბრალად შერაცხული ქმედებები, უკიდურეს შემთხვევაში, მოიცავს 2004 წლის 31 მაისამდე პერიოდს, რა დროსაც მოქმედებდა "საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის" გენერალური დირექტორის 1998 წლის 29 აპრილის #06/104-ე ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული (საქალაქო) განყოფილების დებულება, რომლის თანახმადაც, ზონის ინსპექტორს ევალებოდა მომუშავე პენსიონერების გამოვლენა.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულები – მ. ა-ა, ნ. ხ-ა და მ. ა-ა არ უნდა გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, მათ მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რადგან საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის I ნაწილის "გ¹" ქვეპუნქტის მიხედვით, ამავე კოდექსის 332-ე-342¹ მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის ხანდაზმულობის ვადა დადგენილია 15 წელი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში, რის თაობაზეც დაობს ბრალდების მხარე (უკიდურეს შემთხვევაში – 2004 წლის 31 მაისამდე პერიოდი), მოქმედი რედაქციის საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილი სასჯელად ითვალისწინებდა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

საქმის მასალების მიხედვით, მ. ა-ა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია 2006 წლის 12 სექტემბერს, ხოლო მ. ა-ა და ნ. ხ-ა – იმავე წლის 19 ოქტომბერს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ელ ნაწილს "გ¹" ქვეპუნქტი დაემატა 2006 წლის 25 ივლისს და, შესაბამისად, ამ ცვლილების ამოქმედებამდე უკვე გასული იყო ზემოხსენებული მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებისათვის ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დადგენილი ხანდაზმულობის 2-წლიანი ვადა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ცვლილებას უკუძალა არ აქვს და ამდენად, მ. ხ-ა, მ. ა-ა და ნ. ხ-ა უნდა გათავისუფლდნენ განაჩენით საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, საქართველო სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ე" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე, 568-ე, მუხლებით, 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – მ. ა-სა და ნ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ფ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულები – მ. ა-ა, ნ. ხ-ა და მ. ა-ა გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, მათ მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის გამო

განჩინება

#61-აპ-09

14 სექტემბერი, 2009 წ., ქ, თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ზ. მენიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ს-ნის დამცველი ადვოკატების – ი. გ-ძისა და გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი, აგრეთვე მსჯავრდებულ კ. ა-იას დამცველის ადვოკატ ა. ქ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენით:

მ. ს-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 24, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" და "თ" ქვეპუნქტებით 5 წლით; სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა," "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით – 3 წლით; სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით – 3 წლით, ხოლო 24, 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და მ. ს-ნს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, რასაც ასევე დაემატა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 3 დღე და მსჯავრდებულ მ. ს-ნს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლისა და 3 დღის ვადით;

კ. ა-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" და "თ" ქვეპუნქტებით 5 წლით, ხოლო სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და კ. ა-იას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რასაც ასევე დაემატა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 8 თვე და მსჯავრდებულ კ. ა-იას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 8 თვის ვადით;

ე. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" და "თ" ქვეპუნქტებით 6 წლით, ხოლო სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ე. მ-ძეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რასაც ასევე დაემატა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 2 წელი და მსჯავრდებულ ე. მ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით;

ჰ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" და "თ" ქვეპუნქტებით 6 წლით, ხოლო სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ჰ. კ-ძეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რასაც ასევე დაემატა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 2 წელი და

მსჯავრდებულ ჰ. კ-მეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით;

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენით მ. ს-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა 2001 წლის ივლისში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ჩადენილი არაერთგზის, იარაღის გამოყენებით, ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

მანვე ჩაიდინა თანამონაწილეობა 2001 წლის ივლისში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჩვენების მიცემის იძულებაში, ე.ი. უკანონო ქმედებით ეჭვმიტანილის იძულება ჩვენების მიცემისათვის, რასაც თან ერთვოდა ძალადობა, აზურად აგდება და წამება.

მანვე ჩაიდინა თანამონაწილეობა 2001 წლის ივლისში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებაში, ე.ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით და ჯგუფურად.

მანვე ჩაიდინა 2001 წლის ივლისში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, თავისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური პირის და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, რასაც თან ერთვოდა დაზარალებულის პირადი შეურაცხყოფა, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. ს-ნი 2001 წლის 14 ივლისს მუშაობდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსის თანამდებობაზე, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა მოხელეს, მას სამართლებრივად და თანამდებობრივად ევალებოდა კანონის ზუსტი და ერთგვაროვანი დაცვა, ამასთან სათანადო კონტროლის განხორციელება მისსავე დაქვემდებარებულ თანამშრომელთა მიერ კანონის მოთხოვნათა ზუსტ შესრულებაზე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით მ. ს-ნი მსჯავრდებული იქნა 2001 წლის 14 ივლისს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით.

2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 2 საათიდან 4 საათამდე, გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ, გაქურდული იქნა ქ. ფოთში მცხოვრები მოქალაქე მ. ს-ის ბინა, საიდანაც ფარულად იქნა გატაცებული "ფუნაის" სისტემის ტელევიზორი, ამავე სახელწოდების მაგნიტოფონი და მართვის პულტი. აღნიშნული საცხოვრებელი ბინა მდებარეობდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ნაბადის ქვეგანყოფილების სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელიც შედიოდა ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში.

2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით დილის 5 საათზე, ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის რეგიონალური განყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილების პოლიციელების თ. შ-ის და კ. ლ-ის მიერ, თავის სამოქმედო, ნაბადის გადასასვლელი ხიდის ქვემოთ მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო საფუძვლების არარსებობის პირობებში დაკავებული იქნა თითქოსდა სხვისი ქონების ქურდობაში ეჭვმიტანილი, ქ. ფოთში მცხოვრები თ. მ-ია. განზრახ უკანონოდ დაკავებული თ. მ-ია კ. ლ-იამ და თ. შ-იამ გადაიყვანეს ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში, სადაც თ. მ-ია განზრახ უკანონოდ იყო დაკავებული 7 საათსა და 10 წუთამდე. კ. ლ-ის და თ. შ-ის მიერ არ შედგენილა თ. მ-ის დაკავების ოქმი.

იმ მოტივით, რომ თ. მ-ის თითქოსდა დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს და არა სატრანსპორტო პოლიციის ტერიტორიაზე, იგი კანონის უხეში დარღვევით, 7 საათსა და 10 წუთზე, პასუხისმგებელმა მორიგემ რ. კ-ვამ გადასცა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს, სისხლის სამართლის სამმებროს განყოფილების ყოფილ უფროსის მოადგილეს მ. მ-შვილს, რომელმაც შეასრულა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი დავალება და თ. მ-ის დაკავების დროს დაშვებული კანონდარღვევების გამოსწორების მიზნით, იგი ოპერატიულ მუშაკებთან, მ. ბ-ისთან, ე. ს-ისთან, კ. ხ-ვასთან ერთად, იმავე დღის 7 საათსა და 50 წუთზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, სატრანსპორტო პოლიციის შენობიდან კვლავ გაიყვანეს ქ. ფოთში, ნაბადის ხიდის ქვეშ მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მათ ფოთის შ.ს ხელმძღვანელობის დავალებით შეუერთდა ნაბადის ქვეგანყოფილების უფროსი პ. ჯ-მე. განზრახ უკანონოდ დაკავებულ თ. მ-ის, გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში იქ მიტანილ, ქ. ფოთში მცხოვრები მოქა-

ლაქე მ. ს-იას კუთვნილი "ფუნაის" სისტემის ტელევიზორთან, ამავე სახელწოდების ვიდეომანგი-ტოფონთან და მართვის პულტთან ერთად, პ. ჯ-მემ პირადი ფოტოაპარატ "შM-111-ით" გადაუღო ფოტოსურათები. მ. მ-შვილმა საპროცესო ნორმების დარღვევით, პ. ჯ-მის მიერ მოყვანილი ორი დამსწრის დ. მ-შვილის და მ. ი-იანის მონაწილეობით, შეადგინა თითქოსდა გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმი, ანუ კანონის უხეში დარღვევით, მტკიცებულების ფალსიფიკაციით, შექმნა თ. მ-იას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე დაკავების საფუძველი, რის შემდეგ თ. მ-ია უკანონოდ გადაიყვანეს და მოათავსეს ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოში, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგი.

თ. მ-იას ქ. ფოთის შს სამმართველოს შენობაში გადაყვანის შემდეგ, პ. ჯ-მემ, იმ დროს, როდესაც არ არსებობდა დანაშაულის შესახებ შეტყობინება და არ ჰქონდა წერილობითი დავალება რაიმე სახის წინასაგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე, ანუ კანონით არაუფლებამოსილმა პირმა, ნაბადის ხიდის ქვეშ მიმდებარე ტერიტორიიდან, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში იქ მიტანილი "ფუნაის" სისტემის ტელევიზორი, ამავე სახელწოდების ვიდეომანგიტოფონი და მართვის პულტი, ანუ საქმისთვის არსებითი, მომავალში ნივთიერი მტკიცებულებების მნიშვნელობის მქონე ნივთები ოპერატიულ მუშაკ ა. ს-შვილთან ერთად, მიიტანა ქ. ფოთში მცხოვრებ მ. ს-იას ბინაში. მიუხედავად იმისა, რომ ნივთების მფლობელს ფაქტიურად არ ჰქონდა გაცხადებული მომხდარის შესახებ პოლიციაში, კანონის უხეში დარღვევით წარუდგინა მოქალაქე მ. ს-იას, რა დროსაც არ შეადგინა საპროცესო ნორმით გათვალისწინებული დოკუმენტი და მასალები წარუდგინა მ. ს-ნს.

მ. ს-ნმა, მიუხედავად იმისა მ. მ-შვილისგან იცოდა, რომ მოკვლეული მასალები არ იყო სრულყოფილი, რადგან არ ერთვოდა ტრანსპორტის პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი თ. მ-იას დაკავების ოქმი და სათანადო პატაკები, ამასთან თითქოსდა გადაუღებელ პირობებში წარმოებული თ. მ-იას პირადი ჩხრეკა და ამოღების ოქმი შედგენილი იყო საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, ამასთან იმ დროისათვის არ არსებობდა ასევე კონკრეტული მოქალაქის შეტყობინება მისი კუთვნილი ქონების ქურდობის ფაქტზე, ამ პირობებში მ. ს-ნმა, როგორც მოხელემ გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, თავისი და მის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციის თანამშრომლების დანაშაულებრივი ქმედების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის მიზნით, რასაც მოჰყვა თ. მ-იას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე დამატებით მტკიცებულებების ფალსიფიკაცია, იმავე დღეს 2001 წლის 14 ივლისს გამოიტანა დადგენილება ქ. ფოთში მცხოვრებ მ. ს-იას ბინაში თითქოსდა გადაუღებელი აუცილებლობის პირობებში შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ, რაც შესასრულებლად გადასცა პ. ჯ-მეს და ა. ს-შვილს. ზემოაღნიშნულმა პირებმა მ. ს-ნის მიერ გამოტანილი არაკანონიერი დადგენილების საფუძველზე სამეგრელო-ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა საექსპერტო-კრიმინალისტიკური განყოფილების ექსპერტ-კრიმინალისტ ლ. მ-სთან ერთად, დაათვალიერეს ქ. ფოთში მდებარე, მოქალაქე მ. ს-იას ბინა, რა დროსაც ბინიდან ამოიღეს თერთმეტი ცალი თითის კვალი. ხოლო უშუალოდ პ. ჯ-მემ "შM111" მოდელის ფოტოაპარატით მოახდინა საცხოვრებელი ბინის _ შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება. რის შემდეგ, ა. ს-შვილმა, 9 საათსა და 00 წუთიდან, 9 საათსა და 30 წუთამდე შეადგინა თითქოსდა გადაუღებელი აუცილებლობით დასაბუთებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, არაკანონიერი გზით უკვე დადგენილი ფაქტიური გარემოებებიდან გამომდინარე და მასთან მისადაგების მიზნით ჩამოერთვა ახსნა-განმარტება მოქალაქე მ. ს-იას. თ. მ-იას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მხილების მიზნით, შექმნილი ყალბი, ფალსიფიცირებული მოკვლეული მასალები, გადაეცა უშუალოდ მ. ს-ნს. აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია ფიზიკური და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა.

მ. ს-ნმა აღნიშნული კანონდარღვევის შემდეგ, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, კვლავ გადაამეტა უფლებამოსილებას და მის ხელთ არსებულ ფალსიფიცირებულ მოკვლეულ მასალებზე და მოქალაქე მ. ს-იას ახსნა-განმარტების საფუძველზე ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს პასუხისმგებელი მორიგე რ. გ-მე, სამსახურიდან დათხოვნის მუქარით აიძულა 2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე ყალბად მისი წინამორბედი პასუხისმგებელი მორიგის თ. ბ-ას სახელით შეედგინა თითქოსდა 6 საათზე უცნობი მოქალაქის მიერ ელსმენით შემოსული შეტყობინების ოქმი, ქ. ფოთში მცხოვრებ მ. ს-იას ბინის ქურდობის ფაქტზე. ბინიდან ფარულად გატაცებულად მიუთითა უკვე ცნობილი საგნები, ტელევიზორი და ვიდეომანგიტოფონი. რ. გ-მის მიერ ყალბად შედგენილი შეტყობინება მ. ს-ნმა რეზოლუციით დააწერა "ნაბადის" ქვეგანყოფილების უფროსს პ. ჯ-მეს და ფოთის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილეს მ. მ-შვილს, რითაც ჩაიდინა არაერთგზის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფ-

ლებების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. მ. ს-ნმა ამ ეპიზოდში ჩაიდინა დანაშაული რაც გათვალისწინებულია 2001 წლის ივლისში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა", და "ბ" ქვეპუნქტებით.

მ. ს-ნმა, როგორც მოხელემ, რომელსაც არაერთგზის ჩადენილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, კვლავ ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და 2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე, არასრულყოფილ და საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე თ. მ-იას მიმართ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პირადად აღძრა სისხლის სამართლის საქმე 2001 წლის ივლისში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით, რამაც ფიზიკური პირის და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, რასაც თან ერთვოდა დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფა.

თ. მ-იას მიმართ უკანონოდ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, იმავე დღეს წარმოებაში მიიღო სისხლის სამართლის სამმებრო განყოფილების უფროსის ყოფილმა მოადგილემ მ. მ-შვილმა, ხოლო 12 საათსა და 00 წუთზე გამოტანილი იქნა დადგენილება თ. მ-იას ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ და იგი დაიკითხა ეჭვმიტანილის სტატუსით, სადაც ასევე დადასტურებული იქნა ახსნა-განმარტებაში აღნიშნული გარემოებები, რომ ქურდობა მ. ს-იას ბინაში ჩადენილი ჰქონდა მხოლოდ მას, თ. მ-იას, თანამონაწილეთა გარეშე, რის საფუძველზეც იგი მოთავსებული იქნა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში. რის შემდეგ თ. მ-ია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე სარგებლობდა გარკვეული უფლებებით და მის მიმართ საგამომიებო მოქმედებები უნდა ჩატარებულიყო, როგორც ეჭვმიტანილის სტატუსის მქონე პირთან, შესაბამისად საამისოდ კანონით აღჭურვილი პირის, – კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მწარმოებელ მ. მ-შვილის მიერ.

მიუხედავად ამისა, მ. ს-ნმა, როგორც მოხელემ, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, კვლავ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რასაც თან ერთვოდა დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფა, ასევე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ყალბი მოტივით, სხვა დანაშაულებათა გახსნის და თანამონაწილეთა დასახელების მიზნით, მის მიერვე ორგანიზებული, ძალადობით, ფიზიკური ძალის გამოყენებითა და ცემის შედეგად, რასაც თან ერთვოდა ეჭვმიტანილის აბუჩად აგდება და წამება, მისდამი სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პოლიციის თანამშრომლების მეშვეობით, თ. მ-იას გამოსძალა აღიარებითი ჩვენება.

კერძოდ, მას შემდეგ რაც თ. მ-ია მ. მ-შვილის მიერ ჩაყვანილ იქნა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში, მ. ს-ნმა დაარღვია საქართველოს შ.ს მინისტრის 1994 წლის 15 მარტის #117-ე ბრძანებით დამტკიცებული "დაკავებულ და პატიმრობაში აყვანილ პირთა დაცვის და ბადრაგობის შესახებ პოლიციის სამსახურის წესდების" II თავის 2.24 პუნქტის სავალდებულო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც საკნებიდან დაკავებულთა და პატიმრობაში აყვანილთა გამოყვანის შესაძლებლობა და ადგილი მკაცრად არის განსაზღვრული, მათ შორის, დაკავებულის გამოყვანა დასაშვებია დროებით მოთავსების იზოლატორის საგამომიებო კაბინეტში. მ. ს-ნმა გადაამეტა რა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, თ. მ-ია დროებითი დაკავების იზოლატორიდან, ხელბორკილების გამოყენებით, სამსახურებრივად მის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციის თანამშრომლებს ქ. ფოთის ნაბადის ქვეგანყოფილების ოპერატიულ მუშაკებს ა. ს-შვილს, ჰ. კ-ძეს და ვ. ა-იას აყვანინა პოლიციის შენობის მეორე სართულზე, ოპერატიულ მუშაკ ზ. ხ-ას სამუშაო ოთახში, სადაც მათ მოგვიანებით შეუერთდნენ ამავე ქვეგანყოფილების ოპერატიული მუშაკი ე. მ-ძე და თვით პ. ჯ-ძე, რომელიც შეიარაღებული იყო მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით და რეზინის ხელკეტით.

მ. ს-ნის, როგორც ორგანიზატორის, უკანონო დავალების შესასრულებლად და მასთან შეთანხმებით აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით, პ. ჯ-ძემ, ვ. ა-იამ, პ. კ-ძემ და ე. მ-ძემ რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, თ. მ-ია ქვედა საცვლის ამარა, შიშველ მდგომარეობაში, მარცხენა ხელით, ფიზიკური ძალის გამოყენებით, ხელბორკილით მიაბეს ზ. ხ-ას სამუშაო ოთახში არსებულ სეიფის სახელურზე, ასევე ძალადობითა და მის მიმართ პირადი ღირსების შეურაცხყოფის გზით, ხელკეტით ცემის შედეგად, თ. მ-იას გამოსძალეს თითქოსდა გ. გ-თან ერთად, მ. ს-იას ბინის ქურდობის ჩადენის აღიარებითი ჩვენება, ძალადობითა და პირადი ღირსების შეურაცხყოფის გზით გამოსძალეს და აღიარებინეს სხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტებიც, მათ შორის, ავტომანქანის ტელევიზორის, მაგნიტოფონის ქურდობის და ნაქურდალის მოქალაქე ჯ. გ-ვასა და ს. დ-იასათვის მიყიდვის ფაქტები, რაც შეგნებულად არ გააფორმეს საპროცესო ნორმების დაცვით. მას შემდეგ რაც ეჭვმიტანილ თ. მ-იასგან იძულებით მიღებული ჩვენების შინაარსი მოხსენდა მ. ს-ნს რომელმაც, მიუხედავად იმისა, იცოდა რომ იგი მიღებული იყო ფიზიკური ძალის გამოყენებით, კვლავ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და მისი დავალების საფუძველზე მისდამი სამსახურებრივად დაქვემდებარებული პოლიციის

თანამშრომლების პ. ჯ-ძისა და მ. მ-შვილის მიერ, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით მოქალაქე ჯ. გ-ვას და ს. დ-ას საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებულ იქნა თითქოსდა თ. მ-იას მიერ მოპარული ტელევიზორი და მაგნიტოფონი. იმავდროულად კანონის დარღვევით ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები ჯ. გ-ვას საცხოვრებელი ბინიდან ა/მანქანის ტელევიზორის ამოღების პროცესის დამსწრე ხ. ხ-ას და ნ. დ-ას. ზემოხსენებული მოქალაქეების და მათ შორის თ. მ-იას თითქოსდა აღიარებითი ხასიათის ახსნა-განმარტებები თ. მ-იას გარდაცვალების შემდეგ მეორე დღეს 2001 წლის 15 ივლისს განადგურებული იქნა თვით მ. ს-ნის მიერ, რითაც თ. მ-იას მიმართ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე, სამსახურებრივად მისდამი დაქვემდებარებული თანამშრომლების მეშვეობით, ძალადობის გამოყენებით, რასაც თან სდევდა ექვიტანილის აბუჩად აგდება და წამება, ცემა და ფიზიკური ძალის გამოყენება, თ. მ-იას გამოსძალა აღიარებითი ჩვენება, თითქოს მას ქურდობა ჩადენილი ჰქონდა პირთა ჯგუფთან ერთად და იძულებით დაასახელა ნაქურდალი ნივთების კონკრეტულ პიროვნებებზე მიყიდვის ფაქტები.

მ. ს-ნის დავალებით, რომელიც იმავდროულად იყო თ. მ-იას მიმართ განხორციელებული უკანონო ძალადობის ორგანიზატორი და, შესაბამისად, იცოდა, თუ რა ფორმით ხორციელდებოდა ძალადობა და ამ ქმედებით მიღწეული შედეგიც, მისდამი სამსახურებრივად დაქვემდებარებული ოპერატიული მუშაკების პ. ჯ-ძის, ე. მ-ძის, პ. კ-ძის და კ. ა-ას მიერ, თ. მ-იასგან მუქარით, ძალადობით, აბუჩად აგდებით და წამების გზით, აღიარებითი ჩვენების გამოძალვა გაგრძელდა დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთამდე, რა დროსაც ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით თ. მ-იას, უშუალოდ ხელკეტით და მკვრივი, ბლაგვი საგნით ცემით, მკვრივ საგანზე არაერთხელ მიხეთქებით მიაყენეს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები, კერძოდ, ელენთის, ღვიძლის და ორივე თირკმელის წინა ზედაპირზე სუბკაპსულური გასკდომით, განზრახ მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. მარჯვენა წინამხრის წინა ზედაპირზე, ასევე მარცხენა სხივმაჯის სახსრის უკანა ზედაპირზე მიაყენეს მსუბუქი ხარისხის მრავლობითი დაზიანებები, ასევე, თ. მ-იას გულმკერდის წინა ზედაპირზე, მარჯვენა ნახევარში, მკერდის ძვლის საზღვარზე, მეორე-მესამე ნეკნთა შუა სივრცეში, ზემო ღრუ ვენას სანათურში შეღწევით, გამოძიებით დაუდგენელი მჩხვლეტავი საგნის დარტყმით, თ. მ-იას მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შემდეგ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში მოჰყვა თ. მ-იას მეორე სართულიდან გადმოვარდნა და უკვე მიყენებული მძიმე ხარისხის დაზიანების შედეგად, იმავე დღეს ქ. ფოთის საავადმყოფოში მისი გარდაცვალება.

თ. მ-იას გარდაცვალების შემდეგ მ. ს-ნმა გამოიყენა რა სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად, მის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების დაფარვის და მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, რ. გ-ძე და მ. მ-შვილი სამსახურიდან განთავისუფლების მუქარით აიძულა დაკავებულთა და პატიმრობაში აყვანილთა საკნებიდან გამოყვანის რეგისტრაციის ჟურნალში შეესრულებინათ ყალბი ჩანაწერი, კერძოდ: ა. ს-შვილის მიერ თ. მ-იას თითქოსდა გასაუბრებაზე მეორე სართულზე აყვანის დროდ, ნაცვლად 15⁵⁰ საათისა დაფიქსირებინა 12⁵⁰ საათი, რა დროსაც ციფრი 5-ნი გადააკეთებინა 2-ად, ხოლო იმავე ს-შვილის მიერ თ. მ-იას საკანში დაბრუნების დროდ ფიქტიურად დაფიქსირებინა 13⁵⁰ საათი, ანუ დაახლოებით დროის ის მონაკვეთი რაც დაფიქსირებულია მ. მ-შვილის მიერ თ. მ-იას ექვიტანილის სახით დაკითხვის ოქმში. ამასთან რათა გამართლებულიყო დაკავებულ თ. მ-იას მეორე სართულზე უკანონოდ 21³⁰ საათამდე ყოფნა, იმავე ჟურნალში ფიქტიურად დაფიქსირდა თითქოსდა თ. მ-იას მოთხოვნით მ. მ-შვილთან გასაუბრებაზე სადამოს 20 საათზე აყვანის ფაქტი. აღნიშნულმა ქმედებამ ფიზიკური პირის და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, რასაც თან ერთვოდა დაზარალებულის, გარდაცვლილ თ. მ-იას პირადი ღირსების შეურაცხყოფა.

მოგვიანებით, 2002 წლის სექტემბერში, თ. მ-იას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა კანონსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის მოტივით, ხოლო თ. მ-იას სასამართლოს მიერ სრულად იქნა რეაბილიტირებული.

იმავე განაჩენით კ. ა-ას მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა 2001 წლის ივლისში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული – ჩვენების მიცემის იძულება ე.ი. უკანონო ქმედებით ექვიტანილის იძულება ჩვენების მიცემისათვის, რასაც თან ერთვოდა ძალადობა, აბუჩად აგდება და წამება.

მანვე ჩაიდინა 2001 წლის ივლისს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯანმრთელობისათვის განზრახ მძიმე დაზიანება, ე.ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით და ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. ა-ია 2001 წლის 14 ივლისს მუშაობდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ნაზადის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამმებროს ინსპექტორის თანამდებობაზე და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა მოხელეს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით კ. ა-ია მსჯავრდებულ იქნა 2001 წლის 14 ივლისს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელად დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა ორი წლით.

2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 2 საათიდან 4 საათამდე, გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ, გაქურდულ იქნა ქ. ფოთში, მოქალაქე მ. ს-იას ბინა, საიდანაც ფარულად იქნა გატაცებული "ფუნაის" სისტემის ტელევიზორი, ამავე სახელწოდების მაგნიტოფონი და მართვის პულტი. აღნიშნული საცხოვრებელი ბინა მდებარეობდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ნაზადის ქვეგანყოფილების სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელიც შედიოდა ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში.

2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით დილის 5 საათზე, ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის რეგიონალური განყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილების პოლიციელების თ. შ-იას და კ. ლ-იას მიერ, თავის სამოქმედო, ნაზადის გადასასვლელი ხიდის ქვემოთ მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო საფუძვლების არარსებობის პირობებში. დაკავებული იქნა თითქოსდა სხვისი ქონების ქურდობაში ეჭვმიტანილი, ქ. ფოთში, თ. მ-ია. განზრახ უკანონოდ დაკავებული თ. მ-ია გადაყვანილი იქნა ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში, სადაც იგი განზრახ უკანონოდ იყო დაკავებული 7 საათსა და 10 წუთამდე, რა დროსაც არ შედგენილა თ. მ-იას დაკავების ოქმი.

იმ მოტივით, რომ თ. მ-იას თითქოსდა დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს და არა სატრანსპორტო პოლიციის ტერიტორიაზე, იგი კანონის უხეში დარღვევით 7 საათსა და 10 წუთზე, ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამმებროს განყოფილების ყოფილ უფროსის მოადგილის მ. მ-შვილის მიერ, რომელმაც შესრულა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი დავალება, თ. მ-იას დაკავების დროს დაშვებული კანონდარღვევების გამოსწორების მიზნით, იგი ოპერატიულ მუშაკებთან: მ. ბ-იასთან, ე. ს-იასთან და კ. ხ-ვასთან ერთად, იმავე დღის 7 საათსა და 50 წუთზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, სატრანსპორტო პოლიციის შენობიდან კვლავ გაიყვანეს ქ. ფოთში, ნაზადის ხიდის ქვეშ მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მათ ფოთის შს ხელმძღვანელობის დავალებით შეუერთდა ნაზადის ქვეგანყოფილების უფროსი პ. ჯ-ძე. განზრახ უკანონოდ დაკავებულ თ. მ-იას, გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში იქ მიტანილ, ქ. ფოთში, მოქალაქე მ. ს-იას კუთვნილი "ფუნაის" სისტემის ტელევიზორთან, ამავე სახელწოდების ვიდეომაგნიტოფონთან და მართვის პულტთან ერთად, პ. ჯ-ძემ პირადი ფოტოაპარატით "შMM-111-ით" გადაუღო ფოტოსურათები. მ. მ-შვილმა და ზემოაღნიშნულმა პირებმა საპროცესო ნორმების დარღვევით, პ. ჯ-ძის მიერ მოყვანილი ორი დამსწრის, დ. მ-შვილის და მ. ი-იანის მონაწილეობით, შეადგინეს თითქოსდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმი, ანუ კანონის უხეში დარღვევით, მტკიცებულების ფალსიფიკაციით, შექმნა თ. მ-იას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე დაკავების საფუძველი, რის შემდეგ თ. მ-ია უკანონოდ გადაიყვანეს და მოათავსეს ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოში.

მტკიცებულებების ფალსიფიკაციის მიზნით, ასევე კანონის და საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, იმავე დღეს თითქოსდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული, ნივთიერი მტკიცებულებების მნიშვნელობის მქონე ნივთები მიიტანეს და წარუდგინეს ქ. ფოთში მცხოვრებ მ. ს-იას. მისი საცხოვრებელი სახლის დათვალიერების შემდეგ, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, არაკანონიერი გზით უკვე დადგენილი ფაქტიური გარემოებებიდან გამომდინარე, მასთან მისადაგების მიზნით, ჩამოერთვა ახსნა-განმარტება მოქალაქე მ. ს-იას.

მას შემდეგ, რაც ფალსიფიცირებული მასალები გადაეცა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროს მ. ს-ნს, მან, მ. ს-ნმა ფალსიფიცირებული მოკვლეული მასალისა და მოქალაქე მ. ს-იას ახსნა-განმარტების საფუძველზე ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს პასუხისმგებელი მორიგე რ. გ-ძე, უკანონო მითითების საფუძველზე აიძულა 2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე ყალბად, მისი წინამორბედი პასუხისმგებელი მორიგის თ. ბ-ვას სახელით შეედგინა თითქოსდა 6 საათზე უცნობი მოქალაქის მიერ ტელეფონით შეტყობინების ოქმი, ქ. ფოთში მცხოვრებ მ. ს-იას ბინის ქურდობის ფაქტზე. ბინიდან ფარულად გატაცებულად მიუთითა უკვე ცნობილი საგნები, ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი. ყალბად შედგენილი შეტყობინება მ. ს-ნმა რეზოლუციით დააწერა "ნაზადის" ქვეგანყოფილების უფროსს პ. ჯ-ძეს და ფოთის შ.ს სამმართველოს სისხლის სამართლის სამმებრო ქვეგანყოფილების უფროსის

მოადგილეს მ. მ-შვილს. ხოლო დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე, მის მიერვე ყალბი, ფალსიფიცირებული მტკიცებულების საფუძველზე თ. მ-იას მიმართ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პირადად აღძრა სისხლის სამართლის საქმე 2001 წლის ივლისში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით.

თ. მ-იას მიმართ უკანონოდ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, იმავე დღეს წარმოებაში მიიღო სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის ყოფილმა მოადგილემ მ. მ-შვილმა, ხოლო 12 საათსა და 00 წუთზე გამოტანილი იქნა დადგენილება თ. მ-იას ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ და იგი დაიკითხა ეჭვმიტანილის სტატუსით, სადაც ასევე დადასტურებულ იქნა ახსნა-განმარტებაში აღნიშნული გარემოებები, რომ ქურდობა მ. ს-იას ბინაში ჩადენილი ჰქონდა მხოლოდ მას, თანამონაწილეთა გარეშე, რის საფუძველზეც იგი მოთავსებულ იქნა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში. ამ დროიდან თ. მ-ია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე სარგებლობდა გარკვეული უფლებებით და მის მიმართ საგამომიებო მოქმედებები უნდა ჩატარებულიყო, როგორც ეჭვმიტანილის სტატუსის მქონე პირთან, შესაბამისად სამისოდ კანონით აღჭურვილი პირის, – კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მწარმოებელ მ. მ-შვილის მიერ.

მიუხედავად ამისა, მ. ს-ნმა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ყალბი მოტივით, სხვა დანაშაულებათა გახსნის და თანამონაწილეთა დასახელების მიზნით, მას შემდეგ რაც თ. მ-ია მ. მ-შვილის მიერ ჩაყვანილ იქნა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში, მ. ს-ნის უკანონო ბრძანების და დავალების საფუძველზე, მიუხედავად პასუხისმგებელი მორიგის რ. გ-მის მხრიდან გაწეული წინააღმდეგობისა, დაახლოებით დღის 15 საათის შემდეგ თ. მ-ია დროებითი დაკავების იზოლატორიდან, ხელბორკილის გამოყენებით, სამსახურებრივად მის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციის თანამშრომლებს, ქ. ფოთის ნაბადის ქვეგანყოფილების ოპერატიულ მუშაკებს: კ. ა-იას, ა. ს-შვილს და ჰ. კ-ძეს აყვანიდა პოლიციის შენობის მეორე სართულზე, ოპერატიულ მუშაკ ზ. ხ-ვას სამუშაო ოთახში, სადაც მათ მოგვიანებით შეუერთდნენ ამავე ქვეგანყოფილების ოპერატიული მუშაკი ე. მ-ძე და თვით პ. ჯ-ძე, რომელიც შეიარაღებული იყო მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით და რეზინის ხელკეტით.

მ. ს-ნის, როგორც ორგანიზატორის, უკანონო დავალების შესასრულებლად და მასთან შეთანხმებით კ. ა-იამ, აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით პირთა ჯგუფთან, პ. ჯ-ძესთან, პ. კ-ძესთან და ე. მ-ძესთან ერთად, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, თ. მ-ია ქვედა საცვლის ამარა, შიშველ მდგომარეობაში, მარცხენა ხელით, ფიზიკური ძალის გამოყენებით, ხელბორკილით მიაბეს ზ. ხ-ვას სამუშაო ოთახში არსებულ სეიფის სახელურზე, ასევე ძალადობითა და მის მიმართ პირადი ღირსების შეურაცხყოფის გზით, ხელკეტით ცემისა და ბლაგვ საგანზე არაერთგზის მიხეთქების შედეგად, რასაც თან ერთვოდა ეჭვმიტანილის აბუჩად აგდება და წამება, თ. მ-იას გამოსძალეს თითქოსდა გ. გ-იასთან ერთად, მ. ს-იას ბინის ქურდობის ჩადენის აღიარებითი ჩვენება, ასევე ძალადობითა და პირადი ღირსების შეურაცხყოფის გზით გამოსძალეს და აღიარებინეს სხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტებიც, მათ შორის, ავტომანქანის ტელევიზორის, მაგნიტოფონის ქურდობის და ნაქურდალის მოქალაქე ჯ. გ-ვასა და ს. დ-იასათვის მიყიდვის ფაქტები, რაც შეგნებულად არ გააფორმეს საპროცესო ნორმების დაცვით.

კ. ა-იას მიერ, პირთა ჯგუფთან, პ. ჯ-ძესთან, ე. მ-ძესთან და ჰ. კ-ძესთან ერთად, მ. ს-ნის უკანონო დავალების შესასრულებლად, თ. მ-იასგან მუქარით, ძალადობით, აბუჩად აგდებით, განსაკუთრებული სისასტიკით და წამების გზით, აღიარებითი ჩვენების გამოძალვა გაგრძელდა დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთამდე, რა დროსაც ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით თ. მ-იას, უშუალოდ ხელკეტით და მკვრივი, ბლაგვი საგნით ცემით, მკვრივ საგანზე არერთხელ მიხეთქებით მიაყენეს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები. კერძოდ ელენთის, ღვიძლის და ორივე თირკმელის წინა ზედაპირზე სუბკაპსულური გასკდომით, განზრახ მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. მარჯვენა წინამხრის წინა ზედაპირზე, ასევე მარცხენა სხივმაჯის სახსრის უკანა ზედაპირზე მიაყენეს მსუბუქი ხარისხის მრავლობითი დაზიანებები, ასევე თ. მ-იას გულმკერდის წინა ზედაპირზე, მარჯვენა ნახევარში, მკერდის ძვლის საზღვარზე, მეორე-მესამე ნეკნთა შუა სივრცეში, ზემო ღრუ ვენას სანათურში შეღწევით, გამოძიებით დაუდგენელი მჩხვლეტავი საგნის დარტყმით, თ. მ-იას მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შემდეგ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში მოჰყვა თ. მ-იას მეორე სართულიდან გადმოვარდნა და უკვე მიყენებული მძიმე ხარისხის დაზიანების შედეგად, იმავე დღეს ქ. ფოთის საავადმყოფოში მისი გარდაცვალება.

მოგვიანებით, 2002 წლის სექტემბერში, თ. მ-იას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა კანონსა-

წინააღმდეგო ქმედების არარსებობის მოტივით, ხოლო თ. მ-ია სასამართლოს მიერ სრულად იქნა რეაბილიტირებული.

ფოთის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ს-ნის დამცველმა ადვოკატებმა დ. ხ-მა, ნ. ა-ძემ და ი. გ-ძემ და მსჯავრდებულ კ. ა-ას დამცველმა, ადვოკატმა ა. ქ-ძემ.

აპელანტი – მ. ს-ნის ინტერესების დამცველი ადვოკატები დ. ხ-კი, ნ. ა-ძე და ი. გ-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, იმ მოტივით, რომ მ. ს-ნი ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 22 სექტემბერს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლითაც დადასტურებულად იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ მ. ს-ნს არავითარი შემხებლობა არ ჰქონია თ. მ-იასთან და ასევე არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია ფოთის შს სამმართველოს თანამშრომლებთან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტის აზრით, ძნელი წარმოსადგენია ერთი და იგივე ფაქტთან დაკავშირებით ერთი და იგივე ჩვენებით ერთი და იმავე პირმა ჩაიდინოს, როგორც გაუფრთხილებელი, ისე განზრახი დანაშაული, რომელიც ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლის სამართლის ფუნდამენტალურ პრინციპებს, არამედ საქართველოს კონსტიტუციას და ყველა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება.

აპელანტი – მსჯავრდებულის კ. ა-ას ინტერესების დამცველი ადვოკატი ა. ქ-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ მოტივით, რომ კ. ა-ას მსჯავრდება ეყრდნობა მხოლოდ მ. მ-შვილის ჩვენებას, ხოლო დაუდგენელი და გამოსაკვლევი მთელი რიგი გარემოებები. ამასთან, სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული მოწმეთა ჩვენებები, რომლებითაც დასტურდება კ. ა-ას უდანაშაულობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენი დატოვებულ იქნა უცვლელად. მსჯავრდებულ მ. ს-ნს დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2008 წლის 13 მარტიდან, ხოლო კ. ა-იას – 2008 წლის 02 აპრილიდან. ამასთან, საქმეზე დართული და ნივთმტკიცებად ცნობილი ქ. ფოთის შს საქალაქო სამმართველოს კუთვნილი 2001 წლის დაკავებულთა და პატიმრობაში აყვანილთა საკნებიდან გამოყვანის რეგისტრაციის ჟურნალი და შს განყოფილებაში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალი შენახულ იქნა მოცემული საქმის შენახვის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. ს-ნის დამცველმა ადვოკატებმა – ი. გ-ძემ და გ. ნ-შვილმა, აგრეთვე, მსჯავრდებულ კ. ა-იას დამცველმა, ადვოკატმა ა. ქ-ძემ საკასაციო საჩივრებით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორები – მ. ს-ნის დამცველი ადვოკატები – ი. გ-ძე და გ. ნ-შვილი ითხოვენ მ. ს-ნის გამართლებას, იმ მოტივით, რომ მას მსჯავრი დაედო ერთი და იმავე მტკიცებულებებზე დაყრდნობით თავდაპირველად გაუფრთხილებლობით, ხოლო ამჟამად – განზრახ ჩადენილი დანაშაულებისათვის; რომ ფოთის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების განაჩენები ეყრდნობა მხოლოდ მოწმე მ. მ-შვილის ურთიერთგამომრიცხავ და ცრუ ჩვენებებს, რომელიც მოგონილია და არ ასახავს რეალურ სურათს.

კასატორი – კ. ა-იას დამცველი, ადვოკატი – ა. ქ-ძე ითხოვს მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიება წარმართა ცალმხრივად მხოლოდ ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ ადასტურებს კ. ა-იას ბრალს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების – მ. ს-ნისა და კ. ა-იას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ს-ნის დამცველი ადვოკატების – ი. გ-ძისა და გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ კ. ა-იას დამცველის, ადვოკატ ა. ქ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ს-ნისა და კ. ა-იას ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენით მათთვის ინკრიმინირებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებები. მათი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულის უფლებამონაცვლის ლ. მ-იას ჩვენებით.

ბით ასევე, მოწმეების – მ. მ-შვილის, რ. გ-ძის, გ. ს-ძის, მ. ჯ-იას, ს. ჯ-უას, რ. კ-ვას, ზ. ჩ-შვილის, ა. მ-იას, კ. ჟ-იას, გ. ღ-ძის, ლ. ჩ-უას, მ. ს-იას, კ. კ-შვილის ჩვენებებით.

მსჯავრდებულების მ. ს-ნისა და კ. ა-იას მიერ დანაშაულთა ჩადენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობას ადასტურებს ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, კერძოდ:

თ. მ-იას პირადი ჩხრეკის ოქმი, მ. ს-იას ბინაში ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ამოღებული კვლების ნიმუშები, მ. ს-იას ახსნა-განმარტება, თ. მ-იასთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება, მ. ს-იას მოწმის დაკითხვის ოქმი, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა #კ/323 გარდაცვლ თ. მ-იას მიმართ, ხელწერილის ექსპერტიზის დასკვნით დათარიღებული 2002 წლის 5 ივლისით და თ. მ-იას მიმართ სიხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება; მოწმის მ. მ-შვილის ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმი თანდართული სქემით, სასამართლო-სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნა #2006/1 გარდაცვლილ თ. მ-იას მიმართ, მომხდარი ფაქტის გამო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი 2001 წლის 14 ივლისი; საქმეში არსებული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების ასლები; ასევე, მოწმეების: ვ. ხ-იას, კ. კ-ძის, გ. გ-იას და ზ. მ-ძის ჩვენებები.

ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოჩამოთვლილი მტკიცებულებები მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა მ. ს-ნისა და კ. ა-იას მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს მსჯავრდებულ მ. ს-ნის მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 დეკემბრის განაჩენზე, რომელზეც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დაუშვებლად. აღნიშნული განაჩენით მ. ს-ნის მსჯავრდება განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე – სამსახურებრივი გულგრილობისათვის, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა და ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. რაც შეეხება თავად დანაშაულებრივ ქმედებას, გამოიხატა იმასში, რომ მ. ს-ნს, როგორც ქ. ფოთის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსს, დაეკისრა პასუხისმგებლობა დროის მონაკვეთში, რომელიც დაიწყო ქ. ფოთში მცხოვრები მ. ს-იას ბინიდან ტელევიზორისა და ვიდეო-მაგნიტაფონის ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევის დაწყებიდან დამთავრებული თ. მ-იას გარდაცვალებით, მის სამმართველოში განხორციელებულ კანონდარღვევებზე, თუმცა მის მიერ დანაშაულის ჩადენა პირველ ეტაპზე შეფასდა როგორც მისი მოვალეობებისადმი გაუფრთხილებელი დამოკიდებულება და შესაბამისად დაკვალიფიცირდა, როგორც გულგრილობა, მძიმე შედეგით.

ამასთან, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენებით, წინა განაჩენებისაგან განსხვავებით შეიცვალა მხოლოდ მ. ს-ნის მიერ ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივი შეფასება, გარდა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილისა, რომელიც წინა ბრალდებისგან განსხვავებით ფაქტობრივადაც ახალი შინაარსისაა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის განაჩენში ამ გარემოებაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ეტაპზე სასამართლოებმა უარყვეს არა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არამედ, მათი სამართლებრივი შეფასება, რაც ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელი რგოლია ერთი დანაშაულის ფარგლებში პირის რამდენიმეჯერ მსჯავრდების საკითხის განხილვისას. პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 113-ე მუხლი არ გულისხმობს მხოლოდ სამართლებრივი შეფასების უარყოფის შესაძლებლობას. ამ მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუცილებელია არა მხოლოდ სამართლებრივი შეფასების, არამედ ფაქტობრივი გარემოებების უარყოფაც, რასაც, როგორც აღინიშნა, ადგილი არ ჰქონია. სწორედ ფაქტობრივი გარემოებების უარყოფა იწვევს სამართლებრივი შეფასების კორექტირებას და არა პირიქით. გარდა ამისა, სსკ-ის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ "სხვა სისხლის სამართლის საქმეში" იგულისხმება არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ შინაარსობრივადაც სხვა სისხლის სამართლის საქმე.

პირის ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის გარანტიები უზრუნველყოფილია არა მარტო სისხლის საპროცესო კანონმდებლობით, რომლის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ი" ქვეპუნქტი ავალდებულებს პროცესის მწარმოებელ ორგანოს შეწყვიტოს სისხლისსამარ-

თლებრივი დევნა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო, არამედ ქვეყნის უზენაესი კანონით – კონსტიტუციითაც, რომელიც აცალიბებს საყრდენ მიმართულებებს ამ კუთხითაც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად: "არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის".

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდების აკრძალვა გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლითაც, რომლის მიხედვით, პრინციპი "ნონ ბის ინ იდემ" მოქმედებას იწყებს სწორედ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში სასამართლოების მიერ პირის ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ გასამართლებისას ან დასჯისას.

პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული დანაწესების საწინააღმდეგოდ, პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა წარსულში არსებული გარემოებების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ს-ნის მიმართ განიხილეს სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სსკ-ის 24-ე და 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" და "თ" ქვეპუნქტების, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა," "ბ" და "გ" ქვეპუნქტებისა და სსკ-ის 24-ე და 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბრალდებით და დაუნიშნეს სასჯელი, რის გამოც, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, მ. ს-ნის მიმართ ამ ნაწილში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ მ. ს-ნის მიმართ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს, ასევე მსჯავრდებულ კ. ა-ის მიმართ სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" და "თ" ქვეპუნქტებითა და იმავე კოდექსის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნულ სასჯელებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ისინი განსაზღვრულია მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, და, ამდენად, არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ი" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ს-ნის დამცველი ადვოკატების – ი. გ-მისა და გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ კ. ა-ის დამცველის, ადვოკატ ა. ქ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მსჯავრდებულ მ. ს-ნის მიმართ საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლითა და 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" და "თ" ქვეპუნქტებით, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა," "ბ" და "გ" ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 24-ე მუხლითა და 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.

მსჯავრდებულ მ. ს-ნს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 3 დღის ვადით, რომლის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს 2008 წლის 13 მარტიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

13. განსასჯელის პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა

განჩინება

#427-აპ-09

3 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. დ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის _ გ. დ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 იანვრის განაჩენით, მ. დ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დაემატა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელი _ 5 წელი და მას საბოლოოდ სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. დ-შვილს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საქმიანობის, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში _ საჯარო ხელი-სუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები. იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 25 ნოემბრიდან.

განაჩენით მ. დ-შვილს მსჯავრი დაედო შემდეგისათვის:

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის განაჩენით მ. დ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა _ 8000 ლარი.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2008 წლის 14 აპრილის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის მ. დ-შვილი დაჯარიმდა 500 ლარით. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ: 2008 წლის 25 ნოემბერს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მ. დ-შვილი დააკავეს და შემოწმების მიზნით გადაიყვანეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური შემოწმებისას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. დ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ჯ-ძემ.

აპელანტები ითხოვდნენ ამ დანაშაულისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად ჯარიმის განსაზღვრას და წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის პირობითი მსჯავრის სახით დამატებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 იანვრის განაჩენი შეიცვალა სასჯელის ნაწილში, კერძოდ:

მ. დ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელად განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე და 67-ე მუხლების საფუძველზე გაუქმდა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი _ 4 წელი, 8 თვე, 21 დღე და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლით, 5 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. დ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. დ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენი მ. დ-შვილის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ მ. დ-შვილის აღიარებითი ჩვენებით, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აპრილის დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ლაბორატორიული გამოკვლევის #5035904 დასკვნით, რომლის თანახმად მ. დ-შვილს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების _ ოპიუმის ჯგუფის მოხმარება, ბრალდებულის დაკითხვის ოქმითა და საქმის სხვა მასალებით, მსჯავრდებულისთვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და მის მიმართ სასჯელის დანიშნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მ. დ-შვილის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. დ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის _ გ. დ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განაჩენი მ. დ-შვილის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსასჯელის პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა

განჩინება

#480აპ-09

3 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ს-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განაჩენით ი. ს-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენი.

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, ი. ს-ძეს გაუნახევრდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 11 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის – 11 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთის – მოუხდელი ნაწილი – 5 თვე, 18 დღე და საბოლოოდ ი. სიხარულიძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით, 5 თვითა და 18 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, ი. ს-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ი. ს-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა "ვალტროს" მოდელის #დ04531 პისტოლეტს, რომელიც ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. აღნიშნული იარაღი 2008 წლის 24 ნოემბერს, 9 საათსა და 15 წუთზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ამოღების დროს, ამოღებულ იქნა ქ. ბათუმში მისი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

ი. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული ძირითადი სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, გაუნახევრდა და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოუხდელი ნაწილი – 5 თვე, 6 დღე და საბოლოოდ ი. სიხარულიძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით, 11 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული ი. ს-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის უცვლელად დატოვებას. კასატორის მოსაზრებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენით მის მიმართ განსაზღვრული სასჯელი არის არაპუმანური და მკაცრი; მან თავი

მთლიანად ცნო დამნაშავედ ჩადენილ დანაშაულში, აღიარა დანაშაული, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულნი განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, საქმეში არსებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ დადგენილებითა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმით, ექსპერტიზის დასკვნით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებით, მოწმეების – გ. გ-ძის, ი. მ-ძის, ე. ჩ-ას ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით სავსებით დადგენილია მსჯავრდებულ ი. ს-ძის ბრალეულობა მასზე შერაცხულ დანაშაულში, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ი. ს-ძის მიმართ სასჯელის დანიშვნისას, როგორც 1-ლი, ასევე სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ არ მომხდარა საქმის გარემოებათა გამოკვლევა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად. ერთნაირი გულმოდგინებით არ გარკვეულა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, ი. ს-ძის სისხლის სამართლის საქმის წარმოების წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე არ არის გამოკვლეული მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები.

1-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში ი. ს-ძის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად მითითებულია ის, რომ ი. ს-ძეს ჰყავს ოჯახი და მცირეწლოვანი შვილი. საქმეში ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოიპოვება.

პროკურორის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და ი. ს-ძეს ისე გაუმკაცრა სასჯელი, რომ საერთოდ არ უმსჯელია მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე, უფრო მეტიც: საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ი. ს-ძის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები მითითებული იყო გამოკვლევის გარეშე. სააპელაციო პალატამ, დატოვა რა უცვლელად განაჩენი დანარჩენ ნაწილში, ყოველგვარი შეფასების გარეშე დატოვა აღნიშნული საკითხიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენი ი. ს-ძის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ხელახალი სასამართლო განხილვის დროს უნდა იქნეს გამოკვლეული მსჯავრდებულ ი. ს-ძის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და მას განესაზღვროს სამართლიანი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განაჩენი ი. ს-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსასჯელის პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა

განჩინება

#658-აპ

22 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. წ-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განაჩენზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 თებერვლის განაჩენით ნ. წ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნ. წ-ლს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 სექტემბრიდან.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნ. წ-ლს 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი – ნ. წ-ლის სწორი ნაწლავიდან ამოღებული 5,318 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეტადონი", რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ საცავში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ნ. წ-ლის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ქ. თბილისში მცხოვრებმა ნ. წ-ლმა უკრაინის რესპუბლიკაში, ქ. კიევში დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 5,318 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეტადონი", რომელიც უკანონოდ შემოიტანა საქართველოში.

2008 წლის 3 სექტემბერს საქართველოს შს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, საერთაშორისო აეროპორტის გამოსასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ნ. წ-ლი, რომლის სწორი ნაწლავიდან ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 5,318 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეტადონი".

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ნ. წ-ლის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ბ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედის პირობითად ჩათვლას. კასატორის მოსაზრებით, ნ. წ-ლის მიმართ დანიშნული სასჯელი არის მკაცრი; იგი თავს ცნობს დამნაშავედ; პირველადაა სამართალში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ ნ. წ-ლის მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების – დ. გ-შვილის, ვ. მ-შვილის, გ. ბ-ძის ჩვენებებით, ამოღებისა და დაკავების ოქმებით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2008 წლის 3 სექტემბრის

#1012/სქ დასკვნით, საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ოპერატიული მართვისა და სასაზღვრო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ გაცემული ცნობით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენით სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მსჯავრდებულ ნ. წ-ლის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამუბუქებელი გარემოებები. ეს კი მოცემულ შემთხვევაში როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს არ გაუკეთებიათ.

საქართველოს სსსკ-ის 475-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, აგრეთვე, იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

საქმის მასალების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაცვის მხარემ ნ. წ-ლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე საუბრისას ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ნ. წ-ლი არის ახალგაზრდა, სამი შვილის მამა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს საერთოდ არა აქვს გამოკვლეული. ხოლო სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ნ. წ-ლის მიმართ გამოტანილ განაჩენში საერთოდ არ იმსჯელა აღნიშნულ გარემოებაზე.

მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობამ კი გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რაც, სსსკ-ის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განაჩენი მსჯავრდებულ ნ. წ-ლის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსასჯელის პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა

განჩინება

#530-აპ

8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. კ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ივლისის განაჩენით:

მ. პ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მაიზერ პირველს სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2005 წლის 27 დეკემბრიდან. მასვე სასჯელადსრულების დაწესებულების პირობებში სასჯელის მოხდის პარალელურად დაენიშნა იძულებითი მკურნალობა ნარკომანიისაგან განკურნების მიზნით.

შ. მ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2005 წლის 27 დეკემბრიდან.

საქმეზე დართული ნივთმტკიცებები: თეთრი ფერის ქაღალდში გახვეული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 0,128 გრამი და შავი ფერის პლასტმასის ოვალური ფორმის კოლოფი, მასში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 6,825 გრამი, რომლებიც ინახება საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრში, უნდა განადგურდეს; 1973 წლის გამოშვების "მაკაროვის" კონსტრუქციის პისტოლეტი #B3370, ერთი ცალი მჭიდითა და რვა ცალი ვაზნით, რომელიც ინახება შსს საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის შეიარაღების საწყობში, უნდა გადაეცეს ამავე დეპარტამენტს, ხოლო ბინის ჩხრეკისას ამოღებული, შ. მ-ს კუთვნილი, შავი ფერის მძივებით გაწყობილი, ოთხკუთხედი ფორმის ხელჩანთა, შ. მ-ს სახელზე გაცემული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პირადობის მოწმობა და მ. პ-ი სახელზე გაცემული საქართველოს რესპუბლიკის პასპორტები უნდა დაუბრუნდეს მათ მფლობელებს.

შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებელ ზ. ქ-ს 2005 წლის 30 დეკემბრის დადგენილება მსჯავრდებულების – მ. პ-ას და შ. მ-ს მცირეწლოვან შვილებზე – მ. მ-ს და ა. პ-ეს მეურვეობის, ნათესავებზე – რ. ნ-სა და ნ. მ-ეზე, დაცისრების შესახებ დარჩა უცვლელად.

განაჩენის მიხედვით ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ქ. თბილისში, მცხოვრები მ. პ-ი წინასწარ შეუთანხმდა რა თავის მეუღლეს, იმავე მისამართზე დროებით მცხოვრებ შ. მ-ს, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი". შემენილი ნარკოტიკული საშუალებიდან ნაწილი მ. პ-ამ პირადი მოხმარების მიზნით შეინახა თავისი კუთვნილი ჯინსის შარვლის წინა მარცხენა ჯიბეში, ხოლო დანარჩენი კი, მეუღლესთან – შ. მ-სთან ერთად უკანონოდ შეინახა იმავე საცხოვრებელ ბინაში, კერძოდ კი მეუღლის კუთვნილ ხელჩანთაში.

ამასთან, მ. პ-ამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ასევე დაუდგენელი პირისგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, 1951 წლის ნიმუშის, 1973 წელს გამოშვებული, 9 მმ კალიბრის "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი ერთი მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თბილისში მდებარე თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში.

2005 წლის 27 დეკემბერს, 15 საათსა და 35 წუთზე, ქ. თბილისში, ლუქსემბურგის ქუჩის #-ში, შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს იმავე მისამართზე მცხოვრები მ. პ-ი და მისი მეუღლე შ. მ-ა, რომლებსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით ადგილზევე ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მ. პ-ს ჯინსის შარვლის წინა, მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა თეთრი ფერის ქაღალდში გახვეული, დიდი ოდენობით – 0,128 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

იმავე დღეს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, ჩაატარეს მ. პ-ასა და შ. მ-ს ფაქტობრივი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რა დროსაც ბინაში შესასვლელი დერეფნიდან მარჯვენა მხარეს განთავსებულ სამიწებელ ოთახში, მარჯვენა მხარეს მდგომი მაგიდიდან ამოღებულ იქნა შავი ფერის მძივებით გაწყობილი ოთხკუთხედი ფორმის ხელჩანთა, საიდანაც ამოიღეს შავი ფერის პლასტმასის ოვალური ფორმის კოლოფი და მასში მოთავსებული, ოვალური მოგრძო ფორმის, ღია ფერის პოლიეთილენის ცელოფანში შეხვეული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 6,825 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

იმავე ოთახში, მარცხნივ მდგარი საწოლის ლეიბის ქვემოდან ასევე ამოღებულ იქნა "მაკაროვის" კონსტრუქციის პისტოლეტი #PB3370, ერთი მჭიდითა და 8 ვაზნით, რომელიც #39-351\ზ ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია

სროლისათვის, ხოლო 8 ვაზნა კი, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული მ. პ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ გამართლდეს ბრალად შერაცხული დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან (პირველი ეტაპი), აგრეთვე, იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებასა და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე (მეორე ეტაპი).

დაცვის მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრებისთანავე სასამართლო აცხადებს, რომ გაადიდის იმ მტკიცებულებათა განხილვაზე, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას, შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულმა მ. პ-ამ სააპელაციო წესით საქმის განხილვისას სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დანიშნული სასჯელის შემსუბუქების თაობაზე. სასამართლო გამოძიება ისე დასრულდა, რომ მხარეებს არ გამოუთქვამთ თავიანთი მოსაზრება, თუ რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ითხოვდნენ ისინი სასჯელის სახისა და ზომის შემცირებას, რამაც შეზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები და რაც გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველია.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას. ამის გამო საკასაციო პალატა არ მსჯელობს მსჯავრდებულ მ. პ-ის საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განაჩენი მ. პ-ს მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. განაჩენის გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო

განჩინება

#1106-აპ-08

2 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენით ვ. ბ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა მარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობის გამოყენების მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ამავე განაჩენით გ. ჟ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა მარცვა, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობის გამოყენების მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ვ. ბ-მისა და გ. ჟ-ნის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ვ. ბ-მემ და წარსულში ორჯერ ნასამართლევა გ. ჟ-ნმა მოილაპარაკეს, წასულიყვნენ სამტრედიის და ჩაედინათ ჯიბის ქურდობები. ამ მიზნით ვ. ბ-მემ თავისთვის დაიტოვა და გ. ჟ-ნსაც გადასცა მკრატლის ცალი პირის ბასრად ალესვით დამზადებული საგნები, რომლებიც უნდა გამოეყენებინათ ქურდობისას ჯიბის გასაჭრელად.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2007 წლის 11 ოქტომბერს, 7 საათზე, ვ. ბ-მე და გ. ჟ-ნი მატარებლით ჩავიდნენ სამტრედიის, სადაც კარგა ხანს ჯერ ბაზრის ტერიტორიაზე, შემდეგ კი – რკინიგზის სადგურზე უთვალთვალეს გამვლელ-გამომვლელებს. დაახლოებით 21 საათზე მათ დაინახეს ერთ-ერთ ძელსკამზე ჩამინებული ფუნთუშების გამყიდველი ქალი ლ. მ-მე, რომელსაც გასაქურდად გვერდით მიუსხდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯიბეში ხელის ჩაყოფისას ლ. მ-მეს გაეღვიძა, ვ. ბ-მემ ხელი არ აიღო დანაშაულებრივ განზრახვაზე, ამკარად ჩაუყო ხელი წინსაფრის მარცხენა ჯიბეში და ამ ფორმით – მარცვით – დაეუფლა ლ. მ-მის მიერ ფუნთუშების ვაჭრობით მოპოვებულ 4 ლარს, რაც გადააწოდა იქვე, გვერდით მჯდომ გ. ჟ-ნს, რომელმაც ნამარცვი შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო. ამასთან, რადგან მარცვის პროცესში ლ. მ-მემ ინსტინქტურად ხელი ჯიბისკენ წაიღო, ვ. ბ-მემ და გ. ჟ-ნმა, მისი აქტიურობის დასათრგუნავად, მიმართეს ძალადობის მუქარას, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და ალესილი ბასრი საგნების დემონსტრირებით აგრძნობინეს, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მიაყენებდნენ დაზიანებას. ლ. მ-მემ ვერ გაბედა ხმის ამოდება, თუმცა, როგორც კი დაინახა ბაქანზე მისკენ მიმავალი სამტრედიის შს რაიგანყოფილების ფორმიანი თანამშრომლები, მიახლოებისთანავე დახმარება სთხოვა მათ და განუცხადა, რაც მოხდა.

პირადი ჩხრეკისას გ. ჟ-ნის შარვლის უკანა ჯიბიდან ამოიღეს მათ მიერ მისაკუთრებული 4 ლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ჟ-ნს მიესაჯა 8 წლით, ხოლო ვ. ბ-მეს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოთ 2007 წლის 11 ოქტომბრიდან. ვ. ბ-მეს დაეკისრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა. ვ. ბ-მემ ითხოვა გამართლება, ხოლო გ. ჟ-ნმა – სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენით სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენი შეიცვალა: გ. ჟ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ვ. ბ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს ცნობს დამნაშავედ და ითხოვს პატიებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენი, სხვა მასალებთან ერთად, ეყრდნობა საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს: საქმის წინასწარი გამოძიების დროს დაზარალებულ ლ. მ-მის დაკითხვის ოქმს, ასევე – ეჭვმიტანილთა დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სასამართლოში არ წაკითხულა საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება და არ დაკითხულა დაზარალებული. სააპელაციო პალატამ გამოაქვეყნა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულის ჩვენებას მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის, სწორედ მისი დამატებით დაკითხვის შემდეგ დამძიმდა ბრალდებულთა მდგომარეობა საქმის წინასწარი გამოძიების დროს.

სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა აღნიშნული დარღვევის გამო, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, საქმეზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში აღნიშნული მითითებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამასთან, საქმის ხელახალი განხილვის შედეგად არ უნდა დამძიმდეს გ. ჟ-ნისა და ვ. ბ-მის მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულის გამო, პალატა არ მსჯელობს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენი გ. ჟ-ნისა და ვ. ბ-მის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო

განჩინება

#1269-აპ-08

7 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულ გ. შ-ს დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ს, დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ს-მის დამცველის, ადვოკატ ო. ე-ის, მსჯავრდებულ ლ. ბ-მის დამცველის, ადვოკატ გ. ძ-სა და მსჯავრდებულ ი. ი-ის დამცველი ადვოკატების _ დ. ხ-ისა და ნ. ა-მის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განაჩენით: ი. ი-ი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ", "ე" ქვეპუნქტების, აგრეთვე, მე-19 მუხლისა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის, იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რისთვისაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა _ 1000 ლარის ოდენობით.

ლ. ბ-მე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლისა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ", "ე" ქვეპუნქტების, იმავე კოდექსის 25-ე მუხლის, მე-19 მუხლისა 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, რისთვისაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით.

განაჩენით ი. ი-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში _ ხულიგნური ქვენაგრძნობითა და ჯგუფურად, აგრეთვე ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ხოლო ლ. ბ-მეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებებში _ ხულიგნური ქვენაგრძნობითა და ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის

წაქეზება, აგრეთვე დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, ორი პირის მიმართ, ხულიგნური ქვე-ნაგრძობითა და ჯგუფურად განზრახ მკვლელობის მცდელობაში თანამონაწილეობა წაქეზების სა-ხით.

აღნიშნული განაჩენის მიხედვით, ი. ი-სა და ლ. ბ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ი. ი-მა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენილი პირისაგან მართლსაწი-ნაადმდეგოდ შეიძინა ორი, 1974 წლის ნიმუშის, 5,45 მმ კალიბრის და ორი, 1943 წლის ნიმუ-შის, 7,62 მმ კალიბრის ვაზნები. ზემოაღნიშნულ, გამოსაყენებლად ვარგის ოთხივე საბრძოლო ვაზნას 2007 წლის 14 ივნისამდე იგი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ქ. ბათუმში მდებარე თავის საცხოვრებელ, კერძოდ, მისაღები ოთახის მაგიდის უჯრაში. ისინი მითითებულ დღეს პო-ლიციის თანამშრომლების მიერ გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული. ამასთან იგი, როგორც 21 წლის ასაკს მიღწეული პირი, 2007 წლის 14 ივ-ნისს, ღამის საათებში, ქ. ბათუმში ყოფნისას, ჯიბით ატარებდა ცივ იარაღს-ფიქსატორიან დანას. 2007 წლის 14 ივნისს, დაახლოებით ღამის 1 საათზე, მთვრალი ი. ი-ი თავის მეგობართან, ასევე მთვრალ ლ. ბ-სთან ერთად ქვეითად მოძრაობდა ქ. ბათუმში, ამ დროს მათ შეამჩნიეს სკამზე მჯდომი, მათთვის უცნობი ორი ახალგაზრდა – გ. ს-ძე და გ. შ-ია. ისინი მივიდნენ მათთან და სრულიად უმიზეზოდ დაუწყეს კამათი, მიმართეს უცენზურო სიტყვებით, მიაყენეს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს ი. ი-ი და ლ. ბ-ძე ხმამაღლა წარმოთქვამდნენ უცენზურო სიტყვებს, არაფრად აგ-დებდნენ პარკში მყოფ მოქალაქეებს და ძალადობისა და ძალადობის მუქარის თანხლებით, დაახ-ლოებით 10-15 წუთის განმავლობაში გამოხატავდნენ საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულო-ბას. თავის მხრივ, გ. შ-იამ და გ. ს-ძემ თავდაცვის მიზნით თავდამსხმელებს გაუწიეს აქტიური ფიზიკური წინააღმდეგობა. ი. ი-მა, გაუჩნდა რა ორი პირის – გ. ს-ძისა და გ. შ-იას ხულიგ-ნური ქვენაგრძობით მოკვლის განზრახვა, შარვლის ჯიბიდან ამოიღო ფიქსატორიანი დანა, გახსნა იგი და განზრახ მოკვლის მიზნით რამდენჯერმე დასარტყმელად მოუქნია გ. შ-იას, რომელმაც შემლო, აეცილებინა მოქნეული დანა. შემდეგ იგი შეეცადა შემთხვევის ადგილიდან გაქცევას, მაგ-რამ ფეხი დაუცურდა და დაეცა, ხოლო ი. ი-ი მოექცა მას ზემოდან და შეეცადა, თავისი გან-ზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით დაერტყა მისთვის დანა, მაგრამ მოქნეული დანიანი ხელი მას დაუკავა გ. შ-იამ და არ ამღევედა დარტყმის საშუალებას, თან ფეხების ქნევით ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. იმავდროულად ლ. ბ-ძე აქეზებდა ი. ი-ს ორი პირის – გ. შ-სა და გ. ს-ის განზრახ მკვლელობაში სიტყვებით – “ეგ დანა დაარტყი, რაღას უცდი, მოკალიო”, რის შემდეგაც ი. ი-მა, განზრახ მოკვლის მიზნით, დანით გ. შ-ს მარცხენა მხრის არეში მიაყენა ნაკ-ვეთი ზედაპირული ჭრილობა, ხოლო ცემის შედეგად, მკვრივი ბლაგვი საგნის გამოყენებით, მარ-ცხენა წვივისა და მარჯვენა ხელის მტევნის არეში მიაყენა დაზიანებები ნაჭდევის სახით. ყოვე-ლივე ამას ხედავდა გ. ს-ძე, რომელსაც რამდენიმე მეტრის მოშორებით ასევე უმიზეზოდ ეჩხუბე-ბოდა ი. ი-ის მეგობარი ლ. ბ-ძე. იგი გაემართა გ. შ-ს დასახმარებლად, ხელში აიღო იქვე, ახ-ლოს მდგარი ნაგვის ურნა და ი. ი-ს ჩაარტყა მხრების არეში. ამის შემდეგ ი. ი-მა თავი დაანება გ. შ-ს, შემოტრიალდა გ. ს-კენ და განზრახ მოკვლის მიზნით, ხელთ არსებული დანის ერთხელ დარტყმით მიაყენა მას სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება – გულ-მკერდის არეში შემავალი ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა, გულის გამჭოლი დაზიანებით, რის შემ-დეგაც იგი ლ. ბ-თან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიძალა, ხოლო გ. ს-ძე მიღებული დაზი-ანების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-მ, მსჯავრდებულ ი. ი-ს დამცველმა ადვოკატებმა – დ. ხ-მა და ნ. ა-ძემ, დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ს-ძის დამცველმა, ადვოკატმა ო. ე-მა და დაზარალებულ გ. შ-ს დამ-ცველმა, ადვოკატმა ნ. ჩ-მ.

აპელანტი, მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. მ-ა სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით: გასაჩივრებული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო; სასამართლომ არასწორი კვალიფიკა-ცია მისცა ი. ი-ის ქმედებას, რამაც გამოიწვია ლ. ბ-ძის უსაფუძვლო მსჯავრდება; ბრალმდებელ მხარეს წაქეზების დასადასტურებლად აქვს მხოლოდ მოწმეთა მიერ დასახელებული სიტყვები – “დაარტყი ეგ დანა და მოკალი, მაგის...”, სხვა წამქეზებელი მოწოდება – სიტყვიერი ან რაიმე სხვა ფორმით გამოხატული – არ არსებობს, აღნიშნულს არ ადასტურებს ასევე დაზარალებული და ჩხუბის უშუალო მონაწილე გ. შ-ია; ი. ი-ს, როცა მან თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ, არ უთქვამს, რომ მოქმედებდა ვინმეს წაქეზებით, რის გამოც სასამართლოს დასკვნები შეუსაბამო საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან.

მსჯავრდებულ ი. ი-ის დამცველი ადვოკატები – დ. ხ-კი და ნ. ა-მე სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანასა და ი. ი-ის ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლზე, რასაც ასაბუთებდნენ შემდეგი მოტივებით: გასაჩივრებული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო; სასამართლომ არასწორი კვალიფიკაცია მისცა ი. ი-ის ქმედებას; განაჩენის გამოტანის დროს სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილით, მე-10 მუხლის მესამე-მეოთხე ნაწილებით, 132-ე მუხლის მესამე, მეხუთე ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; როგორც დაზარალებულის, ასევე მოწმეთა ჩვენებები არათანმიმდევრულია და დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი; მტკიცებულებათა შეფასების დროს მთლიანად არის დარღვეული აგრეთვე საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, მე-19 მუხლით, 503-ე მუხლის მეორე ნაწილით, 508-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტების აზრით, ი. ი-ი უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტის, იმავე კოდექსის მე-19 მუხლისა და 109-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტის, ასევე აღნიშნული კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ს-სა და დაზარალებულ გ. შ-ს ადვოკატები – ო. ე-ლი და ნ. ჩ-ია თავიანთი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განაჩენში, კერძოდ, სასჯელისა და სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ცვლილების შეტანას, რასაც ასაბუთებდნენ შემდეგი მოტივებით: გასაჩივრებული განაჩენი ლმობიერია სასჯელის ნაწილში; სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მოთხოვნა; დანაშაულთა ერთობლიობის გამო მსჯავრდებულებს სასჯელი უნდა დანიშნონდათ ცალკეული ქმედებისათვის; აპელანტები ასევე ითხოვდნენ დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ს-ძის სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებას 50000 ლარის ოდენობით.

იმავე ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი მსჯავრდებულ ი. ი-ის ადვოკატების სააპელაციო საჩივარზე, რომლითაც ითხოვდნენ, რომ სასამართლოს ხსენებული აპელანტებისათვის უარი ეთქვა მათი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო. მათ სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი ასევე მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის ადვოკატის სააპელაციო საჩივარზე, რომლითაც არ ეთანხმებოდნენ აპელანტს, რადგან მიაჩნდათ, რომ მისი საჩივარი იყო სრულიად უსაფუძვლო, რის გამოც შესაგებლის ავტორები ითხოვდნენ ი. ი-ისა და ლ. ბ-ძის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 24 ივლისის განაჩენით აპელანტთა საჩივრები არ დააკმაყოფილა, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულთა სასიკეთოდ შეიტანა შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებული ი. ი-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში, ხოლო 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ", "ე" ქვეპუნქტებისა და 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით; მსჯავრდებული ლ. ბ-მე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის, მე-19 მუხლისა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლისა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ", "ე" ქვეპუნქტების საფუძველზე მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულთა მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ს-ძის დამცველმა, ადვოკატმა ო. ე-მა, დაზარალებულ გ. შ-ს დამცველმა, ადვოკატმა ნ. ჩ-იამ, მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის დამცველმა, ადვოკატმა გ. ძ-მ და მსჯავრდებულ ი. ი-ლის დამცველმა ადვოკატებმა – დ. ხ-მა და ნ. ა-მემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორები, ადვოკატები – ო. ე-ი და ნ. ჩ-ია თავიანთი საჩივრით ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, რათა მსჯავრდებულებს – ი. ისა და ლ. ბ-ძეს, გარდა გ. ს-ძის განზრახ მკვლელობისა, დაეკისროთ პასუხისმგებლობა ასევე დაზარალებულ გ. შ-იას განზრახ მკვლელობის მცდელობისა და მასში თანამონაწილეობისათვის, ხოლო ამ დანაშაულთა ჩადენის გამო მათ შეეფარდოთ სასჯელის მაქსიმალურად მკაცრი ზომები; მათვე სოლიდარულად დაეკისროთ დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ს-ძის სასარგებლოდ 50000 ლარის გადახდა მათი დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

აღნიშნული კასატორები მიუთითებენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მსჯავრდებულები გამართლდნენ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ასეთ მცდელობაში თანამონაწილეობის ბრალდებაში, არის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, რადგან არ შეესაბამება საქმეში არსებულ მასალებს. სასამართლოს დასკვნები და შეფასებები ამ ნაწილში აშკარად ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რომლებითაც სარწმუნოდ დასტურდება ი. ი-სა და ლ. ბ-ძის მიერ დაზარალებულ გ. შ-ის მიმართ მკვლელობის განზრახვის არსებობა და ამ განზრახვის განხორციელების მცდელობის ფაქტი. კასატორთა აზრით, აღნიშნულზე ცალსახად მიუთითებს არა მხოლოდ დაზარალებულ გ. შ-ს თანმიმდევრული ჩვენებები, არამედ – მის მიმართ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით მიღებული შედეგებიც. ამასთან ერთად, კასატორები აღნიშნავენ, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულებისათვის დანიშნული სასჯელების ლომობიერებაზეც, რადგან მიაჩნიათ, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა მათ მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმე და თვით მსჯავრდებულთა პიროვნების მომეტებული საშიშროება, რაც აშკარად გამოიკვეთა მათ ქმედებაში, რის გამოც სასამართლოს გადაწყვეტილებას სასჯელის ნაწილში, ასევე იმ ნაწილში, რომლითაც დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ს-ძეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნაზე მის მიერ გაწეული მატერიალური ხარჯების ასანაზღაურებლად მსჯავრდებულებისათვის 50000 ლარის დაკისრების შესახებ, კასატორები უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევენ, რადგან, მათი აზრით, საკმარისი მტკიცებულებები იქნა წარდგენილი აღნიშნული ზარალის რეალური ხასიათის დასადასტურებლად, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

კასატორები, მსჯავრდებულ ი. ი-ის დამცველი ადვოკატები – დ. ხ-კი და ნ. ა-ძე თავიანთი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ი. ი-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ", "ე" ქვეპუნქტებიდან იმავე კოდექსის 108-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხული ბრალდების ნაწილში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ მან ჩაიდინა გ. ს-ძის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, ხოლო მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული საბრძოლო მასალა – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნები ი. ი-ს არ ეკუთვნოდა. კასატორები თავიანთ მოთხოვნას ასაბუთებენ შემდეგი მოტივებით: მომხდარი მკვლელობის ფსიქიკური საფუძველი არ ყოფილა ხულიგნური ქვენაგრძნობა, მკვლელობა მოხდა ჩვეულებრივი ორმხრივი ჩხუბის დროს, რომლის დამწყები იყვნენ აწ გარდაცვლილი გ. ს-ძე და დაზარალებული გ. შ-ია. ჩხუბის დროს მათ სცემეს მსჯავრდებულებს. ამდენად, როდესაც დანით მძიმედ დაჭრა გ. ს-ძე, ი. ი-ი მოქმედება შურისძიების მოტივით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. კასატორების აზრით, ასევე უსაფუძვლოა ი. ი-ის ბრალდება, რომ მან განზრახ მკვლელობა ჩაიდინა ჯგუფურად, რადგან მსჯავრდებულებს შორის არ ყოფილა არც წინასწარი შეთანხმება და არც – ერთობლივი განზრახვა ვინმეს მოსაკლავად – ასეთი განზრახვა ვერც იქნებოდა საქმის მასალებიდან გამომდინარე, ვინაიდან ჩხუბი დაიწყო სპონტანურად, რა დროსაც ი. ი-ი და ნ. ბ-ძე ცალ-ცალკე ჩხუბობდნენ გ. შ-იასა და გ. ს-თან. მიუხედავად ამისა, სასამართლო უმართებულოდ დაეყრდნო მოწმეების – გ. გ-ის, ე. ნ-ისა და გ. ნ-ის წინააღმდეგობრივ და არათანმიმდევრულ ჩვენებებს, რომლებიც სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნდა საპროცესო კანონის დარღვევით. კასატორები თავიანთ საჩივარში აღნიშნავენ რომ ი. ი-ის ოჯახში ჩხრეკა ჩატარდა და ჩხრეკის ოქმი შედგა საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ჩხრეკისას ამოღებული ვაზნები და ჩხრეკის ოქმი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო კანონიერ მტკიცებულებად, ხოლო ბრალდება – საფუძვლიანად და დადასტურებულად.

კასატორი, მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის დამცველი, ადვოკატი გ. ძ-ა თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განაჩენის გაუქმებას ლ. ბ-ძის მსჯავრდების ნაწილში და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ ლ. ბ-ძეს არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. საჩივრის ავტორი თავის მოთხოვნას ასაბუთებს შემდეგი მოტივებით: სასამართლო გამოძიებით არ დასტურდება, რომ ლ. ბ-ძე აქეზებდა ი. ი-ს გ. ს-ძის მოსაკლავად; რაც შეეხება დაზარალებულ გ. შ-ს, მისი მკვლელობის მცდელობის ბრალდებასა და ასეთი დანაშაულის წაქეზების ბრალდებაში სასამართლომ სრულიად საფუძვლიანად გაამართლა ი. ი-ლი და ლ. ბ-ძე; ობიექტურად, ჩხუბის დროს შექმნილ ვითარებაში, ნაცემ და გაბრუებულ ი. ი-ს არ შეეძლო, გაეგონა ვინმეს მიერ მისთვის დამახილი სიტყვები, ასეთი კიდევ რომ მომხდარიყო, რაც თვით ი. ი-მაც დაადასტურა, როცა აღნიშნა, რომ "მას მისი მისამართით ვინმესგან რაიმე მოწოდება არ გაუგონია". კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე საპროცესო კანონის დარღვევით გამოქვეყნდა ბრალდების იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც სასამართლოში ასევე კა-

ნონის დარღვევით არ იქნენ წარმოდგენილნი. კასატორი აგრეთვე მიუთითებს, რომ საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საპროცესო კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფის შედეგად, არაერთხელ დაირღვა ლ. ბ-ძის უფლებები – მას ჯერ ბრალდება წარუდგინეს ხულიგნობის ჩადენის თაობაზე, ხოლო შემდეგ, სრულიად დაუსაბუთებლად, ბრალი დასდეს განზრახი მკვლელობის წაქეზებაში. საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევებით წარმართა ასევე სასამართლო განხილვებიც, რამაც საბოლოოდ განაპირობა ლ. ბ-ძის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი მსჯავრდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების – ი. ი-ის, ლ. ბ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულების – ი. ი-ისა და ლ. ბ-ძის ბრალდების საქმეზე სააპელაციო სასამართლოში ჩატარებული სასამართლო გამოძიება, ასევე სასამართლოს მიერ განაჩენში გაკეთებული დასკვნები საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე ვერ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპებით განსაზღვრულ იმ მოთხოვნებს, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის უტყუარად დადგენას. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებისას ვერ იქნა უზრუნველყოფილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი და სრული გამოკვლევა. მაგალითად, არ არის სარწმუნოდ გარკვეული: კონფლიქტის მონაწილე მხარეებიდან პირველმა ვინ გამოიყენა ფიზიკური ძალა ანუ რეალურად ვინ დაიწყო ჩხუბი, რომელიც მძიმე შედეგებით დასრულდა; რით არის განპირობებული ის გარემოება, რომ აწ გარდაცვლილ გ. ს-ძეს, დანით მიყენებული ერთი სასიკვდილო ჭრილობის გარდა, სხვა არავითარი დაზიანება არ აღენიშნება, მიუხედავად ჩხუბში მისი აქტიური მონაწილეობისა, მაშინ, როდესაც ი. ი-ს მიყენებული აქვს მრავლობითი დაზიანებები, თუმცა – ყველა მსუბუქი ხარისხის; წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდების იმ მოწმეების დაკითხვისას, რომლებიც შემდეგ სასამართლოში არ დაკითხულან, იყო თუ არა დაცული საპროცესო კანონით დადგენილი ყველა მოთხოვნა; რატომ მოხდა აღნიშნული მოწმეების ჩვენებების ნაჩქარევად გამოქვეყნება სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ამოწურული საპროცესო კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა სასამართლოში მათ წარმოსადგენად; რომელ უტყუარ მტკიცებულებებს დაეყრდნო სასამართლო, როდესაც დადგენილად მიიჩნია, რომ დაზარალებულ გ. შ-ს დანის გამოყენებით დაჭრის მომენტში ი. ი-ი არ მოქმედებდა მისი მოკვლის განზრახვით; რა საფუძველზე ჩათვალა სასამართლომ ლ. ბ-ძე გ. ს-ძის მკვლელობის თანამონაწილედ, რეალურად რაში გამოიხატა, სასამართლოს აზრით, ლ. ბ-ძის მიერ ამ დანაშაულში შეტანილი წვლილი, მაშინ, როდესაც იმავდროულად დადგენილად მიაჩნია, რომ ლ. ბ-ძეს ი. ი-ი არ წაუქეზებია გ. ს-ძის მკვლელობის ჩასადენად. ბრალდების მხარის ის დასკვნა, რომ ლ. ბ-ძე ი. ი-ს აქეზებდა არა მხოლოდ გ. შ-ს, არამედ – ასევე გ. ს-ძის მკვლელობის ჩასადენად, ობიექტური შეფასებით, მართლაც არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან – არც ბრალდების მოწმეთა ჩვენებებიდან და არც თვით დაზარალებულ გ. შ-ს მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებებიდან.

გარდა ამისა, აშკარად გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენით მიღებული სხვა მატერიალური სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებებიც თუნდაც მის მიერ დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს შემდეგი: როდესაც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ი-ი გ. შ-ს დანით დაჭრისას არ მოქმედებდა მისი მოკვლის განზრახვით, რატომ გაამართლა იგი აღნიშნულ ეპიზოდში მთლიანად და რატომ არ იმსჯელა იმის თაობაზე, რომ ხომ არ შეიცავდა მისი ქმედება ამ ეპიზოდში სხვა დანაშაულის შემადგენლობას, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულს, როგორცაა ხულიგნობა, ჩადენილი იარაღად დანის გამოყენებით. ამასთან ერთად, როდესაც ი. ი-ს მოუხსნა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნდა გ. შ-ის მოკვლის განზრახვა, სასამართლოს, ვინაიდან დადგენილად მიაჩნდა, რომ ლ. ბ-ძე ნამდვილად აქეზებდა ი. ი-ს გ. შ-ს მოსაკლავად, უნდა ემსჯელა იმაზეც: ხომ არ შეიცავდა რ. ბ-ძის ქმედება განზრახ მკვლელობის მომზადების შემადგენლობას, საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის მეორე წინადადებიდან გამომდინარე, რომლის თანახმად, დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც, მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. ამავე დროს საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც, რომლებიც შეეხება გ. ს-ძის განზრახ მკვლელობის მოტივაციას, კერძოდ: სააპელაციო სასამართლოს, მართალია, მიაჩნია, რომ მხარეებს შორის ჩხუბი დაიწყო ლ. ბ-

სა და ი. ი-ს მხრივ ხულიგნური ქვენაგრძობით, მაგრამ მას ასევე უნდა ემსჯელა შემდეგ საკითხებზე: როდესაც გ. შ-სთან ჩხუბის დროს ი. ი-ს ნაგვის ურნა ჩაარტყა გ. ს-მემ, ამ უკანასკნელის მიმართ ი. ი-ს, იმის გათვალისწინებით, რომ ამის შემდეგ მან თავი დაანება გ. შ-ს და დანით ხელში მიტრიალდა გ. ს-დისკენ, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრა, ამ უკანასკნელის მიმართ ხომ არ წარმოეშვა შურისძიების მოტივი, რომელმაც შეცვალა ხულიგნური მოტივი. დაცვის მხარე ამის თაობაზე აყენებდა საკითხს თავის სააპელაციო საჩივარში, მაგრამ მას განაჩენში ფაქტობრივად პასუხი არა აქვს გაცემული. საკასაციო პალატის აზრით, ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს ბრალდების მხარის იმ ვერსიასთან ერთად, რომლის თანახმად, ხსენებულ მომენტში გ. ს-მე იგერიებდა ი. ი-ს ქმედებას, მიმართულს გ. შ-ის მოსაკლავად.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. ი-სა და ლ. ბ-მის ბრალდების საქმის განხილვისას და მათ მიმართ განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაუშვა არსებითი საპროცესო დარღვევები, რაც გამოიხატა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილითა და 496-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობაში, რამაც საბოლოოდ განაპირობა არასწორი სამართლებრივი დასკვნების გამოტანა მსჯავრდებულთა ბრალეულობის თაობაზე. მითითებული დარღვევების გამო, საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განაჩენი ი. ი-სა და ლ. ბ-მის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საქმის ხელახლა განხილვა უნდა წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, სასამართლო გამოიძევა უნდა ჩატარდეს სრული მოცულობით – საამისოდ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების გზით, რა დროსაც უნდა გაირკვეს და უტყუარად დადგინდეს: 1. კონფლიქტის დაწყებისას პირველმა ვინ გამოიყენა ფიზიკური ძალადობა მეორე მხარის მიმართ; 2. კონფლიქტის მიმდინარეობისას ლ. ბ-მე კონკრეტულად ვის მოსაკლავად აქეზებდა ი. ი-ს, თუკი ასეთი რამ ნამდვილად მოხდა; 3. ჰქონდა თუ არა ი. ი-ს გ. შ-ს მკვლელობის განზრახვა, ხოლო თუკი მას ასეთი განზრახვა ნამდვილად ჰქონდა, რა როლი შეასრულა მკვლელობის ჩადენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში ლ. ბ-მის წაქეზებამ, თუკი დადგინდება ასეთი წაქეზების ფაქტი და რამ შეუშალა ი. ი-ს ხელი განზრახულის აღსრულებაში; 4. რა რეალური ფაქტობრივი საფუძველი გააჩნია ბრალდების მხარის ვერსიას იმის თაობაზე, რომ ი. ი-ს კონფლიქტის დაწყებიდანვე გააჩნდა ორი ადამიანის მკვლელობის განზრახვა; 5. თუკი დადგინდა ლ. ბ-მის მიერ ი. ი-ს წაქეზების ფაქტი, მაშინ, სამართლებრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რას წარმოადგენს ლ. ბ-მის მიერ ჩადენილი ქმედება დაზარალებულ გ. შ-ს ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდთან მიმართებით – მკვლელობის მცდელობას თუ მკვლელობის მომზადებას; 6. დაზარალებულ გ. შ-ს ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდში ი. ი-მა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რომელი ქმედება ჩაიდინა – განზრახ მკვლელობის მცდელობა თუ ხულიგნობა, იარაღად დანის გამოყენებით; 7. გ. ს-მის განზრახ მკვლელობისას ი. ი-ი მოქმედებდა ხულიგნური ქვენაგრძობით, თუ შურისძიების მოტივით; 8. კონკრეტულად რაში გამოიხატა ლ. ბ-მის ის ქმედება, რომელიც მან განახორციელა იმ მომენტში, როდესაც ი. ი-მა დანა დაარტყა გ. ს-მეს და რომლითაც ობიექტური მხრივ მიზეზობრივად ხელი შეუწყო ი. ი-ს განზრახი მკვლელობის შემადგენლობის განხორციელებაში და იგი მიზეზობრივად დაუკავშირდა დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს; 9. აღნიშნულ მომენტში ლ. ბ-მის მხრივ მსგავსი ქმედების დაუდგენლობის შემთხვევაში როგორ უნდა შეფასდეს მის მიერ გ. ს-მის მიმართ ამ უკანასკნელის მკვლელობამდე ჩადენილი ქმედება.

სრულფასოვნად ჩატარებული სასამართლო განხილვის გზით მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე მითითებული სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია მსჯავრდებულების – ი. ი-სა და ლ. ბ-მის მიმართ საბოლოო და სამართლებრივად სწორი დასკვნების გამოტანა, რის გამოც მოცემულ ეტაპზე დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დაზარალებული მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ს-ძის დამცველის, ადვოკატ ო. ე-სა და დაზარალებულ გ. შ-ს დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ ი. ი-ს დამცველი ადვოკატების – დ. ხ-სა და ნ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის დამცველის, ადვოკატ გ. ძ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განაჩენი ი. ი-სა და ლ. ბ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო

განჩინება

#1520-აპ-08

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მენიშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის განაჩენით ზ. გ-ძე, – გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ამავე კოდექსის მე-19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარება ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ; ასევე – მკვლელობის მცდელობა სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; ასევე – ძარცვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 26 თებერვალს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის ზ. გ-ძეს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ამის მიუხედავად, იმავე წლის 26 ივლისს ზ. გ-ძემ დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.

2007 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 4 საათზე ზ. გ-ძემ დაუდგენელ პირთან ერთად, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, შეაღწია გ. მ-ვას საცხოვრებელ სახლში, სადაც დაეუფლა 300 აშშ დოლარად ღირებულ ტყავის ხელჩანთას, მასში არსებულ ფულს – 400 აშშ დოლარსა და გ. მ-ვას კუთვნილ საქართველოს მოქალაქის პასპორტს. დანაშაულის ჩადენის მომენტში გაედვიდა გ. მ-ვას, რომელმაც შენიშნა ზ. გ-ძე თავისი ხელჩანთით და გაემართა მისკენ გატაცებული ნივთების გამოსართმევად. ზ. გ-ძემ დაზარალებულის ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვის სისრულეში მოსაყვანად და ამ დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად, მოკვლის მიზნით, ხელთ არსებული დანით გ. მ-ვას დაზიანებები მიაყენა მარჯვენა ხელის მაჯაზე, მკერდისა და მუცლის არეში. ჭრილობების გამო გ. მ-ვამ მას ხელი გაუშვა, ზ. გ-ძე მივიდა გასასვლელ კართან, გახსნა იგი და დააპირა გარეთ გასვლა, რა დროსაც დაზარალებულმა აანთო შუქი, წამოეწია და შეეცადა მის შეპყრობას. ზ. გ-ძემ დაზარალებულს

დანით კვლავ მიაყენა დაზიანება მუცლის არეში, მაგრამ დანაშაული ბოლომდე ვერ მიიყვანა, რადგან გ. მ-ვას ჩაუტარდა დროული სამედიცინო დახმარება და სიკვდილს გადაარჩა.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. გ-ძეს განესაზღვრა 17 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 26 ივლისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა დ. ჩ-შვილმა. მან ითხოვა ზ. გ-ძის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ სსკ-ის 273-ე მუხლით, ბრალდების სხვა ნაწილში კი – გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ზ. გ-ძის ქმედება სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა მე-19, 108-ე მუხლზე, ხოლო 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან – 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე; საბოლოოდ ზ. გ-ძეს მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

კასატორები – მსჯავრდებული ზ. გ-ძე და მისი ადვოკატი დ. ჩ-შვილი საჩივარში აღნიშნავენ, რომ ზ. გ-ძემ თავი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში; იგი გ. მ-ვას ბინაში არ ყოფილა; საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებითაც ვერ დასტურდება მის მიერ ძარცვისა და განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენა; დაზარალებულის ჩვენება სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა, რადგან მის ჩვენებაში აღწერილი პირი გარეგნული ნიშნებით აშკარად განსხვავდება ზ. გ-ძისაგან; დაზარალებული თავისი ჩვენებების ლავირებით ცდილობს, თავდაპირველად აღწერილი გარეგნული დეტალები შეცვალოს და მოარგოს მის წინაშე წარდგენილ პირს; გ. მ-ვას ჩვენებებს შორის ასეთი სხვაობა საკმაოდ მნიშვნელოვანია და მისი რეაგირების გარეშე დატოვება უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემის ტოლფასია; დაზარალებულის სასამართლოზე მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, რომ იგი წინასწარ გამოძიებას თავიდანვე სთხოვდა, ამოცნობის გარდა, სხვა მტკიცებულებაც მოეპოვებინა; ამ თხოვნით მან სასამართლოსაც მიმართა, რათა თვითონაც დარწმუნებულიყო ზ. გ-ძის მიერ დანაშაულის ჩადენაში, რაც არ მოხდა. ფაქტობრივად, ბრალდებამ მოიპოვა მხოლოდ ერთი მტკიცებულება – დაზარალებულის მიერ ზ. გ-ძის ამოცნობა, რომლის სიზუსტესა და რეალობაში თავად მტკიცებულების მომწოდებელსაც ეჭვი ეპარება.

კასატორთა აზრით, არასწორია ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით, რადგან ბოროტმოქმედი ცდილობდა დაზარალებულისგან თავის დაღწევას და სწორედ ამის გამო გამოიყენა დანა, ამიტომ ქმედება უნდა განისაზღვროს სხეულის მძიმე დაზიანებით.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მსჯავრდებული ზ. გ-ძე და ადვოკატი დ. ჩ-შვილი ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და ზ. გ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულ გ. მ-ვას ჩვენებას, მისი მონაწილეობით ჩატარებული ამოცნობის ოქმებს და ამ მტკიცებულებებით ირკვევა შემდეგი:

საქმის წინასწარი გამოძიებისას გ. მ-ვამ ფოტოსურათებით და პირადად ამოიცნო ზ. გ-ძე. მან განაცხადა, რომ არ ცდებოდა და სწორედ ზ. გ-ძემ მიაყენა დანით ჭრილობა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულმა განმარტა, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას „ზუსტად ამოიცნო“ ბოროტმოქმედი. შემდეგ გ. მ-ვა აცხადებს, რომ შესაძლოა ცდებოდეს, „პროცენტულად 80/20-ზე ან 70/30-ზე შევადარებ და ვიტყვი, რომ ამოვიცანი“ – მიუთითა მან. წინასწარი გამოძიებისას ამოცნობის დროს გ. მ-ვამ ბოროტმოქმედი ამოიცნო „გაყოფილი ნიკაპითაც“, ხოლო სასამართლოში აღნიშნა, რომ ზ. გ-ძეს „გაყოფილი ნიკაპი“ აღარ აქვს. ამავ ჩვენებაში დაზარალებული მიუთითებს, რომ არ არის გამორიცხული, საქმის წინასწარი გამოძიებისას შემლოდა ამოსაცნობი პირი, ხოლო ზ. გ-ძე ჰგავს თავდამსხმელს.

სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. სასამართლო სხდომაზე კი დაზარალებულმა ერთი და იმავე ჩვენებით დაადასტურა და უარყო კიდევ ზ. გ-ძის „ზუსტად ამოცნობა“, მიუთითა რა, რომ შესაძლოა შემ-

ცდარიყო ამოსაცნობ პირში. შესაბამისად, არასწორია სააპელაციო პალატის მითითება, რომ დაზარალებულის ჩვენებით, მან საქმის წინასწარი გამოძიების დროს ზუსტად ამოიცნო თავდამსხმელი.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი ფაქტობრივად ეყრდნობა მხოლოდ საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებულ ამოცნობის ოქმებს, რომელთა უტყუარობა სასამართლოში ექვევქვე დააყენა თავად ამომცნობმა და აღნიშნულზე კასატორთა მითითება საფუძვლიანია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, საკუთარი ინიციატივით დაეკითხა დანაშაულის თვითმხილველი პირი, რათა გარკვეულიყო და აღმოფხვრილიყო წინააღმდეგობები როგორც წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებულ მტკიცებულებებს, ასევე – დაზარალებულის სასამართლოში მიცემულ განმარტებებს შორის, რაც არ მომხდარა და რის გარეშეც შეუძლებელია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს საკასაციო პალატის მითითებები, დაკითხოს დანაშაულის თვითმხილველი დაზარალებული და აღმოფხვრას წინააღმდეგობები მტკიცებულებებს შორის, რის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამასთან, საქმის ხელახლა განხილვის შედეგად არ უნდა გაუარესდეს ზ. გ-მის მდგომარეობა.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. გ-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი ზ. გ-მის მიმართ, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. უარი საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე

განჩინება

#25¹

23 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-იას დამცველის, ადვოკატ ა. ტ-ვასკერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის განაჩენით ა. ს-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

2008 წლის 23 მაისს მსჯავრდებულ ა. ს-იას დამცველმა, ადვოკატმა ი. ტ-ვამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას დაცვის მხარის მიერ გაცდენილი საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე, განცხადებაზე აღნიშნულია, რომ მან საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა იმიტომ, რომ მას სასამართლოს განაჩენი ა. ს-იას მიმართ გადაეცა 2008 წლის 16 მაისს, დღის მეორე ნახევარში, რის გამოც ტექნიკურად შეუძლებელი იყო იმ დღესვე საკასაციო საჩივრის მომზადება და პატიმრის ხელმოწერის ციხის აღმინისტრაციის მიერ დამოწმება, ხოლო ვინაიდან მომდევნო დღეები იყო არასამუშაო, გაშვებულ იქნა საკასაციო გასაჩივრების ვადა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინებით ადვოკატ ა. ტ-ვას უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

ადვოკატმა ა. ტ-ვამ აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კერძო საკასაციო საჩივრით იგი ითხოვს დაცვის მხარის მიერ გაცდენილი საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. რაც შეეხება ადვოკატ ა. ტ-ვას მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ მან საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა იმის გამო, რომ განაჩენის ასლი მას ჩაჰბარდა 2008 6 მაისს, რის გამოც დაცვის მხარეს საკმარისი დრო ჰქონდა საკასაციო საჩივრის დროულად მომზადებისა და საპროცესო კანონით დადგენილ ვადაში შეტანისათვის. ამდენად, კასატორის მიერ მითითებული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული მის მიერ საკასაციო გასაჩივრება ვადის გაშვების საპატიო მიზეზად.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ თავის მხრივ მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ს-იას დამცველის, ადვოკატ ა. ტ-ვას კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინება, რომლითაც ადვოკატ ა. ტ-ვას უარი ეთქვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 18 აპრილის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უარი საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე

განჩინება

#40¹-08

11 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ბ-ს კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინებაზე, რომლითაც მსჯავრდებულ დ. ბ-ს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენით დ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

2008 წლის 8 აგვისტოს მსჯავრდებულ დ. ბ-ს დამცველმა, ადვოკატმა დ. კ-მ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულ დ. ბ-ს სურდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება, რაც დროულად ვერ შეძლო იმ მიზეზით, რომ მისი დამცველი, ი. ჯ-ი, რომელიც მის ინტერესებს იცავდა სააპელაციო სასამართლოში, არაკეთილსინდისიერად მოექცა. იგი მსჯავრდებულ დ. ბ-ს შეჰპირდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებას, რაც არ გააკეთა გაურკვეველი მიზეზის გამო. მსჯავრდებულმა კი მოგვიანებით შეიტყო, რომ დამცველს საჩივარი არ შეუტანია, რის გამოც დაირღვა საკასაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა. საჩივრით მსჯავრდებულ დ. ბ-ს დამცველი დ. კ-ი ითხოვდა გაშვებული ვადის აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულ დ. ბ-ს დამცველს – დ. კ-ს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა დ. ბ-მ აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კერძო საკასაციო საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და შეამოწმა მსჯავრდებულ დ. ბ-ს კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი მსჯავრდებულ დ. ბ-ს მიმართ დადგენილია 2008 წლის 17 ივნისის. განაჩენი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ მსჯავრდებულმა დ. ბ-მ საკასაციო საჩივრის შეტანა დააგვიანა იმ მოტივით, რომ იგი ელოდებოდა დამცველის მიერ საჩივრის შეტანას, რომელმაც ერთი თვის ვადაში არ შეიტანა საჩივარი და ამის გამო საპროცესო ვადის დარღვევით თავად მსჯავრდებულს მოუხდა სასამართლოსთვის საკასაციო საჩივრით მიმართვა, პალატა ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომლის გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ბ-ს კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ დ. ბ-ს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უარი საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე

განჩინება

#8-I-09

22 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – ი. და რ. გ-ძეების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენით ი. გ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა, 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

"ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ი. გ-ძე გათავისუფლდა 2007 წლის 7 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან. ხოლო იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის – 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 3 თვისა და 18 დღის ვადით, აგრეთვე ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით დაემატა ბოლო განაჩენით ი. გ-ძისათვის დანიშნულ სასჯელს და მას, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის, 9 თვისა და 18 დღის ვადით.

იმავე განაჩენით რ. გ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 4 თვისა და 15 დღის ვადით. მასვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 7 დღის ვადით, აგრეთვე, ჯარიმა – 2 000 ლარის ოდენობით და რ. გ-ძეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 4 თვისა და 22 დღის ვადით, აგრეთვე ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით.

2008 წლის 17 დეკემბერს ი. და რ. გ-ძეების დამცველმა, ადვოკატმა მ. ქ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულებს 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენი ჩაჰზარდათ 2008 წლის 3 ოქტომბერს, ხოლო, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ შესაბამისი განათლება, ისინი ვერ გაასაჩივრებდნენ მათთვის უცნობ გარემოებებს განაჩენში მითითებულ ვადაში, ამასთან, ი. და რ. გ-ძეები არიან უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებიდან, რის გამოც ვერ ახერხებდნენ ადვოკატის აყვანას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინებით მ. ქ-ძეს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულების – ი. და რ. გ-ძეების დამცველმა მ. ქ-ძემ აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი ი. და რ. გვიანიძეების მიმართ დადგენილია 2008 წლის 11 სექტემბერს. განაჩენი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება მსჯავრდებულების _ ი. და რ. გ-ძეების დამცველის, მ. ქ-ძის მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენი ჩაჰბარდათ 2008 წლის 3 ოქტომბერს და ამ დროში, უცოდინრობის გამო, ისინი ვერ გაასაჩივრებდნენ მათთვის უცნობ გარემოებებს, ამასთან, უკიდურესი გაჭირვების გამო ვერ ახერხებდნენ ადვოკატის აყვანას, სანამ მსჯავრდებულების დეიდის თხოვნით მან არ ითავა მათი უსასყიდლოდ დაცვა, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებას ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომლის გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების _ ი. და რ. გ-ძეების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულების _ ი. და რ. გ-ძეების დამცველს, ადვოკატ მ. ქ-ძეს უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უარი საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე
განჩინება**

#23¹-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულ ნ. გ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის სასამართლო სხდომის საოქმოდ დადგენილებაზე, რომლითაც დაზარალებულ ნ. გ-ძეს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინების საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა დაზარალებულ ნ. გ-ძის კერძო სააპელაციო საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა გამოძიებლის, პროკურორისა და მოსამართლის მიმართ კერძო დადგენილების გამოტანასა და მათი უკანონო მოქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მათთვის მის სასარგებლოდ 50 000 ლარის დაკისრებას.

2009 წლის 19 მაისსა და 27 მაისს დაზარალებულმა ნ. გ-მემ განცხადებებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მის მიერ გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებებში აღნიშნული იყო, რომ მას სურდა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრება, რაც დროულად ვერ შეძლო იმ მიზეზით, რომ არ ჩაჰბარდა განჩინების ასლი, ხოლო როცა სააპელაციო სასამართლოში მივიდა იმის გასარკვევად, თუ რატომ არ გამოუგზავნეს მას, როგორც მხარეს, განჩინების ასლი, აღმოჩნდა, რომ ამისათვის თურმე განცხადებით უნდა მიემართა სასამართლოსათვის, რის შესახებაც მან არაფერი იცოდა და ეგონა, რომ მას, როგორც მხარეს, განჩინების ასლს სასამართლო გადმოუგზავნიდა თავისი ინიციატივით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილებით დაზარალებულ ნ. გ-მეს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

დაზარალებულმა ნ. გ-მემ აღნიშნული სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კერძო საკასაციო საჩივრით, იმავე მოტივით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა თავის განცხადებაში, იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და შეამოწმა დაზარალებულ ნ. გ-ძის კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი მის მიერ გაცდენილი საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის (განჩინების) გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებაზე ნ. გ-მემ კერძო საკასაციო საჩივრით სასამართლოს მიმართა 2009 წლის 17 ივნისს.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ დაზარალებულმა ნ. გ-მემ საკასაციო საჩივრის შეტანა დაავიანა იმიტომ, რომ მას, როგორც მხარეს, დროულად არ ჩააბარეს განჩინების ასლი, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან დაზარალებული ნ. გ-მე ესწრებოდა სასამართლოში განჩინების გამოცხადებას, სადაც მას, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, განემარტა განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა, რაც გარკვევითაა აღნიშნული სასამართლოს სხდომის ოქმში.

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დაზარალებულ ნ. გ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილება, რომლითაც დაზარალებულ ნ. გ-მეს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინების საკასაციო გასაჩივრების მის მიერ გაშვებული ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უარი საკასაციო გასაჩივრების გაშვებული
ვადის აღდგენაზე**

განჩინება

#20¹-09

22 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ბ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით რ. ბ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 წლით, 11 თვითა და 9 დღით თავისუფლების აღკვეთა და რ. ბ-ძეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის, 11 თვისა და 9 დღის ვადით, აგრეთვე ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულმა რ. ბ-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას გაცდენილი საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მან საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა იმიტომ, რომ იყო ავად, აქვს კუჭის წყლული და იმ პერიოდში აწუხებდა ძლიერი შეტევები, არც ადვოკატი ჰყავდა, რის გამოც გაუშვა საკასაციო გასაჩივრების ვადა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ რ. ბ-ძეს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა რ. ბ-ძემ აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კერძო საკასაციო საჩივრით იგი ითხოვს გაცდენილი საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. რაც შეეხება მსჯავრდებულ რ. ბ-ძის მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ მან საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა იმის გამო, რომ ჰქონდა კუჭის წყლულის ძლიერი შეტევები და არ ჰყავდა ადვოკატი, პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან 2008 წლის 6 ივნისიდან 2009 წლის თებერვლამდე რ. ბ-ძე არ არის სასჯელაღსრულების დაწესებულების ავადმყოფთა სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებული და არც რაიმე ჩივილებით მიუმართავს სამედიცინო ნაწილისათვის. რაც შეეხება ადვოკატის არყოლას, ვინაიდან საკასაციო საჩივარი შეტანილია უშუალოდ რ. ბ-ძის მიერ, ამდენად, კასატორის მიერ მითითებული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული მის მიერ საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების საპატიო მიზეზად.

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, ადადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გა-

საჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. ბ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ რ. ბ-ძეს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**6. განაჩენის გაუქმება სისხლის
სამართლის საპროცესო კანონის არსებითი
დარღვევების გამო**

განჩინება

#791-აპ

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

უფლებამონაცვლე ნ. ს-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ს-ძის, ასევე მსჯავრდებულ ვ. ხ-ძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების _ ხ. თ-ძისა და მ. ა-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განაჩენით ვ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 6 მაისს, დაახლოებით 21 საათზე, ქუთაისში, ვ. ხ-ძესა და ი. ფ-იას შორის ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე, რომელიც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა, ვ. ხ-ძემ შურისძიების მოტივით, მოკვლის განზრახვით, თანაქონი დანა ორჯერ დაარტყა ი. ფ-იას მკერდისა და ზურგის არეში. დაზარალებულმა ზურგის არეში მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ხოლო გულმკერდის არეში _ სიცოცხლისათვის სახიფათო მიმე ხარისხის დაზიანება ნაკვეთი ჭრილობის სახით, რის შედეგადაც განვითარებული მწვავე სისხლნაკლებობით იგი გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. ხ-ძეს მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 26 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ვ. ხ-ძემ და მისმა ადვოკატებმა _ ხ. თ-ძემ და მ. ა-ძემ, ასევე _ დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატმა ნ. ს-ძემ.

მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატებმა ითხოვეს სასჯელის შემსუბუქება 7 წლით თავისუფლების აღკვეთამდე, ხოლო დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესების დამცველმა _ ვ. ხ-ძის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მკაცრი სასჯელის შეფარდება.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას დაზარალებულის უფლებამონაცვლემ და მისმა ადვოკატმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს ვ. ხ-ძისათვის მაქსიმალური სასჯელის დანიშვნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატების საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და მისი ინტერესების დამცველის სააპელაციო საჩივრის დაზუსტებული მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ვ. ხ-ძეს სსკ-ის 108-ე მუხლით განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატი ნ. ს-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ვ. ხ-ძე უნდა დასჯილიყო არა სსკ-ის 108-ე მუხლით, არამედ – 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რადგან მან თანამზრახველებთან ერთად ი. ფ-ია მოკლა ჯგუფურად, ხულიგნური ქვენაგრძობითა და განსაკუთრებული სისასტიკით, რაც დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: საგამომიებო მოქმედებებით, ბინაზე შემოწმების ოქმებით, ზემდგომი პროკურორის მითითებებით, მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტთა დასკვნებით, სასამართლო გამოძიების დროს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, დამნაშავეთა მიმალვისა და საცხოვრებელი სახლების მიტოვების ფაქტებითა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ნ. ს-ძე ითხოვს ორივე ინსტანციის სასამართლოების განაჩენების გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ხელახლა განსახილველად, ასევე ითხოვს, არ განადგურდეს ნივთმტკიცებები და გარდაცვლილის ტანსაცმელი დაუბრუნდეს ნ. ს-ძეს.

მსჯავრდებული ვ. ხ-ძე და მისი ადვოკატები – ხ. თ-ძე და მ. ა-ძე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო პალატამ არ განიხილა მსჯავრდებულის შუამდგომლობები სხდომაზე დასწრების შესახებ. ვ. ხ-ძე აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; ჰყავს ასაკოვანი მშობლები, ავადმყოფი მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები, რის გამოც ითხოვენ მსჯავრდებულსათვის დანიშნული სასჯელის მინიმუმამდე შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მოტივები და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ვ. ხ-ძე ჯერ კიდევ სასამართლო სხდომის დაწყებამდე, 2008 წლის 21 თებერვლის წერილობითი შუამდგომლობით ითხოვდა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობას. სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 3 აპრილს ვ. ხ-ძეს განუმარტა, რომ პროცესში მონაწილეობა შესაძლებელი იყო მსჯავრდებულის წერილობითი შუამდგომლობით და სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სხდომის დაწყების დღეს, 2008 წლის 8 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა ვ. ხ-ძის განცხადება, რომლითაც იგი კვლავ ითხოვდა პროცესში მონაწილეობის მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომა დასრულდა 15 აპრილს, სასამართლოს არც კი უმსჯელია მსჯავრდებულის შუამდგომლობის შესახებ და გადაწყვეტილება გამოიტანა მის დაუსწრებლად, რის გამოც ადგილი აქვს სსკ-ის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ არსებით დარღვევას, რამაც შეზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები. ამასთან, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულის არაერთი წერილობითი შუამდგომლობის განუხილველობის პირობებში, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შებრუნდა ვ. ხ-ძის საუარესოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ სსკ-ის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზარალებულის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი უბრუნდება მესაკუთრეს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნივთს, თუ ის ბრუნვიდან ამოღებული არ არის, ღირებულება არ აქვს, დაინტერესებული პირის შუამდგომლობით მას გადაეცემა.

იმის გამო, რომ საქმე უნდა გაიგზავნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, საკასაციო პალატა არ მსჯელობს წარმოდგენილი საჩივრების მოტივებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განაჩენი ვ. ხ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო
განჩინება**

#1212-აპ-08

13 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. მ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ხ-კის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენით:

ზ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „გ“ და IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის I ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის III ნაწილით და ამავე მუხლის IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ზ. ქ-შვილის საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 23 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 18 დეკემბრიდან.

ვ. მ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „გ“ და IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის I ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის II ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ვ. მ-იას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 22 წლითა და 6 თვით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ახლად დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 თვე, 14 დღე და ვ. მ-იას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 22 წელი, 9 თვე და 14 დღე. მას სასჯელის მოხდა დაეწყო განაჩენის გამოტანიდან – 2007 წლის 13 ივლისიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

„BEEdთA-ს“ ფირმის პისტოლეტის საშტატო ნიმუში, 1906 წლის ნიმუშის 6,35 მმ კალიბრის ვაზნები, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი საბჭოთა წარმოების, 1951 წლის ნიმუშის, 9 მმ კალიბრის და რვა ცალი „მაკაროვის“ სისტემის ვაზნა, რომელიც ინახება ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის მთავარი სამმართველოს #... განყოფილებაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს – ს. პ-შვილს.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

1) ქალის ოქროს რგოლის ბეჭედი, 2 ცალად ქვედა მხარეს შეერთებული ზემოდან შუაში ჩასმული ვეფხვის გამოსახულებით; 2) ქალის ოქროს ბეჭედი ზემოდან კამეას ქვის თეთრი ფერის ქალის გამოსახულებით; 3) ქალის ოქროს ბეჭედი მოჭედილი თეთრი ოქროთი ზემოდან ყვავილის

ფორმის, რომელსაც შუაში აქვს მწვანე ფერის ფირუზის თვალი და 6 ცირკონის თვალი; 4) ქალის ოქროს ბეჭედი ზემოდან ელიფსის ფორმის მოჭედილი თეთრი ოქროთი, შუაში დიდი ზომის ბრილიანტის თვლით და მის ირგვლივ 8 ცალი ბრილიანტის თვლის ნამცეცებით; 5) ქალის ერთი ოქროს ბეჭედი ზედა მხრიდან მრგვალი ფორმის მარგალიტის თვლით, რომელიც ზის ოქროს ყვავილის ფორმის ბუდეში, გვერდიდან მოჭედილი ორივე მხარეს თეთრი ოქროთი, ორი ცალი მცირე ზომის ცირკონის თვლით; 6) ქალის ერთი ოქროს ბეჭედი ზემოდან მოჭედილი ვერცხლით, რომელშიც არის ჩასმული 3 ცალი ცირკონის დიდი ზომის თვალი; 7) ბავშვის 1 ცალი მცირე ზომის ოქროს რგოლი-ბეჭედი; 8) მამაკაცის ოქროს ნაქსოვი ძეწკვი ე.წ. „ლენტავოი“ ზომით 1 მეტრი, რომელზეც აცმულია ოქროს ჯვარი ზედ იესო ქრისტეს გამოსახულებით; 9) ოქროს ძეწკვი ჯაჭვისებური ნაქსოვი სიგრძით 72 სმ, რომელზეც აცმულია ოქროს ჯვარი ზედ იესო ქრისტეს გამოსახულებით; 10) ოქროს ერთი ძეწკვი ნაქსოვი, სიგრძით 58 სმ, რომელზეც აცმულია მრგვალი ფორმის ოქროს ჯვარი; 11) ქალის ერთი გრებილი 60 სმ ძეწკვი; 12) ქალის ერთი ოქროს „ვერსაჩეს“ კულონი, შუაში შავ ფონზე ადამიანის სახის ოქროს გამოსახულებით; 13) ერთი წყვილი ოქროსფერ მავთულზე სხვადასხვა ზომის სამ-სამი მარგალიტის თვლები; 14) ქალის ოქროს ბეჭედი, რომელსაც ზემოდან აქვს ყავისფერი სვაროვსკის თვლები; 15) ქალის ოქროსფერი ბეჭედი ზედა მხარეს მწვანე ფონით, რომელზეც ოქროსფრად გამოსახულია სამი სპილო და ორი პატარა პალმა; 16) ქალის ერთი ვერცხლისფერი რგოლი-ბეჭედი ზემოდან ჩასმული ოქროსფერი „ვერსაჩეს“ გამოსახულებით; 17) ქალის ერთი ბეჭედი „სვაროვსკის“ 29 თვლით; 18) ერთი წყვილი საყურე; 19) ქალის ერთი წყვილი ოქროსფერი საყურე მარგალიტის თვლით; 20) ქალის ერთი წყვილი მარგალიტის სამაჯური; 21) ორი მარგალიტის საყურე; 22) ერთი მცირე ზომის საყურე; 23) ერთი ე.წ. „გულაბკა“, რომელზეც არის წამოცმული ოქროს გულის ფორმის კულონი და ოქროს მრგვალი ფორმის კულონი შუაში ცისფერი თვლის გამოსახულებით; 24) ქალის ერთი წყვილი ოქროსფერი საყურე ზედვე მწვანე ფერის შემოკრული რგოლით; 25) ერთი ვერცხლის ბეჭედი ზედ დაკიდული ორი ყავისფერი თვლით; 26) ერთი ვერცხლისფერი საყურე ზედ დაკიდული ჯვრისა და გულის ფორმის მქონე ორი ოთხკუთხედის ფორმის საკიდით; 27) ქალის ერთი ბეჭედი ზედა მხარეს ფართო ნაწილზე სამკუთხა ჭრილებში ჩასმული 12 თვლით; 28) ორი ცალი 100 აშშ დოლარიანის გამოსახულების მქონე ოქროს ფირფიტა, ჩასმული გამჭვირვალე ჩარჩოში, ერთ-ერთი მათგანი სადგამით, მუყაოს ყუთი თავისი თავსახურით, რომელიც შიგნითა მხარეს გაწყობილია ღრუბლითა და ნაჭრით, ხოლო გარედან სხვადასხვა ფერისა და ფორმის ყვავილების გამოსახულების მქონე ნაჭრის ქსოვილით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს მის კანონიერ მფლობელებს, დაზარალებულებს – ს. პ-შვილსა და ნ. ა-შვილს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების – ვ. მ-იასა და ზ. ქ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ვ. მ-იამ და ზ. ქ-შვილმა ხ. ა-შვილთან ერთად განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდნენ ხ. ა-შვილის თბილისში მცხოვრები დის ნ. ა-შვილის, კუთვნილ ნივთებს, რომლებსაც იგი ინახავდა საოჯახო დანიშნულების სეიფში. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ზ. ქ-შვილმა, ვ. მ-იამ და ხ. ა-შვილმა 2006 წლის 29 სექტემბერს ისარგებლეს ნ. ა-შვილის ბინაში არყოფნით, რა დროსაც ზ. ქ-შვილმა და ვ. მ-იამ ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ, ხ. ა-შვილის მიერ გადაცემული ნ. ა-შვილის საცხოვრებელი ბინის გასაღების მეშვეობით შეაღწიეს მის საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ფარულად გაიტაცეს ნ. ა-შვილის ბინის საძინებელ ოთახში არსებული სეიფი, ღირებული 1500 ლარად და მასში მოთავსებული შემდეგი დასახელების ნივთები: 1. ერთი ოქროს სამაჯური, წონით 20 გრამი, ღირებული 600 ლარად; 2. ერთი ოქროს სამაჯური, წონით 18 გრამი, ღირებული 540 ლარად; 3. ერთი ოქროს სამაჯური წონით 20 გრამი, ღირებული 600 ლარად; 4. დაგრეხილი ნაქსოვი ოქროს ყელსაბამი, წონით 30 გრამი, ღირებული 900 ლარად; 5. მარკიზის ტიპის ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი, ღირებული 750 ლარად; 6. ოქროს სამეული-წყვილი საყურე და ბეჭედი ცირკონის თვლებით, საერთო ღირებულებით 250 ლარი; 7. ე.წ. „ზაღჩის“ სამი ბეჭედი, საერთო ღირებულებით 600 ლარი; 8. ერთი ცალი ე.წ. „კამეასთვლიანი“ ბეჭედი, ქალის სახის გამოსახულებით, ღირებული 150 ლარად; 9. ერთი ოქროს ბეჭედი ვეფხვის გამოსახულებით, ღირებული 150 ლარად; 10. ერთი ოქროს ბეჭედი ბრილიანტის მცირე ზომის სამი თვლით, ღირებული 200 ლარად; 11. ერთი ოქროს ბეჭედი მცირე ზომის ცირკონის თვლებით, ღირებული 100 ლარად; 12. ექვსი ათმანეთიანი ოქროს მონეტა იმპერატორ ნიკოლოზის გამოსახულებით, საერთო ღირებულებით 1200 ლარი; 13. ხუთმანეთიანი სამი ოქროს მონეტა ნიკოლოზის გამოსახულებით, საერთო ღირებულებით 250 ლარი; 14. ათმანეთიანის გამოსახულების მქონე ოქროს ბეჭედი, ღირებული 300 ლარად. 15. ე.წ. სვაროვსკის ერთი ბეჭედი სამი თვლით, ღირებული 400 ლარად; 16. სამი ნათლობის ჯვარი, საერთო ღირებულებით 600 ლარი; 17. ორი ოქროს ნაკეთობა 100 აშშ დოლარიანის გამოსახულებით, ღირებული 2000 ლარად; 18. ერთი ბეჭედი ფირუზის თვლით, გარშემო

თვალზე ცირკონის თვლებით, ღირებული 150 ლარად; 19. ორი თეთრი ფერის მარგალიტის მძივი, საერთო ღირებულებით 800 ლარი; 20. მარგალიტის სამაჯური, საერთო ღირებულებით 300 ლარი; 21. ერთი წყვილი მარგალიტის საყურე, ღირებული 450 ლარად; 22. ერთთვლიანი მარგალიტის ბეჭედი, ღირებული 350 ლარად; 23. ერთი წყვილი ე.წ. სვაროვსკის საყურე, ღირებული 500 ლარად; 24. ე.წ. სვაროვსკის მცირე ზომის ერთი წყვილი საყურე, ღირებული 400 ლარად; 25. ე.წ. სვაროვსკის ერთი ცალი ბეჭედი, ღირებული 500 ლარად; ასევე ნ. ა-შვილის მეუღლის – ს. პ-შვილის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღები: 1. MAKALOV, ღირებული 800 ლარად; 2. ჩზ-58, ღირებული 5500 ლარად; 3. ჭALთHEდ P-22, ღირებული 2000 ლარად; B4. BEდEთთA-950, ღირებული 2000 ლარად; 5. ოქროს ჯვარი იესო ქრისტეს გამოსახულებით თავისი ოქროს ყელსაბამით, ღირებული 1000 ლარად; ასევე ნ. ა-შვილის მამის – ვ. ა-შვილის კუთვნილი ფულადი თანხა – 75000 ლარი, რომელშიც შედიოდა 3600 აშშ დოლარი და 1300 ლარი.

აღნიშნულით დაზარალებულ ნ. ა-შვილს მიაყენეს 11720 ლარის დიდი ოდენობის ზიანი, ს. პ-შვილს – 12000 ლარის დიდი ოდენობის ზიანი, ვ. ა-შვილს – 75500 ლარის დიდი ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 20 დეკემბერს ა-ის რაიონში მცხოვრებ ჯ. გ-შვილისაგან ამოღებულ იქნა ს. პ-შვილის კუთვნილი "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი 23 ვაზნით, რომელიც ზ. ქ-შვილმა ქ. თბილისიდან მართლსაწინააღმდეგოდ გადაზიდა გ-ის რაიონში ვ. მ-შვილთან შენახვის მიზნით, რომელმაც შემდეგ აღნიშნული იარაღი შეინახა და გადაზიდა ა-ის რაიონში ჯ. გ-შვილთან.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენი ზ. ქ-შვილისა და ვ. მ-ის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 აგვისტოს განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ვ. მ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ხ-კი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 აგვისტოს განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და არასამართლებრივი, ვინაიდან არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. საკასაციო საჩივრის ავტორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ 2008 წლის 5 აგვისტოს მსჯავრდებულ ვ. მ-ის დედამ სასამართლო პროცესის გაგრძელებამდე 1 საათით ადრე გააფორმა დაცვის ორდერი და ვინაიდან არ იცნობდა საქმის მასალებს და ბრალდების ფორმულირებას, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, საქმის მასალების გაცნობის მიზნით, იშუამდგომლა საქმის გონივრული ვადით გადადების თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ აღნიშნული მიზნად ისახავდა სასამართლო პროცესის გაჭიანურებას, რითაც დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, სარევიზიო წესით შეამოწმა საქმის მასალები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების – ვ. მ-ისა და ზ. ქ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას და მათ მიმართ განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა ბრალდებულის ან მისი დამცველის საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით უზრუნველყოფის თაობაზე.

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებულს უფლება აქვს, ყველა კანონიერი საშუალებითა და მეთოდით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, ჰქონდეს საკმაო დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დაცვისათვის, როგორც დამოუკიდებლად, ასევე დამცველის მონაწილეობით. საქართველოს სსსკ-ის 78-ე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოიწვიოს დამცველი შეთანხმებით. მსჯავრდებულის მოთხოვნა ახალი დამცველის მოწვევის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ახალი დამცველის მოწვევა მიზნად არ ისახავს პროცესის გაჭიანურებას ან პროცესის სხვა მონაწილისათვის ხელის შეშლას მის უფლებამოსილებათა განხორციელებაში. საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ სასამარ-

თლო ჩათვლის, რომ ახალი დამცველის მოწვევა მიზნად ისახავს სამართალწარმოების გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას, გამოაქვს უარის თქმის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება.

მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 5 აგვისტოს საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას გამოცხადდა ადვოკატი დ. ხ-კი, რომელმაც წარმოადგინა დაცვის ორდერი, გაცემული 2008 წლის 5 აგვისტოს კს საადვოკატო ბიუროს "." მიერ. სასამართლო სხდომის დაწყებისთანავე, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქმეში მსჯავრდებულ ვ. მ-იას ინტერესების დასაცავად გამოცხადდა ადვოკატი დ. ხ-კი და მხარეებს განუმარტა მისი აცილების უფლება. მხარეებს ადვოკატ დ. ხ-კის მიმართ აცილება არ ჰქონიათ. სხდომის თავმჯდომარემ ადვოკატ დ. ხ-კს გააცნო სასამართლო შემადგენლობა, პროცესში მონაწილე მხარეების ვინაობა და განუმარტა მათი აცილების უფლების შესახებ. ადვოკატ დ. ხ-კს სასამართლო შემადგენლობისა და პროცესის მონაწილე მხარეების მიმართ აცილება არ განუცხადებია. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ადვოკატმა დ. ხ-კმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმის გადადების თაობაზე იმ მოტივით, რომ იგი საქმის მასალებს არ იცნობდა. აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან მიიჩნია, რომ იგი მიზნად ისახავდა პროცესის გაჭიანურებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს ადვოკატის პროცესში ჩართვის შემდეგ მისთვის უნდა მიეცა გონივრული ვადა საქმის მასალების გასაცნობად, რათა საქართველოს სსკ-ის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამცველს მისცემოდა საშუალება, გამოეყენებინა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც გაამართლებდნენ მსჯავრდებულს, ანდა შეამსუბუქებდნენ მის პასუხისმგებლობას, ან გაეწია მისთვის საჭირო იურიდიული დახმარება. თუ სასამართლოს მიაჩნდა, რომ ახალი დამცველის მოწვევა მიზნად ისახავდა სასამართლო პროცესის გაჭიანურებას, საქართველოს სსკ-ის 83-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადვოკატი არ უნდა ჩაერთო პროცესში მონაწილეობის მისაღებად და გამოეტანა განჩინება სასამართლო სხდომაზე ახალი დამცველის მოწვევაზე უარის თქმის შესახებ.

ამრიგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულების _ ვ. მ-იასა და ზ. ქ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაუშვა არსებითი საპროცესო დარღვევა, რაც მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულების _ ვ. მ-იასა და ზ. ქ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვა უნდა მოხდეს საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 567-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულების _ ვ. მ-იასა და ზ. ქ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო

განჩინება

#1198-აპ-08

9 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულების – დ. ნ-იასა და გ. პ-ნის დამცველი ადვოკატების – ქ. გ-შვილისა და მ. გ-ვას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენით. დ. ნ-ია, და გ. პ-ნი, მსჯავრდებულ იქნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მათ სასჯელის ზომად შეეფარდათ: დ. ნ-იას – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, აგრეთვე, – ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, როგორც დამატებითი სასჯელი; გ. პ-იანს – თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 59-ე და 67-ე მუხლების შესაბამისად, მის მიმართ გაუქმდა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და მოუხდელი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის, 9 თვისა და 10 დღის ვადით, რაც დაემატა ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნულ სასჯელს, რის გამოც საბოლოოდ გ. პ-იანს ძირითად სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის, 6 თვისა და 10 დღის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, დ. ნ-იასა და გ. პ-იანს მსჯავრი დაედოთ ქურდობისათვის, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. პ-იანი 2007 წლის 8 იანვრის განაჩენით მსჯავრდებული იყო საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც მას მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, მან კვლავ ჩაიდინა დანაშაული.

2007 წლის 15 აპრილს გ. პ-იანი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნათესავს – დ. ნ-იას. მათ ერთად განიზრახეს, უკანონოდ შეედღიათ ისნის ბაზრობის ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე სავალუტო ჯიხურში და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს, ღამის საათებში, დ. ნ-ია და გ. პ-იანი მივიდნენ დ. ხ-რის სავალუტო ჯიხურთან, გამოანგრეს უკანა კედელი და შეაღწიეს ჯიხურში, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ დ. ხ-რის კუთვნილ ნივთებს, კერძოდ: "დივიდის" ფირმის მაგნიტოფონს, ღირებულს 130 ლარად; ნოუთბუქის ტიპის "სიმენსი-ფუჯიტსუს" ფირმის კომპიუტერს, ღირებულს 1800 ლარად; ე.წ. "ბიჟუტერიის" სამკაულებს, ღირებულს 80 ლარად; ათ ცალ ხუთლარიან მონობარათსა და თანხას 1930 ლარის ოდენობით, რითაც დაზარალებულ დ. ხ-რს სულ მიაყენეს 3940 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ დ. ნ-იას დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-შვილმა და მსჯავრდებულ გ. პ-იანის დამცველმა, ადვოკატმა მ. გ-ვამ. აპელანტი, ადვოკატი თ. გ-შვილი თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ დ. ნ-იას გამართლებას განაჩენით მისთვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში და მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, შემდეგი მოტივების საფუძველზე: განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო, სასამართლო გამოძიება ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად, ხოლო განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; განაჩენი თავის დასკვნებს ამყარებს წინააღმდეგობრივ მტკიცებულებებს, არ გამოკვლეულა გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმისათვის; სასამართლომ დ. ნ-იას მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით საფუძველად დაუდო ვარაუდი, რაც არ არის დადასტურებული უტყუარი მტკიცებულებებით; რაც შეეხება მოწმეების – ე. დ-შვილისა

და გ. თ-შვილის ჩვენებებს, ისინი არ არიან დანაშაულის თვითმხილველნი, ამასთან, ისინი იყვნენ დაინტერესებული პირები, რომლებიც ცრუ ჩვენებებით ცდილობდნენ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას.

აპელანტი, ადვოკატი მ. გ-ვა თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ გ. პ-იანის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივების საფუძველზე: ბრალდება აგებულია არასარწმუნო მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დარღვევით; განაჩენის დადგენისას სასამართლო დაეყრდნო დაინტერესებული მოწმეების – ე. დ-შვილისა და გ. თ-შვილის არასწორ ჩვენებებს; საქმის სასამართლო განხილვისას დაცვის მხარეს უკანონოდ შეეზღუდა მისი უფლება – სრულად გასცნობოდა საქმეში არსებულ ყველა მასალას, მას შეეზღუდა აგრეთვე სხვა უფლებებიც, ამასთან, დაცვის მხარეს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, რამაც ხელი შეუშალა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას; სასამართლო გამოძიება ჩატარდა ტენდენციურად და არაობიექტურად, რის გამოც გამამტყუნებელი განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რომლითაც მსჯავრდებულ იქნა გ. პ-იანი, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია.

სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 18 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულების – დ. ნ-იასა და გ. პ-იანის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების – დ. ნ-იასა და გ. პ-იანის დამცველებმა, ადვოკატებმა – თ. გ-შვილმა და მ. გ-ვამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მათ მითითებული ჰქონდათ თავიანთ სააპელაციო საჩივრებში, ითხოვენ: გ. პ-იანის მსჯავრდების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად, ხოლო დ. ნ-იას მსჯავრდების ნაწილში – მის სასიკეთოდ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდების ნაწილში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ხოლო მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას მსჯავრდებულმა გ. პ-იანმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა მ. გ-ვამ მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივარს. კასატორმა მ. გ-ვამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებული დარღვევები, არ აღმოფხვრა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობები, საფუძვლიანად არ გამოიკვლია ყველა მტკიცებულება, რომლებითაც დასტურდებოდა გ. პ-იანის უდანაშაულობა, არ უზრუნველყო დაცვის მხარე საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალის გაცნობით, სრულყოფილად არ გამოიკვლია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რამაც განაპირობა გ. პ-იანის უკანონო მსჯავრდება. საბოლოოდ ადვოკატმა მ. გ-ვამ ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება გ. პ-იანის მსჯავრდების ნაწილში და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ახალი განხილვისათვის, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული გ. პ-იანი.

მსჯავრდებულმა დ. ნ-იამ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-შვილმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივარს. კასატორმა, ადვოკატმა თ. გ-შვილმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაასწორა ის დარღვევა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუშვა დ. ნ-იას ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრისას. მას უსაფუძვლოდ შეერაცხა ქურდობის ჯგუფურად ჩადენა, მაშინ, როდესაც საქმის მასალებით არ დასტურდება დ. ნ-იასთან ერთად გ. პ-იანის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. ვინაიდან სააპელაციო სასამართლოც დაეყრდნო დაინტერესებულ მოწმეთა ცრუ ჩვენებებსა და წინააღმდეგობრივ მტკიცებულებებს, შედეგად უსაფუძვლოდ დასდო მსჯავრი დ. ნ-იას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე. საბოლოოდ ადვოკატმა თ. გ-შვილმა ითხოვა დ. ნ-იას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში და მისი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული დ. ნ-ია.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრებს, რადგან ისინი მიიჩნია უსაფუძვლოდ. სახელმწიფო ბრალმდებელმა მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: დაცვის მხარეს პროცესის ყველა სტადიაზე ჰქონდა შესაძლებლობა, გასცნობოდა საქმეში არსებულ ყველა მასალას; ბრალდების მტკიცებულებები კანონიერი გზით არის მოპოვებული და ამ მხრივ დაცვის მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები უსაფუძვლოა; საქმეში მოიპოვება საკმარისი მტკი-

ცებულებები, რომლებითაც დამაჯერებლად დასტურდება, რომ დ. ნ-იამ და გ. პ-იანმა ერთად ჩაიდინეს ქურდობა; დაცვის მხარე ვერ უთითებს, კონკრეტულად რომელი საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნები დაარღვია სააპელაციო სასამართლომ. საბოლოოდ პროკურორმა ქ. ჩ-შილიმა საკასაციო პალატის წინაშე იშუამდგომლა: იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულების – დ. ნ-იასა და გ. პ-იანის მიმართ დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების – გ. პ-იანის, დ. ნ-იას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. პ-იანის დამცველის, ადვოკატ მ. გ-ვას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ დ. ნ-იას დამცველის, ადვოკატ თ. გ-შილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გ. პ-იანისა და დ. ნ-იას ბრალდების საქმის განხილვისას არ დაიცვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმებით დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმის ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენასა და დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნების გამოტანას პირის მიერ ჩადენილი ქმედების თაობაზე, მისი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თვალსაზრისით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. პ-იანის ბრალეულობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ჯეროვანი ყურადღების გარეშე დატოვა იმ მტკიცებულებათა წინააღმდეგობრივი ხასიათი, რომლებსაც აღნიშნული გადაწყვეტილება ეყრდნობა. პალატას მხედველობაში აქვს მოწმეების – გ. თ-შილისა და ე. დ-შილის ჩვენებები. განაჩენში გ. პ-იანის ბრალის დასადასტურებლად მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ერთი პატარა ამონარიდი სააპელაციო სასამართლოში გ. თ-შილის მიერ მიცემული ჩვენებიდან, მაგრამ ბრალდების მოწმის ეს ჩვენება არ არის შემოწმებული მთლიანობაში მისი სარწმუნოების თვალსაზრისით. მოწმე გ. თ-შილის ჩვენება არ არის თანმიმდევრული, უფრო მეტიც, ის ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებზე მიუთითებს, რაც მის უტყუარობას არადამაჯერებელს ხდის. გ. თ-შილი თავის ჩვენებაში თავდაპირველად აღნიშნავს, რომ იგი გ. პ-იანთან და დ. ნ-იასთან ერთად სამინებელი ოთახიდან შემოსასვლელში გავიდა თანხაზე მოსალაპარაკებლად, ხოლო მოწმეები – ე. დ-შილი და ე. მ-შილი ოთახში დარჩნენ კომპიუტერთან, რის გამოც მათ არ შეეძლოთ, გაეგონათ მათი საუბარი. შემდეგ გ. თ-შილი აღნიშნავს, რომ ასე იმიტომ მოიქცა, არ უნდოდა ე. მ-შილს გაეგო, კომპიუტერი მოპარული რომ იყო. ეს კი იმის საფუძვლიან ეჭვს ქმნის, რომ გ. თ-შილიმა უკვე წინასწარ იცოდა, კომპიუტერი მოპარული რომ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმე ე. მ-შილისგან მომორებით გასვლა კომპიუტერის საყიდელ თანხაზე ვაჭრობისათვის, სრულიად გაუგებარი იქნებოდა.

მითითებული გარემოებების გამო ჩნდება კითხვა: თუკი გ. თ-შილიმა წინასწარ იცოდა, რომ კომპიუტერი მოპარული იყო, მაშინ თანხაზე ვაჭრობისას მას რატომ უნდა ეკითხა გ. პ-იანისა და ნ. ნ-იასათვის, კომპიუტერს რაიმე პრობლემა ხომ არა აქვსო. აქ იგულისხმებოდა მისი წარმომავლობის კანონიერება, თორემ კომპიუტერს ტექნიკური პრობლემა რომ არ ჰქონდა, მათ უკვე იცოდნენ მოწმე ე. მ-შილისაგან. აღსანიშნავია, რომ მოწმე გ. თ-შილი თავის ჩვენებაში აზუსტებს: ჩემი, ნ-იას და პ-იანის საუბრის შინაარსი არავის – ჩვენს მეტს – არ ეცოდინებოდა, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მოწმე ე. დ-შილის განცხადებას, რომლის მიხედვით, მან მოისმინა გ. თ-შილისა და გ. პ-იანის საუბარი, როდესაც ამ უკანასკნელმა თქვა, რომ კომპიუტერი მათი მოპარული იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს იმის თაობაზეც, რომ გ. თ-შილი თავის ჩვენებაში ჯერ ამბობს – ნ-იას (იგივე ე. დ-შილი) არ უთქვამს, რომ კომპიუტერი მოპარული იყო და იცოდა თუ არა მან ამის შესახებ, არ ვიციო, მაგრამ შემდეგ იმავე ჩვენებაში მიუთითებს: "ნ-იამ მითხრა, კომპიუტერი ალბათ მოპარულია, საბუთები არ აქვსო". თუკი ე. დ-შილიმა ასეთი რამ ნამდვილად უთხრა გ. თ-შილს, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო მანამდე, სანამ გ. თ-შილსა და მსჯავრდებულებს შორის ცალკე საუბარი შედგებოდა კომპიუტერის თაობაზე, რა დროსაც, ბრალდების ვერსიის მიხედვით, რასაც სააპელაციო სასამართლოც იზიარებს, დ. ნ-იამ და გ. პ-იანმა გ. თ-შილს უთხრეს, კომპიუტერი ჩვენი მოპარულიაო, თუმცა გ. თ-შილის ჩვენებით არ ირკვევა, რომელმა მათგანმა უთხრა ეს მას.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებაზეც: მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები არსებობს მოწმე გ. თ-შილის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებასა და სააპელაციო სასამართლოში მიცემულ ჩვენებას შორის, ხოლო როდესაც სააპელაციო სასამართლოში ადვოკატმა მ. გ-ვამ ჰკითხა გ. თ-შილს, რატომ იყო მითითებულ ჩვენებებს შორის ასე-

თი არსებითი სხვაობა, სხდომის თავმჯდომარემ გაუგებარი მიზეზით მოხსნა აღნიშნული შეკითხვა, ამასთან, ამ წინააღმდეგობების თაობაზე სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა თავის განაჩენში.

მეორე ძირითად მტკიცებულებად, რომლითაც, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, გ. პ-იანი იმხილება დანაშაულის ჩადენაში, მიჩნეულია სააპელაციო სასამართლოში მოწმე ე. დ-შვილის ჩვენება. განაჩენში წარმოდგენილია ამ ჩვენების შინაარსი, რომლის მიხედვით, იგი ესწრებოდა დ. ნ-იასა და გ. პ-იანთან გ. თ-შვილის მიერ გამართულ ვაჭრობას. ამ დროს ცალკე სალაპარაკოდ გავიდნენ მხოლოდ დ. ნ-ია და გ. პ-იანი, რათა კომპიუტერის გასაყიდ ფასზე შეთანხმებულიყვნენ. ისინი შეთანხმდნენ, შემდეგ დაბრუნდნენ და გ. თ-შვილს უთხრეს, რომ კომპიუტერს 450 ლარად მისცემდნენ, ხოლო გ. თ-შვილის შეკითხვაზე – კომპიუტერთან დაკავშირებით რამე პრობლემა ხომ არ შეექმნებოდა, თვით გ. პ-იანმა უპასუხა, რომ კომპიუტერი მათი მოპარული იყო და არავითარი პრობლემა მას არ ექნებოდა. როგორც აღინიშნა, ამ ჩვენების მიხედვით, ე. დ-შვილი მხარეებს შორის მიმდინარე ყველა საუბარს ესწრებოდა, რასაც აშკარად ეწინააღმდეგება მოწმე გ. თ-შვილის ჩვენება.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. ნ-იასა და გ. პ-იანის ბრალდების საქმის განხილვისას და დანაშაულის დადგენისას არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 538-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც გამოიხატა შემდეგში: სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულ გ. პ-იანის დაცვამ წარადგინა აუდიოფირი ფონოსკოპიური ექსპერტიზის დაკვნასთან ერთად, რომელზეც, დაცვის განმარტებით, ჩაწერილია მოწმე ე. დ-შვილისა და მსჯავრდებულ გ. პ-იანის მამის – ლ. პ-იანის საუბარი, რომლითაც ირკვევა გ. პ-იანის უდანაშაულობა.

აღნიშნული მასალები სასამართლომ დაურთო საქმეს, როგორც მტკიცებულება. ამასთან, გ. პ-იანის დამცველის შუამდგომლობით აღნიშნული მასალის თაობაზე სასამართლომ მოწმის სახით დაკითხა ექსპერტი ა. მ-ია, რომელმაც დაადასტურა, რომ ხსენებული აუდიოჩანაწერი მონტაჟი არ იყო. დაცვა ითხოვდა ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარებას მოწმე ე. დ-შვილის ხმის იდენტურობის დასადგენად, რაზედაც სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა იმ მოტივით, რომ ამ გარემოების თაობაზე დაკითხავდა ე. დ-შვილს. ამით დაირღვა საქართველოს სსსკ-ის მე-15 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, რადგან დაცვის მხარე ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვდა ე. დ-შვილის ანუ ბრალდების მოწმის ჩვენების უტყუარობის შესამოწმებლად, რის გამოც სასამართლო არ შეიძლება, ცალმხრივად დაყრდნობოდა მხოლოდ ე. დ-შვილის განმარტებას, რომელშიც იგი უარყოფს ლ. პ-იანთან მისი შეხვედრისა და საუბრის ფაქტს. მართალია, ექსპერტი ა. მ-ია დაცვის მხარის შუამდგომლობით დაიკითხა, მაგრამ იგი არ შეხებია ე. დ-შვილის ხმის იდენტურობას და ამ საკითხზე ექსპერტიზის გარეშე ვერც იმსჯელებდა.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კიდევ ერთ გარემოებას: სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში აღნიშნავს, რომ მოწმე ე. დ-შვილის ჩვენების რეალობა დასტურდება მოწმე გ. თ-შვილის ჩვენებით, მაშინ, როდესაც მათ ჩვენებებს შორის მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით არის არსებითი წინააღმდეგობები, რაც სასამართლომ არ გაარკვია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, გაარკვიოს და ობიექტურად შეაფასოს, რამდენად თანმიმდევრული და სარწმუნო იყო მოწმე ე. დ-შვილის მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენება, რადგან იგი არ არის შეტანილი სასამართლო სხდომის ოქმში, თუმცა, უეჭველია, რომ იგი სააპელაციო სასამართლოში ნამდვილად დაიკითხა. აღნიშნული გარემოება, საქართველოს სსსკ-ის 563-ე მუხლის თანახმად, განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველს წარმოადგენს.

ასეთ პირობებში, როდესაც ფაქტობრივად ძირითად მტკიცებულებებს შორის არის არსებითი წინააღმდეგობები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ გაარკვია და არ აღმოფხვრა, ხოლო საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას არსებითად დაირღვა საპროცესო კანონის მოთხოვნები, საკასაციო პალატა ვერ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მსჯავრდებულების – გ. პ-იანისა და დ. ნ-იას ბრალეულობის, ნაკლები ბრალისა თუ უდანაშაულობის თაობაზე. ამის გამო, ვერ დაკმაყოფილება მსჯავრდებულ დ. ნ-იას დამცველის, ადვოკატ თ. გ-შვილის მოთხოვნა დ. ნ-იას მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის მის სასიკეთოდ შეცვლის თაობაზე, რადგან მისი ბრალის მოცულობა და, შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაციაც არსებითად არის დამოკიდებული მსჯავრდებულ გ. პ-იანის ბრალეულობაზე.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – დ. ნ-იასა და გ. პ-იანის ბრალდების საქმის განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დაიცვა საქართველოს სსსკ-ის მე-15, მე-18, მე-19, 496-ე და 538-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, რაც წარმოადგენს არსებით საპროცესო დარღვევასა და

განაჩენის გაუქმების საფუძველს, თანახმად საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 593-ე მუხლის პირველი ნაწილისა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენი დ. ნ-იასა და გ. პ-იანის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საქმის ხელახლა განხილვისას საპროცესო ნორმების მოთხოვნათა სრული დაცვით უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება, რომლის მეშვეობით უნდა გაირკვეს და აღმოიფხვრას მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები; საქმის ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს სარწმუნოდ, რა დროსაც ბრალდებისა და დავის მხარეებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანაბარი პირობები მტკიცებულებების წარმოდგენისა და გამოკვლევისათვის. ამასთან, საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ მოპოვებული მტკიცებულებები უტყუარობასთან ერთად, ჯეროვნად უნდა შეაფასოს აგრეთვე მათი სკამარისობის თვალსაზრისით პირის მსჯავრდებისათვის, რაც კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ნ-იას დამცველის, ადვოკატ თ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ გ. პ-იანის დამცველის, ადვოკატ მ. გ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენი დ. ნ-იასა და გ. პ-იანის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო

განჩინება

#1454-აპ-08

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 აგვისტოს განაჩენით, დამტკიცდა პროკურორსა და ც. მ-შვილს შორის 2008 წლის 5 აგვისტოს დადებული საპროცესო შეთანხმება;

ც. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება – 3052 აშშ დოლარი, 1400 ლარი და 3 მანეთი. ც. მ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 22 აპრილიდან.

ც. მ-შვილს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელს, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ლ. გ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება – 700 აშშ დოლარი. ლ. გ-იას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 აპრილიდან.

ლ. გ-იას ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს ხუთი წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო, პედაგოგიურ, საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ლ. გ-იას პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული 0.0075 გრამი ნარკოტიკული საშუალება, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 14.2945 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და ც. მ-შვილის პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული 74.85 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ საცავში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენით მსჯავრდებულების – ც. მ-შვილისა და ლ. გ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ლ. გ-იამ 2008 წლის 17 აპრილს ქ. თბილისში ც. მ-შვილისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით, ერთდროულად, 6000 აშშ დოლარის საფასურად უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0.0075 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხები და ფხვნილი, აგრეთვე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 14.2945 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც ინახავდა როგორც პირადად, აგრეთვე, თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში.

2008 წლის 21 აპრილს, 22.30 საათზე, ქ. თბილისში, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ლ. გ-ია, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0.0075 გრამი „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხი და ფხვნილი, აგრეთვე განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 10.489 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი და სითხე.

ც. მ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0.0075 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხები და ფხვნილი, აგრეთვე განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 89.1445 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საიდანაც ნაწილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 14.2945 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 0.0075 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხები და ფხვნილი 2008 წლის 17 აპრილს 6000 აშშ დოლარის საფასურად უკანონოდ გაასაღა ლ. გ-იაზე.

2008 წლის 22 აპრილს, ლ. გ-იას ჩვენების საფუძველზე დააკავეს ც. მ-შვილი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 21.55 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ხოლო მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – 53.3 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრით მსჯავრდებული ლ. გ-ია ითხოვს განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნებას იმ მოტივით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება: საბრალდებო დასკვნის თანახმად, მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვა, რასაც მთლიანად აღიარებს, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს მის მიერ შეძენილი ნარკოტიკული საშუალების იმ ოდენობას, რამდენზეც მიუთითებდა ექსპერტიზის დასკვნა; აღიარებს, რომ არის მომხმარებელი და სისტემატურად მოიხმარდა ნარკოტიკს ტკივილის დაძლევის მიზნით, რადგან მოყვა ავარიაში და გადაიტანა თავის მძიმე ტრავმა, ფუძის ძვლის მოტეხილობით; საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მისი დაკავების მომენტიდან აღიარა ჩადენილი დანაშაული, ასევე ითანამშრომლა გამოძიებას-

თან; მისი ინფორმაციის საფუძველზე დააკვეს ც. მ-შვილი; სააპელაციო სასამართლომ მხარეთა დაუსწრებლად განიხილა სააპელაციო საჩივარი მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტიზის დასკვნას და ითხოვდა აღნიშნულ ნარკოტიკზე ექსპერტიზის ჩატარებას; სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ლ. გ-იასა და ც. მ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას და მსჯავრდებულ ლ. გ-იას მიმართ განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საჩივრის მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმე არ უნდა განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ლ. გ-ია სააპელაციო სასამართლოში ითხოვდა სასჯელის შემცირებას, სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, იგი ასევე კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრულ ნარკოტიკული საშუალების ოდენობას, რითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 აგვისტოს განაჩენს ხდიდა სადავოდ არამართო განაჩენის სამართლიანობის, არამედ – მისი კანონიერებისა და დასაბუთებულების ნაწილშიც.

ამრიგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულ ლ. გ-იას მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაუშვა არსებითი საპროცესო დარღვევა, რაც მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მეორე ნაწილის "ი" ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულ ლ. გ-იას მიმართ უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე დაბრუნდეს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვა უნდა მოხდეს საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განაჩენი ლ. გ-იას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო

განჩინება

#255-აპ-09

24 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. შ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით, დ. შ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით ჯარიმა – 1000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, დ. შ-ის მიმართ 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 1 წელი – გაუქმდა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ დ. შ-ის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 1000 ლარი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 23 აპრილის 15.00 საათიდან.

დ. შ-ის, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

აღნიშნული უფლებების ჩამორთმევის შესახებ ეცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი – ერთ ცალად დაფასოებული, თეთრი ფერის ფხვნილისებური ნივთიერება, 0,0428 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ დ. შ-ის დაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 16 აგვისტოს დ. შ-ია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 1 წელი.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და პირობით გამოსაცდელი ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინა ნარკოტიკული დანაშაული, კერძოდ:

დ. შ-იამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“, რომელსაც უკანონოდ ინახავდა.

2008 წლის 23 აპრილს შსს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა დ. შ-ის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2008 წლის 1 აპრილის ბრძანების საფუძველზე ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი მარცხენა ხელიდან ამოიღეს ერთ ცალად დაფასოებული, თეთრი ფერის ფხვნილისებური ნივთიერება, რომელიც 2008 წლის 23 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის #468/სქ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს 0,0628 გრამ ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ შემცველ ფხვნილს, რომელშიც „მეთადონის“ რაოდენობა შეადგენს 0,04396 გრამს.

2008 წლის 23 აპრილს, ექვმიტანილად დაკავების შემდეგ, დ. შ-ია შემოწმების მიზნით გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკო-

ლოგიური გამოკვლევის შედეგად, ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების – „მეთადონის“ მოხმარების ფაქტი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დ. შ-ლია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით ჯარიმა – 1000 ლარი, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაუნახევრდა და დ. შ-იას განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია როგორც ძირითადი სასჯელი).

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დ. შ-იას, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვე („ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით განახევრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენით დ. შ-იასათვის დანიშნული სასჯელი – 1 წელი და მოსახდელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა). საბოლოოდ დ. შ-იას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარი (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია როგორც ძირითადი სასჯელი).

დ. შ-იას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 23 აპრილის 15.00 საათიდან.

დ. შ-იას, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

აღნიშნული უფლებების ჩამორთმევის შესახებ ეცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი – ერთ ცალად დაფასოებული, თეთრი ფერის ფხვნილისებური ნივთიერება, 0,0428 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ დ. შ-იას მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის გამოცხადების თარიღად მიეთითა 2009 წლის 20 თებერვალი.

მსჯავრდებულ დ. შ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ქ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ პუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და დ. შ-იას გათავისუფლებას, ვინაიდან მას მოხდილი აქვს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი. კასატორის განმარტებით, მსჯავრდებულმა დ. შ-იამ წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში თავი ცნო დამნაშავედ, ხოლო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ პუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში ის თავს დამნაშავედ არ ცნობს და აღნიშნავს, რომ მისგან, მით უმეტეს, მისი მარცხენა ხელიდან ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“ ამოღებული არ ყოფილა; საქმეში არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადასტურებს დ. შ-იასგან ნარკოტიკული ნივთიერების ამოღების ფაქტს; სასამართლო განაჩენის გამოტანის დროს დაეყრდნო საქმის შედეგით დაინტერე-

სებული პირების, პოლიციის თანამშრომლების – გ. დ-შვილისა და ე. ყ-შვილის ალოგიკურ ჩვენებებს, რომლებიც დაახლოებით სამი თვის განმავლობაში თავს არიდებდნენ სასამართლოში გამოცხადებას; სრულიად აბსურდულია იმის მტკიცება, რომ დ. შ-ია ნარკოტიკული ნივთიერებით ხელში დადიოდა ქუჩაში და ელოდებოდა, თუ როდის დააკავებდნენ პოლიციის თანამშრომლები; განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მოყვანილია არარსებული ფაქტი: მითითებულია, რომ პოლიციის თანამშრომლებს გააჩნდათ მოსამართლის ბრძანება დ. შ-იას პირადი ჩხრეკის ნებართვის შესახებ, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან საქმეში ასეთი სახის პროცესუალური დოკუმენტი არ მოიპოვება; საქმეში არის მოსამართლის ბრძანება ბინის ჩხრეკის ნებართვის შესახებ, ხოლო რაკვეშირი აქვს ამ ბრძანებას ქუჩაში დაკავებულ დ. შ-იასთან, გაურკვეველია; სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 538-ე და 539-ე მუხლების მოთხოვნები; დ. შ-იას დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ დ. შ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვის მსჯავრდების ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ დ. შ-იას საბოლოო სიტყვით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2008 წლის 23 აპრილის #5031277 დასკვნით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 2008 წლის 24 აპრილის ოქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მაისის დადგენილებით; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა დ. შ-იამ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

გასაჩივრებული განაჩენი, სხვა მასალებთან ერთად, მსჯავრდებულ დ. შ-იას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვის მსჯავრდების ნაწილში ეყრდნობა მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ჩატარებული, დ. შ-იას პირადი ჩხრეკის ოქმს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. სსსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს სასამართლო სხდომაზე არ გამოუქვეყნებიათ და, შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე არ გამოუკვლევიათ მოსამართლის ბრძანება, რომლის საფუძველზეც ჩატარდა მსჯავრდებულ დ. შ-იას პირადი ჩხრეკა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი მოთხოვნის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძველად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც მხარეთა მონაწილეობითა და კანონით დადგენილი წესების დაცვით გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში სწორედ ზემოაღნიშნული ფუნდამენტური პრინციპებია დარღვეული, რაც წარმოადგენს არსებით საპროცესო დარღვევას და რამაც გავლენა იქონია საქმის შედეგზე, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის კანონიერების თვალსაზრისით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვის მსჯავრდების ნაწილში უკანონოა, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 თებერვლის განაჩენი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვის მსჯავრდების ნაწილში და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება სხვა ნაწილში დარცეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო

განჩინება

#1363-აპ-08

8 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის დამცველის, ადვოკატ დ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 აგვისტოს განაჩენით ჯ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 3 თვის ვადით.

ჯ. ა-ძეს მსჯავრი დაედო ქურდობის, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ა-ძე მუშაობდა ოზურგეთის რაიონში მდებარე შპს-ში სამშენებლო ბლოკის დამამზადებელ საამქროში მექანიკოსად. 2007 წლის მაისში მან განიზრახა ფარულად დაუფლებოდა აღნიშნული საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე ლითონის ნაკეთობებს. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ჯ. ა-ძე დაუკავშირდა შპს-ს დარაჯს _ კ. მ-ს. მათ ერთობლივად განიზრახეს ლითონის ნაკეთობების ქურდობა. იმავე ღამით, დაახლოებით 23:00 საათზე, ჯ. ა-ძემ და კ. მ-მა შპს-ს სამეურნეო ეზოდან გაიტანეს ლითონის ნაკეთობები, რაც ავტომანქანით მიიტანეს ჯ. ა-ძის საცხოვრებელ სახლში და გადაამალეს. ამის შემდეგ ჯ. ა-ძემ გაასხვისა ისინი, ხოლო აღებული თანხა გაიყვეს. აღნიშნული ქმედებით ჯ. ა-ძემ და კ. მ-მა შპს-ს მიაყენეს 160 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი გაასაჩივრა ჯ. ა-ძემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა დ. მ-ძემ, რომელიც თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 აგვისტოს განაჩენის გაუქმებას და ჯ. ა-ძისთვის დანიშნული სასჯელის თავისუფლების აღკვეთის პირობითი მსჯავრით შეცვლას შემდეგი მოტივებით: მსჯავრდებული წარსულში არ არის ნასამართლევ, მან ნებაყოფლობით აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, ჰყავს სოციალურად დაუცველი ოჯახი, პირობას დებს რომ მთლინად აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განაჩენით აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ოზურგეთის რაიონული

სასამართლოს განაჩენში, კერძოდ სასჯელის ნაწილში შეტანილ იქნა ცვლილება და მსჯავრდებულ ჯ. ა-ძეს გასაჩივრებელი განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება, როგორც ზედმეტად შერაცხული, ხოლო ჩადენილი დანაშაულისთვის მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 3 თვის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის დამცველმა, ადვოკატმა დ. მ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის გაგზავნას ახალი სასამართლო განხილვისთვის. იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის ბრალდების საქმეზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი განიხილა საქართველოს სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რის შედეგადაც ჯ. ა-ძის მიმართ დადგენილ იქნა არაკანონიერი განაჩენი, ხოლო დაცვის მხარეს ხელი შეეშალა დაეცვა აღნიშნულ სასამართლოში მსჯავრდებულის კანონიერი ინტერესები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა, იზიარებს რა აპელანტის მოთხოვნებს, თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე ჯ. ა-ძის ბრალდების თაობაზე განიხილა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით, რაც გამოიხატა შემდეგში: სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის დამცველის, ადვოკატ დ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა მისთვის დანიშნული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის პირობითი მსჯავრით შეცვლას, განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, რითაც დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი სასჯელის შემცირების თაობაზე. იმავე საპროცესო ნორმის თანახმად ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია დანიშნული სასჯელი შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით. საქართველოს სსსკ-ის მე-40 მუხლში ჩამოთვლილ სასჯელის სახეებს შორის არ არის მითითებული პირობითი მსჯავრი როგორც სასჯელის სახე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პირობითი მსჯავრი წარმოადგენს არა სასჯელის სახეს, არამედ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის განსხვავებულ ფორმასა და რეჟიმს. აპელანტი ითხოვდა მსჯავრდებულებისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის რეალურად მოხდის ნაცვლად მის პირობით ჩათვლას, რაც სრულიად არ ნიშნავს სასჯელის შემცირებას.

როგორც აღნიშნა, საქართველოს სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას მაშინ, როცა აპელანტი ითხოვს სასჯელის შემცირებას, ხოლო განსახილველ შემთხვევაში აპელანტი – მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის ადვოკატი სასჯელის შემცირებას არ ითხოვდა, რის გამოც, იმის გათვალისწინებით, რომ ჯ. ა-ძეს ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენაში მისი ბრალდების საქმე სააპელაციო სასამართლოში უნდა განხილულიყო ზეპირი მოსმენით.

ამრიგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის ბრალდების საქმის განხილვისას დაუშვა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, რამაც განაპირობა მის მიმართ უკანონო განაჩენის გამოტანა და რაც, საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განაჩენი ჯ. ა-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისთვის. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საქმის ხელახალი განხილვა უნდა ჩაატაროს საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს, კანონიერი განაჩენის დასადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. ა-ძის დამცველის, ადვოკატ დ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განაჩენი ჯ. ა-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო განჩინება

#35¹-08

11 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ფ. ბ-ს კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით ფ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2005 წლის 28 თებერვლიდან.

უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ზემოაღნიშნულ განაჩენზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 17 სექტემბერს შევიდა სასჯელადსრულების დეპარტამენტის #6-ე საპრობილის დირექტორის მიმართვა განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის განსაზღვრის შესახებ, სსკ-ის 614-ე მუხლის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 მაისისა და ამავე სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის განაჩენებით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ფ. ბ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 9 წლით, 9 თვით და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 7 მაისიდან.

კასატორი – მსჯავრდებული ფ. ბ-ი თავის საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს იხდის 2005 წლის 28 თებერვლიდან, ხოლო იმავე სასამართლოს 2007 წლის 7 მაისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 2006 წლის 13 ივლისიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფ. ბ-ს მიაჩნია, რომ მისთვის დანიშნული სასჯელები არასწორად შეიკრიბა და საბოლოო სასჯელის ათვლის თარიღიც არასწორია, რის გამოც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების შეცვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა კერძო საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 614-ე მუხლის თანახმად, თუ მსჯავრდებულის მიმართ არსებობს სისრულეში მოუყვანელი რამდენიმე განაჩენი, რაც ცნობილი არ იყო ბოლო განაჩენის გამომტანი სასამართლოსათვის, ამ სასამართლოს ან განაჩენის აღსრულების ადგილზე იმავე დონის სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა აღნიშნული განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბოლო განაჩენის გამომტან სასამართლოდ მოიაზრება სისრულეში მოუყვანელ განაჩენებს შორის ყველაზე გვიან გამოტანილი განაჩენის მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო და არა ზოგადად ყველაზე გვიან მიღებული განაჩენის გამომტანი სასამართლო, რომელიც შეიძლება იყოს სააპელაციო სასამართლოც. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი მსგავსი პროცედურა – განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნა და სასჯელთა შეჯამება – ფაქტობრივად ხორციელდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

მოცემულ შემთხვევაში "ბოლო განაჩენი" მსჯავრდებულ ფ. ბ-ს მიმართ გამოტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 14 ნოემბერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, განეხილა სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორის მიმართვა სსკ-ის 614-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის საბოლოო ზომის განსაზღვრის თაობაზე, დარღვეულია განსჯადობის წესები, რაც სსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების უპირობო საფუძველია.

ამდენად, სააპელაციო პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება ფ. ბ-ს მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე სასჯელადსრულების დეპარტამენტის #6-ე საპრობილის დირექტორის მომართვის საფუძველზე, განსჯადობის მიხედვით, გაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის გამო, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს კერძო საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება ფ. ბ-ს მიმართ, ხოლო საქმე სასჯელადსრულების დეპარტამენტის #6-ე საპრობილის დირექტორის მომართვის საფუძველზე გაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევის გამო

განჩინება

#202-აპ-09

22 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ჯ-ს დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენით კ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების საფუძველზე დანიშნული სასჯელი გაუნახვერდა და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით. იმავე განაჩენით მსჯავრდებულ კ. ჯ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება.

კ. ჯ-ს მსჯავრი დაედო ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევაში იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 16 ივნისს, დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე, კ. ჯ-ა ავტომანქანა "ფორდით", სახელმწიფო სანომრე ნიშნით მოძრაობდა წყალტუბოს რაიონიდან ქალაქ ქუთაისის მიმართულებით მგზავრებთან – ა. ფ-სა და ზ. ჩ-სთან ერთად. წყალტუბოს რაიონის სოფელ ბ-ში საავტომობილო გზაზე მოძრაობისას კ. ჯ-მ დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესის შესახებ საქართველოს კანონის 29.1 მუხლის მოთხოვნა (მძლოლი სატრანსპორტო საშუალებას მართავს ისეთი სიჩქარით, რომელიც არ აღემატება დადგენილ შეზღუდვებს, ამასთან, ითვალისწინებს მოძრაობის ინტენსიურობას, სატრანსპორტო საშუალების ტვირთის თავისებურებებს და მდგომარეობას, საგზაო და მეტეოროლოგიურ პირობებს, კერძოდ, ხილვადობას მოძრაობის მიმართულებით), რის გამოც მან მოსახვევში ვერ დაიმორჩილა ავტომანქანის "ფორდის" საჭე, გადავიდა სავალი გზის უკიდურეს მარცხენა მხარეს და ავტომობილის წინა ნაწილით შეეჯახა ელექტროგაყვანილობის ლითონის ბოძს. შეჯახების შედეგად ავტომანქანის მგზავრმა ზ. ჩ-მ მიიღო სხეულის დაზიანება და ქუთაისის სამხარეო საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა მსჯავრდებულ კ. ჯ-ს დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-მ, რომელიც თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და კ. ჯ-სთვის დანიშნული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – პირობითი მსჯავრით შეცვლას, აგრეთვე დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის გაუქმებას შემდეგი მოტივებით: მსჯავრდებული წარსულში არ არის ნასამართლავი; მან ნებაყოფლობით აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან; მზად არის, დაზარალებულს გაუწიოს დახმარება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენით აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და წყალტუბოს რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ კ. ჯ-ს მიმართ კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში დარჩა უცვლელად. იმავე განაჩენით კ. ჯ-ს მიმართ გაუქმდა საპროცესო იძულების ღონისძიება, კერძოდ, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის ბრძანება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ. განაჩენი სხვა ნაწილში კ. ჯ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ კ. ჯ-ს დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენის გაუქმებას მსჯავრდებულ კ. ჯ-სთვის დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის – 4 000 ლარის დაკისრების ნაწილში, აგრეთვე მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნას იმ მოტივით, რომ როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვის ეტაპზე არსებითად დაირღვა საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რის შედეგადაც კ. ჯ-ს მიმართ გამოტანილ იქნა არაკანონიერი განაჩენი. ამასთან, ადვოკატი მ. ნ-მე უთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ კ. ჯ-ს ბრალდების საქმეზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი განიხილა რა ზეპირი მოსმენის გარეშე, დაცვის მხარეს არ მიეცა საშუალება, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, დაეცვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. ჯ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ კ. ჯ-ს ბრალდების საქმე განიხილა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით, რაც გამოიხატა შემდეგში: სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ კ. ჯ-ს დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს სააპელაციო საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა მისთვის დანიშნული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – პირობითი მსჯავრით შეცვლას, განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, რითაც დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საჩივრის მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე – საჩივარი სასჯელის შემცირების თაობაზე. იმავე საპროცესო ნორმის თანახმად, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, დანიშნული სასჯელი შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით. საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლში ჩამოთვლილ სასჯელის სახეებს შორის არ არის მითითებული პირობითი მსჯავრი, როგორც სასჯელის სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ პირობითი მსჯავრი წარმოადგენს არა სასჯელის დამოუკიდებელ სახეს, არამედ – თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის განსხვავებულ ფორმასა და რეჟიმს. აპელანტი ითხოვდა მსჯავრდებულისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის რეალურად მოხდის ნაცვლად მის პირობით ჩათვლას, რაც სრულიად არ ნიშნავს სასჯელის შემცირებას.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას მაშინ, როცა აპელანტი ითხოვს სასჯელის შემცირებას, ხოლო განსახილველ შემთხვევაში აპელანტი – მსჯავრდებულ კ. ჯ-ს ადვოკატი სასჯელის შემცირებას არ ითხოვდა, რის გამოც, იმის გათვალისწინებით, რომ კ. ჯ-ს ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მისი ბრალდების საქმე სააპელაციო სასამართლოში უნდა განხილულიყო ზეპირი მოსმენით.

ამრიგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ კ. ჯ-ს ბრალდების საქმის განხილვისას დაუშვა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, რამაც განაპირობა მის მიმართ უკანონო განაჩენის გამოტანა, რაც, საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

შემოდანიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენი კ. ჯ-ს მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისთვის. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საქმე ხელახლა უნდა განიხილოს საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს კანონიერი განაჩენის დასადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ჯ-ს დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენი კ. ჯ-ს მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისთვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო

განჩინება

#213-აპ-09

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ტ-ვის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის განაჩენით ზ. ტ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 17-18 საათზე ა. მ-ვი იმყოფებოდა გარდაბნის რაიონში თავისი ნათესავის _ ფ. მ-ვის სახლში, მათ დალიეს არაყი და დათვრნენ, რის შემდეგ ისინი გამოვიდნენ სახლიდან და შეხვდნენ ზ. ტ-ვს. სამივემ გადაწყვიტა ალკოჰოლური სასმელის მიღება და შეიძინეს ლუდი. გზად ფ. მ-ვმა შეიარა თავისი ახლობლის სახლში, ხოლო ზ. ტ-ვი და ა. მ-ვი გარეთ დარჩნენ. გარკვეული დროით ლოდინის შემდეგ ა. მ-ვმა უთხრა ზ. ტ-ვს, რომ დაეძახა ფ. მა-ვისათვის, რაც მან იუკადრისა და ამის გამო დაწყებული კამათი გადაიზარდა ჩხუბში. ზ. ტ-ვმა ამოიღო დანა და შურისძიების მოტივით, მოკვლის მიზნით, ა. მ-ვს ჩაარტყა გულმკერდის მარცხენა ნახევარში და მიაყენა მძიმე დაზიანება, რის შემდეგ მიიძალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. ტ-ვს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა მისი ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 იანვრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი _ მსჯავრდებული ზ. ტ-ვი თავის საჩივრებში აღნიშნავს, რომ გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რის გამოც ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმით ირკვევა, რომ 2009 წლის 26 იანვარს გამართულ სხდომას ესწრებოდა მსჯავრდებული და მას არ მისცეს საბოლოო სიტყვა, რაც სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის "კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია.

ასეთ ვითარებაში, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საკასაციო საჩივრების მოტივებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განაჩენი ზ. ტ-ვის მიმართ, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო

განჩინება

#383-აპ-09

8 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. უ-შვილის დამცველის, ადვოკატ ლ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის განაჩენით თ. უ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 3 თვის ვადით.

იმავე განაჩენით ი. მ-შვილის, მიმართ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. ი. მ-შვილს დანიშნული სასჯელი საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენით თ. უ-შვილსა და ი. მ-შვილს მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილი ქურდობისათვის. აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თ. უ-შვილი და ი. მ-შვილი 2008 წლის 12 ივნისს, დაახლოებით 1 საათზე, იმყოფებოდნენ ქ. ქუთაისში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. მათ დანაშაულებრივი ხელყოფის საგნად შეარჩიეს ზემოაღნიშნული კორპუსის ჩრდილოეთით მდგარი, ამავე კორპუსში მცხოვრები ა. გ-ძის კუთვნილი, თეთრი ფერის, "მერსედის" მარკის მიკროავტობუსი, თ. უ-შვილი და ი. მ-შვილი თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მივიდნენ აღნიშნულ მიკროავტობუსთან. ვინაიდან ავტომანქანის კარი არ იყო დაკეტილი, თ. უ-შვილმა დაუბრკოლებლად შეაღწია მის სალონში, სადაც, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ა. გ-ძის კუთვნილ, 50 ლარად ღირებულ, "პანასონიკის" ფირმის აუდიომაგნიტოფონს, რის შემდეგაც ისინი შეეცადნენ მიმალვას, თუმცა დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა და პირადი ჩხრეკისას თ. უ-შვილისაგან ამოღებულ იქნა ა. გ-ძის კუთვნილი აუდიომაგნიტოფონი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. უ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ლ. დ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვ-

და გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანასა და მსჯავრდებულის მიმართ შეფარდებული სასჯელის მესამედი ნაწილის პირობით ჩათვლას შემდეგი მოტივებით: მსჯავრდებული აღიარებს და ინანიებს თავის მიერ ჩადენილ ქმედებას; მან ითანამშრომლა გამოძიებასთან, ხოლო დაზარალებულს დაუბრუნა მაგნიტოფონი; იგი არის მამით ობოლი, იყო წარმატებული სპორტსმენი; ის ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, ჰყავს ავადმყოფი დედა, მისი ოჯახი კი განეკუთვნება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების რიცხვს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ თ. უ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის განაჩენი მის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ თ. უ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ლ. დ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანასა და მსჯავრდებულ თ. უ-შვილის მიმართ შეფარდებული სასჯელის მესამედი ნაწილის პირობით ჩათვლას იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. უ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თ. უ-შვილის ბრალდების საქმე განიხილა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით, რაც გამოიხატა შემდეგში: სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ თ. უ-შვილის დამცველის, ადვოკატ ლ. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა მსჯავრდებულსათვის დანიშნული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ნაწილის პირობითი მსჯავრით შეცვლას, განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, რითაც დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საჩივრის მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე – საჩივარი სასჯელის შემცირების თაობაზე. იმავე საპროცესო ნორმის თანახმად, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, დანიშნული სასჯელი შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით. საქართველოს სსსკ-ის მე-40 მუხლში ჩამოთვლილ სასჯელის სახეებს შორის არ არის მითითებული პირობითი მსჯავრი, როგორც სასჯელის სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ პირობითი მსჯავრი წარმოადგენს არა სასჯელის დამოუკიდებელ სახეს, არამედ – თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის განსხვავებულ ფორმასა და რეჟიმს. აპელანტი ითხოვდა მსჯავრდებულისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის რეალურად მოხდის ნაცვლად ამ სასჯელის ერთი მესამედი ნაწილის პირობითი ჩათვლას, რაც სრულიად არ ნიშნავს სასჯელის შემცირებას.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას მაშინ, როცა აპელანტი ითხოვს სასჯელის შემცირებას, ხოლო განსახილველ შემთხვევაში აპელანტი – მსჯავრდებულ თ. უ-შვილის ადვოკატი სასჯელის შემცირებას არ ითხოვდა, რის გამოც, იმის გათვალისწინებით, რომ თ. უ-შვილს ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მისი ბრალდების საქმე სააპელაციო სასამართლოში უნდა განხილულიყო ზეპირი მოსმენით.

ამრიგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ თ. უ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას დაუშვა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, რამაც განაპირობა მის მიმართ უკანონო განაჩენის გამოტანა, რაც, საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განაჩენი თ. უ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისთვის. სააპელაციო სასამართლომ აღნიშ-

ნული საქმე ხელახლა უნდა განიხილოს საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს კანონიერი განაჩენის დასადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. უ-შვილის დამცველის, ადვოკატ ლ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განაჩენი თ. უ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო

განჩინება

#88-აპ-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. დ-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხულოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის განაჩენით, მ. დ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით 3 წლით და 8 თვით, მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით – 4 წლით და 9 თვით, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 11 ნოემბრიდან.

ამავე განაჩენით ნ. ა-მე, დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით 4 წლით და 2 თვით, მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით – 6 წლით და 3 თვით, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სასარგებლოდ მსჯავრდებულებს სოლიდარულად დაეკისრათ 15 000 ლარის გადახდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. დ-მემ და სხვა პირებმა გადაწყვიტეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ ხულოს რაიონის სატელეფონო ჯიხურში არსებული ძვირფასი მეტალის – პალადიუმის შემცველ ე.წ. "სტრუნებს". განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი ესტუმრნენ ა. კ-მეს. ბოროტმოქმედებმა მისასვლელად ა. კ-მეს სთხოვეს ტაქსის მოყვანა და მივიდნენ სატელეფონო სადგურთან. მ. დ-მემ და მისმა თანამზრახველებმა გატეხეს კარი და შეაღწიეს სატელეფონო დანადგარების ოთახში, სადაც ფარულად დაეუფლნენ პალადიუმის შემცველ ე.წ. "სტრუნებს".

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-მის ადვოკატმა ნ. ა-შვილმა და მოითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მაგრამ გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: განაჩენი გაუქმდა სამოქალაქო სარჩელის

დაკმაყოფილების ნაწილში; მ. დ-მე და ნ. ა-მე გამართლდნენ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯათ: მ. დ-მეს – 4 წლით და 9 თვით, ხოლო ნ. ა-მეს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორები – მსჯავრდებული და მისი ადვოკატი ნ. ა-შვილი საჩივარში აღნიშნავენ, რომ გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა ირიბ მტკიცებულებებს, რომლებიც ვერ აბათილებს დაცვის მხარის მიერ მითითებულ გარემოებებს. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დაადგინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით და მატერიალური კანონის არასწორი გამოყენებით, რამაც შეზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები და ხელი შეუშალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ მ. დ-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმს ხელს არ აწერს სხდომის თავმჯდომარე, რაც, სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებები არ გამოკვლეულა.

ასეთ ვითარებაში, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის სათანადოდ გაფორმებული ოქმი, მხარეთა მონაწილეობით სრულად უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამასთან, საქმის ხელახლა განხილვის შედეგად არ უნდა გაუარესდეს მსჯავრდებულთა მდგომარეობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი მ. დ-მისა და ნ. ა-მის მიმართ, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევების გამო

განჩინება

#714-აპ-09

27 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-იასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 მაისის განაჩენით გ. თ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. თ-ია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის დადგენილებით ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად და განესაზღვრა 5 დღით პატიმრობა. 2009 წლის თებერვალში, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მან პირადი მოხმარებისათვის უკანონოდ შეიძინა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ (მარიხუანა), რომელიც უკანონოდ მოიხმარა.

2009 წლის 14 თებერვალს გ. თ-ია შეამოწმეს საექსპერტო დაწესებულებაში და მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. თ-იას მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი, 11 თვე, 28 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 15 მაისიდან. მსჯავრდებულს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალა დაკავების დრო – 1 დღე და 3 წლით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. მათ ითხოვეს გ. თ-იასათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები – მსჯავრდებული გ. თ-ია და ადვოკატი ლ. ჩ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი ზედმეტად მკაცრი და უსამართლოა, რადგან დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებას, მიუხედავად იმისა, რომ გ. თ-იამ სასჯელი ჩაიდინა პირობითი მსჯავრის პერიოდში; იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილს, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, ხასიათდება დადებითად, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. გარდა ამისა, საქმის განხილვის დროს დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 489-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა და მოსამართლემ უსაფუძვლოდ გამო უარი უთხრა გ. თ-იას ადვოკატს დროის მიცემაზე კამათში გამოსვლისათვის მოსამზადებლად. ეს ფაქტი რეაგირების გარეშე დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოძიების დამთავრების შემდეგ, მხარეთა კამათის დაწყებამდე, განსასჯელის ადვოკატმა მოითხოვა დრო კამათისათვის მოსამზადებლად, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა და სხდომა გაგრძელდა. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და არ გამოასწორა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული ეს დარღვევა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 489-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო კამათში მონაწილეობის უფლების მქონე პირი მოითხოვს დროს გამოსვლისათვის მოსამზადებლად, ცხადდება შესვენება, მისი ხანგრძლივობის მითითებით. კანონის ეს მოთხოვნა იმპერატიულია.

მოხდა სსსკ-ის 563-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული არსებითი დარღვევა: სასამართლომ შეზღუდა პროცესის მონაწილის უფლება. ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უდავოდ უნდა გაუქმდეს. ამის გამო პალატა ვერ იმსჯელებს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით უნდა განიხილოს საქმე, აღმოფხვრას კანონის არსებითი დარღვევა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. თ-იასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განაჩენი გ. თ-იას მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. სასჯელის შეუსაბამობა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

განჩინება

#1432-აპ-08

10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ჩ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჩ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენით, ლ. ჩ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა; ასევე – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმნა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლ. ჩ-იანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

ლ. ჩ-იანს ჰყავდა ბიძაშვილი ნ. ჩ-იანი, რომელიც მეუღლესთან – დ. ჩ-ძესთან ერთად ცხოვრობდა თბილისში. ლ. ჩ-იანს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დ. ჩ-ძესთან და ხშირად სტუმრობდა მას. ნ. ჩ-იანთან ურთიერთობისას ლ. ჩ-იანმა შეიტყო, რომ ის ღალატობდა მეუღლეს და არცხვენდა როგორც ოჯახს, ასევე, მის გვარს, ამიტომ, აღნიშნულით განაწყენებულმა, შურისძიების მოტივით, განიზრახა ნ. ჩ-იანის მოკვლა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ლ. ჩ-იანმა სახლიდან წაიღო შემოადნიშნული „ნაგანი“, დალია ალკოჰოლური სასმელი და მივიდა ნ. ჩ-იანთან სახლში, სადაც მას მისაღებ ოთახში დახვდნენ მასპინძლები. მისალმებისა და რამდენიმეწამიანი საუბრის შემდეგ ნ. ჩ-იანმა შეიტყო ლ. ჩ-იანის მისვლის მიზანი, რომ მის ყოფაქცევაზე უნდა ესაუბრა დ. ჩ-ძესთან და სვანურად დაუწყო კამათი, თუ რატომ ერეოდა მის პირად ცხოვრებაში, რა დროსაც ლ. ჩ-იანმა ამოიღო იარაღი და დამიზნებით ხუთჯერ ესროლა ნ. ჩ-იანს, რომელსაც ორი ტყვია მოხვდა მუცლისა და გულ-მკერდის არეში. მიღებული ჭრილობების შედეგად ნ. ჩ-იანი ადგილზევე გარდაიცვალა.

მომხდარი ფაქტის შემსწრე დ. ჩ-ძემ ლ. ჩ-იანს წაართვა იარაღი, რომლის ყუა ჩაართვა მას თავში, ამის შემდეგ, დაბნეულმა, ცეცხლსასროლი იარაღი გადაძალა მაცივარში და გამოიძახა პოლიცია.

2008 წლის 3 აპრილს პოლიციის მუშაკებმა შემთხვევის ადგილზე დააკავეს ლ. ჩ-იანი და ამოიღეს დანაშაულის იარაღი.

აღნიშნული ქმედებისათვის ლ. ჩ-იანს სსკ-ის 108-ე მუხლით მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; ლ. ჩ-იანს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 3 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ი. დ-იამ. მან ითხოვა განაჩენის შეცვლა და ლ. ჩ-იანისათვის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით სასჯელის ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას პროკურორმა დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვა მსჯავრდებულისათვის სსკ-ის 108-ე მუხლით 12 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ლ. ჩ-იანს სსკ-ის 108-ე მუხლით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის საბოლოო ზომად კი განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი – ადვოკატი მ. ჩ-იანი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ლ. ჩ-იანისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი არ იყო აშკარად ლმობიერი; სასამართლომ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნება, მისი ოჯახური მდგომარეობა, ავხაზეთის ომითა და ადათობრივი წესებით შერყეული ფსიქიკა, დანაშაულის ჩადენის პირობები და მას მიუსაჯა ქმედების სიმძიმის შესაბამისი სასჯელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი მ. ჩ-იანი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვებას, რომლითაც მსჯავრდებულს საბოლოოდ მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები გამოკვლეული და შეფასებულია სრულად და ობიექტურად და უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არც მსჯავრდებულის უარყოფს.

ამასთან, სახელმწიფო ბრალმდებელი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ლ. ჩ-იანისათვის სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელის გამკაცრებას, მისი აშკარა ლმობიერების მოტივით.

სააპელაციო პალატამ პროკურორის საჩივრის ეს მოტივი უარყო და მიუთითა, რომ მსჯავრდებულისათვის განსაზღვრული სასჯელი არ არის აშკარად ლმობიერი, თუმცა, ამის მიუხედავად, ლ. ჩ-იანს სასჯელი დაუმძიმა, რაც უკანონოა და ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 565-ე მუხლის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ჩ-იანს უნდა შეუმსუბუქდეს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. ჩ-იანის ადვოკატ მ. ჩ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ლ. ჩ-იანს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და 6 თვით და ამ მუხლით მიესაჯოს 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ლ. ჩ-იანს საბოლოოდ განესაზღვროს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.